

1134  
2013

91772298

# პ რ ი ლ ი

ლია ციკოკაძე  
თავარ მხატვარი  
ლექსები

მონ ლილო  
ბაადურ-მანინჰოფი

ენო ბაიბოძე  
"ლიტერატურას  
ჯადოქრობა არ  
მეუძლია"

ჯიჯიბა ბაყაშვილი  
შეხვედრა  
მგოსნებთან

ელენე ბანელი  
პიანისტის ანბანი

სოფო ჯიქასონია  
სამღვარი, დუმილი  
და ერთადერთი  
სიმართლე



2013/ოქტომბერი

3 (218)

ნაზო ჭაიბოძე - 80  
მწერალი საფირმო სტილით



# სარჩევი

იუბილე	1	მაკა ლდოკონენი   რეზო ჭეიშვილი - 80
პოეზია	7	ლია ლიქოკელი   ლექსები
	14	თემურ ჩხეტიანი   ახალი ლექსები
თარგმანი	19	დონ დელილო   ბაადერ-მინჰოფი <i>ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარია</i>
ინტერვიუ	27	ჯონ ირვინგი   "მიყვარს სექსუალური აუტსაიდერები, სამყარო მათთვის ბევრად უფრო პირქუშია" <i>ინგლისურიდან თარგმნა ჯაბა ზარქუა</i>
კათედრა	30	ნინო ბეიშვილი   "ლიტერატურას ჯადოქრობა არ შეუძლია"
	32	მაგდა კალანდაძე   მე-13 ქალი
კორესპონდენცია	35	მაშო სამადაშვილი   გამოიღვიძე და იოცნებე   ფრანკფურტი 2013
არქივი	38	ელიზბარ მაყაშვილი   შეხვედრა მგოსნებთან
რეცენზია	42	ჯაბა ზარქუა   დათო ტურაშვილი
	44	ზაზა ციციშვილი   გიორგი მაისურაძე
	46	დალი კუპრავა   უილიამ ფოლკნერი
მუსიკა	48	ლუკა ნახუცრიშვილი   ვაგნერი უკონტექსტოდ და კონტექსტით
	52	ალფრედ ბრენდელი   პიანისტის ანზანი <i>ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე</i>
მიმოხილვა	58	სოფო კილასონია   საზღვარი, დუმილი და ერთადერთი სიმართლე
თვალსაზრისი	63	სლავოი ჟიჟეკი   სირიაში ცრუ ბრძოლა მიმდინარეობს <i>ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარია</i>

გარეკანი: მამუკა ტყემელაშვილი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია  
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია  
შადიმან შამანაძე

მხატვარი

მამუკა ტყემელაშვილი

კორექტორი

ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თამაზ ჩხაიძე

სარედაქციო საბჭო

რატი აპალდოშვილი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, თამარ ლებანიძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაყელიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.



არილი - დასასვენებელი სინამდისთა

სულხან-საბა

არილი - მზის შუში, რამეზე დამგზარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ძარბაშის ლიტერატურის მარლი

ხალხური



ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge  
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ფუნაღში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ფუნაღი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



ფუნაღის ბეჭდვის ხარჯებს და გავრცელებას უზრუნველყოფს მპს "დამანი"

თბილისი, პორტფორე ჩანჩინაძის ქუჩა N6  
ტელ: (995 32) 295 05 23, (995 32) 214 34 01





მაკა ლდოკონენი

197

# რეზო ჭეიშვილი - 80

## მწერალი საფირმო სტილით



ორიგინალური ის მწერალი როდია, სხვა მწერლებს რომ არ ჰგავს, არამედ ის, ვის მიბაძვასაც ვერავინ ახერხებს  
**შატოპერიანი**

1973 წელს იტალიელმა რეჟისორმა ფედერიკო ფელინიმ "ამარკორდი" გადაიღო. ფილმისთვის სცენარი იტალიელმა მწერალმა ტონინო გუერამ დაწერა. მას შემდეგ საზოგადოებაში ხშირად კამათობდნენ, "ამარკორდში" გუერა "მეტი იყო" თუ ფელინი? სცენარის ავტორმა კამათს ნერტილი დაუსვა, როდესაც განაცხადა, რომ "ამარკორდს" გუერა ფურცელზე, ფელინი კი ეკრანის ტილოზე წერდაო.

ათი წლის შემდეგ რეზო ჭეიშვილმა "ცისფერი მთების" მიხედვით შექმნა სცენარი ამავე სახელწოდების ფილმისთვის, რომელიც ელდარ მენგელაიამ გადაიღო. "ამარკორდის" მსგავსად "ცისფერი მთები" კლასიკურ შედეგად იქცა. მარტივი მიზეზის გამო - ავტორებმა (მწერალმა და რეჟისორმა) კარგად ნაცნობი გარემო ორიგინალური ხერხით წარმოგვიდგინეს: ჩვეული ახლებურად შეფუთეს, ახალი კი ყოფით ფერებში დახატეს. გარდა ამისა, ერთმა ფურცელს, მეორემ კი ეკრანს თავისი უნიკალური ხელწერა

დაატყო - საბოლოოდ კი ქრესტომათიული ეპიზოდებით გაჯერებული ნაწარმოები მივიღეთ.

გავლილი წლების მიუხედავად "ცისფერი მთები" ხშირად გვახსენებს თავს (სხვათა შორის, "ამარკორდიც" დაუვიწყარია პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით - ერთ-ერთ იტალიურ დილაექტზე ნიშნავს - "მე მახსოვს"). ჩვენი ყოფის აუტანელი ირონია საშუალებას არ გვაძლევს "ცისფერ მთებში" დასმული პრობლემები უგულვებელვყოთ. კვლავ ამოვიცნობთ საკუთარ თავს პერსონაჟების ზერელე საუბარსა თუ ქაოტურ საქციელში, მიუხედავად იმისა, რომ ნანგრევების ქვეშ მოყოლის საფრთხე მუდამ თან დაგვედევს, უარს ვერ ვამბობთ ძვალსა და რბილში გააჯდარ ნაკლსა თუ ცდუნებებზე. "გაიტანეთ, გაიტანეთ გრენლანდია!!!" - რამდენი ძახილის ნიშანიც არ უნდა დავსვათ, რაგინდ ხმაბალა არ უნდა ვიყვიროთ, "ცისფერი მთები" დღემდე რელევანტურია.

შესაძლოა მწერლის შემოქმედებაზე საუბარს მი-



სი ნანარმოებების მიხედვით გადაღებული ფილმები-  
ორი არ უნდა ვიწყებდე, მაგრამ ბატონი რეზოს მოთხ-  
რობები, რომანები და ფილმები განუყოფელია, მათი  
ერთიანობა კი ყველასგან გამორჩეულ, ორიგინალ-  
ურ, ძნელად მისაბამ - საფერმო სტილის განაპირობ-  
ებს.

1961-1992 წლებში რეზო ჭეიშვილი კინოსტუდია  
"ქართულ ფილმში" რედაქტორად, სასცენარო კოლე-  
ჯისა თუ შემოქმედებითი გავრთიანების წევრად, ასე-  
ვე ერთ-ერთ ხელმძღვანელად მუშაობდა. ამ ხნის ვა-  
ნმავლობაში მან არაერთი სრული თუ  
მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი და-  
წერა, მათ შორის: "ექსპრეს-ინფორმაცია", "ყვარულ-  
გა", "ჩემი მეგობარი ნოდარი", "სამაინიშვილის დედენ-  
აცვალი", "ბზიანეთი", "ზღვის მგელი",  
"ავტობორტრეტი", "ფედია", "გამოაღეთ ფანჯრები",  
"ცათხარის წინ", "ჭიდაობის არ უნდა" და სხვა. თუმ-  
ცა "ცისფერ მთებზე" მუშაობა განსაკუთრებულად  
დაამსხვორდა:

- სცენარი, როგორც მიღებული იყო, მოსკოვ-  
ში დამტკიცდა. "რწყილი და ჭიანჭველას" სცენა-  
რი რომ გავგებ ზავნა, იმასაც უპოვოდნენ მიზეზს და  
შეაწარმებდნენ. ასე რომ, მსგავსი დაბრკოლები-  
ს გადალახვა ჩვენთვის დიდ სიახლეს არ წარმოა-  
დგენდა. მახიაობების შერჩევის პროცესშიც აქტი-  
ურად ვიყავი ჩაბმული, ეს საქმე  
თანამდებობრივადაც მეველებოდა და მორალურად-  
დაც. სხვათა შორის, ზოგიერთ რეჟისორს არ სია-  
მოუნებთ, როდესაც სცენარის ავტორი გადაღებებს  
ესწრება, ელდარ შენგელია კი ამ მხრივ განსაკუ-  
თრებული თვისებებით გამოირჩევა, ავტორთან თა-  
ნამშრომლობა შეუძლია და გამოსდის კიდევ, რა-  
საც დიდად ვაფასებ.

გადასაღებ მოედანზე იმპროვიზებულ გარემოში  
უხდებოდათ მუშაობა, ბატონი რეზო თურმე დეკო-  
რაციების უკან, ექსპროზივად წერდა ხოლმე დიალო-  
გებს. სწორედ იმ დიალოგებსა და ფრთხან ფრაზებ-  
ად ქვეყლდ გამოთქმებს, ლამის რომ გავგიზვიებინა  
და ყოველდღიურ საუბარშიც ხშირად ვიყენებ:

"გივი, ჩვენ ვართ, გივი!", "როდღად როდემდე  
აქვს დალოდების საათები?", "ყუფარაძეს რომ არ და-  
ერეკა, მაგრამ დარეკა და...", "თუ იცი, იგავარაკ-  
ებს მიიღებს? არა, მაგრამ უარს არ გეტყვი!", "ბო-  
დიში, თქვენზე მითხრეს, ლიფტში გაიჭედაო და  
მართალია?", "დაანებეთ ჩემს ცოლს თავი!", "გამა-  
გებინეთ, მე აქ ვარ თუ იქ?", "მომკლავს ეს ორი სა-  
თარი!", ...

\*\*\*

ამბობენ, ზოგჯერ ქვეყნის ისტორიაში ისეთი  
დრო დგება, პათოსით დაზარეული სწორედ სატირ-  
ამ უნდა აღადგინოს, გადაწყვეტი როლი კი ამ საქ-  
მეში მწერლებმა და რეჟისორებმა შეასრულონ. ამ  
მხრივ რეზო ჭეიშვილი მართლაც გამოირჩეულია -  
შემოქმედებითი ცხოვრება სწორედ ადამიანების ნა-  
კლოვანებათა მხილვას შეაღია.

დღეს ბატონი რეზო ჩემი რესპონდენტია. იგი  
მშვიდად, აუქჩარებლად საუბრობს. როდესაც ხუმ-  
რობს, დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით ენთე-  
ბა თვალები. დიქტოფონის პარალელურად, ხელით-

აც შემიძლია ჩავინიშნო პასუხები. სიმართლე გითხ-  
რათ, დიქტოფონისკენ გახედვად, შემომნება, უხერ-  
ხულობასაც მიქნის - სრულად განსხვავებულ გა-  
ნზომილებაში გადავიწაცვლე. თქვენდა  
სამწუხაროდ, უნდა ვაგაფრთხილო, რომ შენვე-  
რის მხილვად მცირედი ნაწილის გადმოცემას შეეძ-  
ლებს, ვინაიდან ჩვეულებრივი სიტყვები, ერთი წერი-  
ლი, თუნდაც ჟანრობრივად მრავალფეროვანი,  
საკმარისი არ იქნება. რეალობის ილუზია რომ შეეჭ-  
მნა, მე 3D ტექნოლოგიები, თქვენ კი - ბინოკულა-  
რული მხედველობა დაგჭირდება. თუმცა არ დაფ-  
რთხეთ, სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად  
რთხო ჭეიშვილის წიგნების წაკითხვა და ფილმების  
ნახვა დაგეხმარებათ, ზოგს თავიდან, ზოგს ხელმე-  
ორედ ან ვინ მოთვლის, მერამდენად.

საუბარს ქუთაისის ვაჟთა მერვე საშუალო სკო-  
ლის გახსენებით ვიწყებთ:

- დღესაც არ ვიცი, რატომ მოვხვდი მავ სკო-  
ლაში, სახლიდან შორს იყო და დიდ მანძილს ვაე-  
დიოდი ფეხით. სკოლის ეზოდან რიონამდე კიბე  
ჩადიოდა, ცვლიტი ვიყავი, ვაკეთილებიანდ ხშირ-  
ად ვიპარებოდი საბანაოდ, რა თქმა უნდა, ბიჭებთნ  
ერთად, ქალის მდინარეში ბანაობა მიუღებელი სა-  
ქციელი იყო. ისიც მახსოვს, საკლასო ოთახის ფა-  
ნჯრებიდან რომ ვუყურებდით ალპინისტივით რე-  
გორ ავიდა ერთი კაცი ეკლესიის გუმბათზე და  
ჯვარი გადახერხა. ეს ის დრო იყო, ეკლესიები სა-  
წყობებდად რომ ჰქონდათ ქცეული, მოქმედ ტაძარ-  
ებში კი სიარული ირძალეობდა. ახლა ყველაფე-  
რი შეიცვალა, ჩემს ყოფილ სკოლაში ეპისკოპოსის  
რეზიდენციაა განთავსებული. ბაგრატიის ტაძარ-  
ში ნიწვრ-ლოცვა აღდგა, რაც ძალიან მახარებს და  
ტურისტები კიბით ავა თუ ლიფტით დასათვლიერე-  
ბლად, ეს მეორეხარისისხოვანია. მომწონს ჩვენს  
ხალხს პატრიარქის პატივისცემა და რიდი რომ  
აქვს. პატრიარქის ბავშვებს რომ წაათლავს და ქარ-  
თველები მრავლდებიან, ეს საქმეც ძალიან მაიმე-  
დებს.

ვაუთა მერვე სკოლა ებრაელების უბანში მდება-  
რებდა, სკოლის მახლობლად ორი სინაგოგა ახლ-  
აც დგას, თუმცა, დღესდღეისობით, აკლდამებივით  
გამოცემებულია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ  
ბერძენებრავალმა დატოვა ქუთაისი.

- ებრაელების წასვლით დიდი დანაკლისი გა-  
ნიცდა ჩვენმა ქალაქმა, მათ თავისებური კოლო-  
რიტი შემოქმედნათ, იუმორით გამოირჩეოდნენ,  
ტრადიციები საინტერესო ჰქონდათ. მახსოვს,  
დასაკლავი ქათმები ხახამთან მიჰყავდათ, სახლ-  
ში არავითარ შემთხვევაში არ დაკლავდნენ, ცნო-  
ბისმოყვარე ბავშვი ვიყავი და გადალმდნენ, უჩუ-  
მრად ვაკვირდებოდი, ხახამი თავს კი არ  
წაცხლიდა ქაბამს, ყელს გამოჭრიდა და სანამ ის  
ნასხლისგან არ დაცილებოდა, ხელს არ ახლებდა.  
სიადნ მოდის ეს ტრადიცია, ღმერთმა იცის. ახ-  
ლა ცოლის შერთვას აღარ იკითხავთ? წინასწარ  
დათქვამდნენ ვინ ვისთვის უნდა შერთოთ, გან-  
საკუთრებული რიტუალები ჰქონდათ. ჩემს მოთხ-  
რობებში "ქარების დაბრუნება", "მუსიკა ქარში"  
და სხვა მოთხრობებში ებრაელების ადათ-წესზე  
არაერთხელ დამინერია.



1954 წელს რეზო ჭიეშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სწორედ სტუდენტობის წლებში შედგა მიხაილტერატორული დებიუტი:

- ტარიელ კვანჭილაშვილმა და ნოდარ ჩხეიძემ მოთხრობები მომიწონეს, ოთხი აარჩიეს და "პირველი სხვისი" რედაქტორს, ბესო ფლენტს მიუტანეს, თან შთანხმდნენ, ბესოს არაფერი ვუთხრათ, არ შევეუქოთ, თორემ არ დაბეჭდავს; არც ვაპატიო, რომ არ გვიისყვედუროს, თუ არ ვარგოდ, რას მოგპოვდათო. მოკლედ, უსიყვედოდ გადასცეს. იმედი ჰქონდათ, თუ ხმა არ ამოიღებდნენ, ორს მაინც დაბეჭდავდა. დილთა, უნივერსიტეტის მოსულ რედაქტორს უთქვამს, ოთხივე გავა მომავალ ნომერშიო. რა თქმა უნდა, გაუკვირდათ, თუმცა უფრო მეტად გაუხარდათ.

სტუდენტობის დასასრული 60-იანი წლების დასაწყისს დაემთხვა. კარდინალური ცვლილებების, საინტერესო აღმოჩენების, მოდური ტრენდების, მოკლედ რომ ვთქვათ, კულტურულ-სოციალური რევოლუციის ხანა იდგა. სსრკ-ის საზღვრებში მართალია წელი ტემპითა და მცირე დონით, მაგრამ მაინც აღწევდა სიახლეს:

- აღწევდა ვეროპიდან რუსეთში, მოსკოვიდან და პეტერბურგიდან საქართველოში. 60-იანები გარდაცვლის წლები იყო, რომელთან შეგუებაც უფროს თობას, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა, მათ ახალგაზრდების სიბრძნე და სილაღე აღიზიანებდათ. მაგნიტოფონები გაჩნდა, ახლებური მუსიკა შემოვიდა, მერე თანდათან გზებზე გაიხსნა. სხვადასხვა დაჯგუფებები იქმნებოდა: იყვნენ "სტილიაგები", ჩემო ბატონო, "სპორტსმენები", "ლოთები" თავისთავად... "ლიტერატორებიც" ვიყავით.

1962 წელს რეზო ჭიეშვილის სადებიუტო წიგნი "ზზიანეთი" საქართველოს სსრ ბავშვთა და ახალგაზრდული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა "ნაკადულმა" გამოსცა. მასში თერთმეტი მოთხრობა გაერთიანდა. წიგნის მხატვარი გრაფიკოსი და კინოს მხატვარი დიმიტრი ერისთავი იყო.

ბატონი რეზო წიგნების კარადიდან ფრთხილად იღებს "ზზიანეთს" და გულდაწყევით აღნიშნავს, რომ ერთადერთი გეგმვლარი დარჩა, ყდას დასცქერის და სიამაყით დასძენს, რომ დიმა ერისთავმა დახატა - დიახ, დახატა! 60-იანი წლების ქართული, ურბანული მხატვრობის უნიკალური ნიმუშია, ნამდვილი ზზიანეთია.

გსმენიათ ზზიანეთზე? მწერლის გამოგონილი ქუჩის სახელი ფერადობით ბზას გვაგონებს, წარმოსახვაში კი მზით გაჩაჩხახებული ადგილი იხატება. სინამდვილეში რაზეა საუბარი? მოგახსენებთ, რომ საფირმო სტილი ამ შემთხვევაშიც დაცულია - ჭიეშვილისეული მოთხრობა და სცენარი ჰარმონიულ ერთიანობას ქმნის:

"ზზიანეთი ქალაქის მთავარი ქუჩის ერთ-ერთ შესახვევს ჰქვია... მოკლე ქუჩა დასაწყისიდან ორასი ნაბიჯის შემდეგ თავდება... ამ ქუჩაში ავდარშიც სიმუდროვია... რადგან გზა ვინროა, სახლები მალაღრი და ქარი მის ნებისად ვედარ დათარემობს. ამ დროს ისევ ზზიანეთზე სიარული გვრჩიოთ. კედელთან კი ძალიან ახლოს ნუ მიდგებით, თორემ სახუ-

რავის ღვარსადენის გახერხილი ღარიდან ჩამოვარდნილი წყლის წვეთი შეიძლება პირდაპირ საყელოში ჩაივარდეთ".

ერთი მოსმენით მარტივია და სადა წინადადებებს მძაფრი ექსპრესია ახლავს, მხრებში თავის ჩარგვა გვირდება, თითქოს, წვიმის მიძიმე წვეთმა კისერი ავიწინა. ფილმი განცდებს კიდევ უფრო მეტად ამპაფრებს, ავტორის სათქმელს რეჟისორ ლიანა ელიავეას ვიზუალური ხერხები განაგრძობს და ასრულებს. "ზზიანეთი" 1968 წელს გადაღებული 20-წუთიანი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმია. ფილმში, ისევე როგორც მოთხრობაში, კვირაში ორჯერ, დარსა თუ ავდარში, სხვადასხვა ასაკის მამაკაცები ზზიანეთის ქუჩაზე არსებულ კლუბში იკრიბებიან, ქართულ სიმღერებს მღერიან, გულში კი გუნდის ხელმძღვანელს შესტრფიან. მოთხრობის მიხედვით გუნდის ხელმძღვანელი "ტანადი, ლამაზი ქალი ჩაცმულია სადად, სამუშაოდ და ერთი შეხედვით, მაინც გამომწვანდა... კოფთაქმონასკვლ მალაღ მკერდექვეშ იჯვარედინებს ხელებს და ფიქრობს". ფილმში გუნდის ხელმძღვანელის როლს მსახიობი ლია ელიავეა ასრულებს. მისი პარტნიორები იპოლიტე ხეინია, თენგიზ არჩვაძე, გივი ბერიკაშვილი, იოსებ ზინდრადა და აბესალომ ლორია არიან. კომპოზიტორ სერგო ჟვანიას მუსიკალური გაფორმება ცალკე აღნიშვნის ღირსია.

1969 წელს, კიევიში, "ზზიანეთმა" აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და უკრაინის ტელეფონების X დათვალიერების დიპლომათ დამისახურა რეჟისორული დებიუტისთვის, 1970 წელს, მოსკოვში - კინემატოგრაფისტთა საკავშირო სახელმწიფო ინს-





ტიტუტის კინოფესტივალის პრიზი.

რადგან საუბარი ჯილდოებს შეეხო, აქვე შეგახსენებთ, რომ 1984 წელს "ციფერ მთებს" (სცენარის სტს, დამდგმელ რეჟისორს, ოპერატორს) საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა, რომელსაც დღესდღეობით ბატონი რეზო იმიპერიის პრემიას უწოდებს. სიამაყით აღნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს ჯილდოს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიას. ყველაზე მეტად კი 2012 წელს ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მიღებული "საბა" გახარება. 2013 წლის ზაფხულში, საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე რეზო ჭიჭიშვილი მსოფლიო კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვისაც დააჯილდოვეს.

ორიგინალურობით გამოირჩეული ჯილდოა "ძელქეის ფილოლი," რომელიც ბატონ რეზოს ვერეთ ნოდელულ "სიმონეთურ შეხვედრებზე" გადასცეს. ორფურცლიანი სიგელი სადა და მინიატურულია. პირველ გვერდზე დავით კლდიაშვილის სიტყვები დაუბეჭდავთ: "სინამდვილე, მხოლოდ სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მხარობის განმავლობაში". მეორე გვერდზე კი, ცალხაზიან რვეულს რომ მოვაგონებთ, ლამაზი კალიგრაფიით დაუწერიათ: ცნობილ ქართველ მწერარს, ფილმის "სამანაშვილის დედინაცვალის" სცენარის თანავტორს, რეალიზმის პრინციპების ერთვულ შემოქმედს, რეზო ჭიჭიშვილს".

\*\*\*

1987 წლიდან რეზო ჭიჭიშვილი მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა და აღმანახ "განთიხს" გამოსცემდა. მალე აღმანახი (სხვათა შორის, კემელების ნებართვით) უფრნალად გადაეკეთდა. პარალელურად (1987-1992წწ), რუსთაველის საზოგადოებას თავმჯდომარეობდა, დარსა საზოგადოებრივ-პუბლიცისტური გაზეთი "მონათეა" და უფრნალი "მწვანეყვავილა". 1992 წელს, საქართველოს მწერალთა ყრლობაზე რეზო ჭიჭიშვილი მწერალთა კავშირის მდივანად, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს. 2000 წლიდან კი საქართველოს მწერალთა ფონდის თავმჯდომარედ დაინიშნა.

1997-98 წლებში ბატონი რეზო, როგორც დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის კადემიურ თეატრს ედგა სათავეში, თუმცა ამ გადასახედიდან ფიქრობს, რომ თეატრის ხელმძღვანელობა მისი მოწოდება არასდროს ყოფილა:

- თეატრის მსახიობი, ცოტა არ იყოს, გამოუცნობია, დაუკმაყოფილებელია, ამბიციურიც. მიაჩნება, რომ მისი შრომა და ნიჭი სათანადოდ არ ფასდება, ყოველთვის მეტი უნდა. მალე წამოვედი, იქ მუშაობა ჩემი მოწოდება არ ყოფილა.

სამაგიეროდ, როგორც მაყურებელს, ძალიან უყვარს თეატრი, რასაც გიორგი შავგულიძეზე საუბრის დროს ემოციურად ამჟღავნებს:

- მისი მონაწილეობით არცერთი დადგმა არ გამოიჭრებოდა მარჯანიშვილი თუ ქუთაისში, გასტროლებზე რომ ჩამოდოდნენ. ბევრი ნაცნობი თუ მეგობარი ძალით წამიყვანია სპექტაკლზე და ახ-

ლა რომ იხსენებენ, მადლიერები არიან. გიორგი შავგულიძე უნიჭიერესი მსახიობი იყო. კინოსტუდია "ქართული ფილმში" როცა ვმუშაობდი და მსახიობებს ვარჩევდი, ყველა რეჟისორი ერთსა და იმავეს გაიძახოდა, აი, ამ როლზე შავგულიძე იქნებოდა ზედამოჭრილი, ახლა გიორგი რომ ცოცხალი იყოს, მაგას დავატკიცებდითო. ანუ ყველა როლს მოუხატავდა. ტრავმა უკლად დაიღუპა, პულხანოზე ტრამვაი დაეჯახა, მძლოლი იძახდა, ამაზე მეტი რა უნდა მომისაჯოთ, შავგულიძე მოკვალაო. წელს, თბილისობის დღესასწაულზე, საჯარო ბიბლიოთეკაში გიორგი შავგულიძის ხსოვნად მი მიძღვნილ გამოფენაზე მიმინევის. "კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქი" - ასე ჰქვია გამოფენას.

"კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქი" მიხილ ქვლივიძის ლექსია, რომელიც მან სწორედ გიორგი შავგულიძეს მიუძღვნა: "რამდენი ჩვენგან ნასული კაცის / ვერ სხვადახიბდი ვერასდროს ამაგს... / მაგრამ ის ერთი გზა იყო მინც / კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქი".

ბატონ რეზოს ხმა ეზარება. ცრემლს იწმენდა. "მოგონებანი ფერმკრთალებზე და ნახვებს დასასრულსკენ. დასასრულს შეგვრძნება დასაწყისთან გაახლოებს უჩვეულოდ. დასაწყისი და დასასრული კი თანაბარი აჩქარებით მიისწრაფიან ერთმანეთისკენ სიცოცხლის ერთ მონაკვეთში" - ვისხენებ ნახევრებს მისი მოთხრობიდან "მუსიკა ქარში". წიგნების კარადას ვათვალთვებ, მოგონებებში ნასულს არ ვანუებ.

ისევე თითონი მესმამურაბა:

- ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების კითხვა მიყვარს, ეს კი "ქართული საამართლის ძეგლებია", ისიდორე დილის შვიდტომული, ხშირად გადმოვიღებ ხოლმე, ვკითხულობ და ვათვალთვებ. საყვარელი წიგნები უცხოელი ავტორებისა "აივინში" და "წითელი და შავი", ჩემო ბატონო, ქართველებიდან კი დავით კვიციანიშვილი და აკაკის "ჩემი თავგადასავალია" ყველაზე ნაღი.

აქ, თაროებზე, ბტონი რეზოს წიგნებიც მრავალა: მოთხრობების კრებულები, ნოველები თუ რომანები: "ვაიმე ჩემო ვენახო", "ჩემი მეგობარი ნოდარი", "რკინის სახკომი", "დალი", "ყაჩაღები", "კუდიანი ვარსკვლავი", "წიფობისთვე", "მესამე გზა", "ისევ ერთი მთევი", სხვადასხვა დროს გამოცემული ორიულები, ტომეულები, რომლებიც მრავალათასიანი ტირანუთი გამოდიოდა და მწირად, თუმცა მაინც, უცხო ენებზეც ითარგმნებოდა. ვფიქრობ, ამ მხრივ მეტი ყურადღება კულტურის სამინისტრომ და სხვა შეუბამისმა სამსახურებმა უნდა გამოიჩინონ, გაითვალისწინონ ჩემთვის უჩვეულო და თვალმისაცემი ფაქტი.

\*\*\*

"ყველამ ვიცით, რომ ლიტერატურა საზარდოებს საზოგადოებას. ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ლიტერატურას დღე-ღამე-ღამე საზოგადოება აკლდება", - როდესაც ილია ჭავჭავაძე "ჩვენი ლიტერატურის დღევანდელ ყოფას" აღწერდა, 1886 წელი იდგა. არ იყო ინტერნეტ-ტექნოლოგიები, სოციალური ქსელები, თუმცა, რა შორს წავედი, არც ტელევიზორი ჰქონდათ. ანუ ყველაფერი, რასაც ჩვენ

დღეს კითხვისადმი გულგრილობის მიზეზებად მივიჩნევთ, ფიზიკურად არ არსებობდა.

- არ გავხარობდით, ხასიათში გვიჩინოებთ ზერე-ლეობა, სიზარმაცე, ზედაპირულობა, ვცდილობთ იოლად, იუმორით და სიცოცხლის-ხარხარით გავივადო ფონს, სერიოზულობა გვაკლია და ჩვენი ბავშვებშიც, მომავალი თაობა ასეთ გარემოში იზრდება.

"ტყუილსა და მართალს ხალხი მშვენივრად ასხვავებს ერთმანეთისგან: ადამიანები ზოგჯერ დაუჯერებელად იჯერებენ, მძექელს პირში ეთანხმებიან, გონებაში მაინც სხვის ფიქრობენ და თვალეგში უნდობლობის სხივი უკრთით..." ეს კვლავ "მუსიკა ქართლია", ბატონი რეზოს ხელით რემინგტონის საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ერთ-ერთი მოთხრობა. მასში სევდა და გულისწყვეტა ერევა ერთმანეთს. რა გამოგვასწორებს? როდის ვისწავლით, როგორ და საით მივმართოთ შინაგანი ენერგია? წლებგანდელი ქართული ენისა და ლიტერატურის მეტყვე რეკლამის სახელმძღვანელოში ბატონი რეზოს მოთხრობა "ნობელი" შეიტანეს. კიდევ ერთი რეკლამა მავალითა ქართველი კაცის უთავილობისა:

ამაზეც ავტორის გამოკონილ, ნაქერალას სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე გაშენებულ სოფელ ბუყნეთს ვითარებდა. შესავალ ნაწილში ნობელის შესახებ გვიამბობს მწერალი - როგორ შესწირა მენცერმა მთელი ცხოვრება ასაფეთქებელი ნივთიერების შესწავლას, უმდიდრეს ადამიანად იქცა, გარდაცვალების შემდეგ ანდერძი დატოვა, ფონდი დააარსა და მისი სახელი "სამუდამოდ დაუჭყმირა ჰუმანიზმის, პროგრესის და მშვიდობის საქმეს". მაგრამ რა მოუტანა დინამიტმა ბუყნეთს? საით მიმართეს ბუყნეთელებმა საკუთარი შესაძლებლობები? თითქოს "ლიტერატურ, არაოფიციალურ ომებში იღებენ დღესაც მონაწილეობას", დაიარებიან "უხელთითოლ", არ გვეგონოთ, მაღარობში მიიღეს ტრამპები - მათი სისუსტე აფეთქებაა. "დინამიტს აფეთქებდნენ ნაძღვეზე, პურმარზე ზე და ზოგჯერ სულ არაფრის გამოც". მაგრამ "აფეთქებენო რომ ვამბობ, ამასაც დაზუსტება სჭირდება, კი არ აფეთქებენ, იფეთქებენ შორიასლოს და ზოგჯერ ფეხებშიც კი". ახლომასხლო ღელე-მდინარეში თევზი განყვიტეს, ტყეში მარჯის სახსენებელი, ახლა სხედან და ჩივიან, "გადასხვავებარდა ბუნებაო!" კომიკური სიტუაციაა, ისეთივე კომიკური, როგორც ნობელის პრიზზე ნომინირებულ პუტინი. ბატონი რეზოს აზრიც მაინტერესებს ამის თაობაზე, "ჰუმანიზმის, პროგრესის და მშვიდობის საქმეს" დისკრედიტაციის საფრთხე ხომ არ ემუქრება?

- პუტინს თუ მიცეს, ჩეკისიც და "კავებს" პოლიციის ნობელი, სამარცხვინო იქნება! დაუშვებელია! რას ქვია პუტინის აძლევნი!

საუბრის დასაწყისში ნახსენები, მოსკოვში დასამტკიცებლად გაგზავნილი სცენარები, კრემლის ნებართვა ქართული აღმამახანის ჟურნალად გადაკეთებაზე - წარსულის მტკივნეული საკითხები მოსვენებას არ მძღვეს, დღევანდელგადასთან პარალელს ვავლებ, ჩემი რესპონდენტიც აბელგელობა ნობელის პრიზთან დაკავშირებული უსამართლობის გამო. მოკლედ რომ ვთქვათ, საკმარისი მიზეზები გვაქვს "ღამის სტუმრების" გასახსენებლად. ეხსენებთ და ახლა მე-

ტი სიმძაფრით ვგრძნობ ტკივილისა თუ წყენის შედეგად დაგროვილ გამოცდილებას, რეზო ჭკიმივლის მითხრობაში ვულკანური ლავასავით რომ აღწევს ქალაქის ზედაპირზე:

"მსმელი რუსი კახას ჰგავს, თუ მოასწრო გამოფიხობა, ყველაფერი ისტორიას ჩაობარდება მეორედ მოსვლამდე. "კანაილი" რომ იყოს გამოძინებული, სასმელის საყვედური არ დასცდება. გაისწორებს პალსტუხს, შეისხურებს (თუ ვადარნა) ოდეკალოსს და ისე გამოცხადდება საზოგადოებაში, სიცოცხლები არ დაელოოს რა თითქოს... პირქითა ვართ ჩვენ: ზის სამსახურში ნაბახუსევი ქართველი, ოხრავს და თხრობს, სად დალია, ჯერ იქ მოვიკალით თავი, მეტი იქ მოვთავადი, დაგწყნით სმითო და სხვა... ჩვენი სისს წესი სხვაანართა, აკადემურ-რიტუალურია ერთგვარად, ცალკე შესწავლისა და გაანალიზების ღრვევაც კია".

- ჩვენი სურვა და ქვეით მართლაც მისაბაძია. რუსებმა ბევრი რამ გადაიღეს ჩვენგან. როგორ გავივიდათ, ვე სხვა საკითხია. თუმცა ჩვენც ბევრი რამ დავივიწყეთ. მავალითად, სასმელის დაძალევა. ვინ მოთვლის, თამადობის დროს რამდენი ადამიანი დამიხრჩვია, ახლა ასეთი საქციელი მიუღებელია. პო და, სუბრამაც უნდა დაკარგა. ჰქონდა ვე საქმეს თავის ხბლი, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ კი არ გამოვივინეთ, ლიტერატურაშია დაძალევის სასწესები, ვაყასთან, "ჩხიკვათ ქორნილიში", წრუსუნას რომ აძალევენ, განა ცუდი ადვოკატი? ეს ტრადიცია ძველთაგანვე მოგვსდევდა. საუცხოო თამადა ყოფილა რაფიელ ერისთავი, დაძალევის დიდოსტატი. პეტრე უმიკაშვილი ვერ სვამდა და ერთხელ რაფიელ უთქვამს, არ დააძალით მაგას, მეტყვით, მხოლოდ უთვამი აუწინეთ. შეხედეს და იმას უღვაშიც არა ჰქონდა, რას აუნევენდე. კარგი თამადა იყო თემურ ჩორგაძე, "ცისფერ მებრძო" დირექტორის როლს რომ თამაშობს, სუფრას ხატავდა.

"ქართველს შეუძლია სახლი გაურემონტებელი დარჩეს, მარანი კი "უმაღლესად გამოაწყოს". ესეც "ღამის სტუმრებთან" ამოკრეფილი მარგალიტია. მოთხრობა "ქართული ნოველა (დაილოგი ნითელ ფერმი)" კი ნამდვილი ენციკლოპედიაა: სრულყოფილი წარმოდგენა შეგქმნებათ დაძალევის ფენომენზე, ვარკვევთ, ხის სასმისის ერთმად დაღვდა სჯობს თუ "ჭიქებში გადასმით", ღვინოს ნელა სმა თუ "ყლურნვა" უღდება, როგორ შევაგონო ჭიქა, სადამდე დაუვტოვით სატურე და მერე ჩატოვით თუ არა სასმელი სასმისში. "როცა გეუბნებიან, შენი წინაპრები სახელგანთ მსმელები იყვნენ, კი არ უნდა გაბრძენდე, მაგრამ არც პრი შეკრა თავისმომჭრელები". მამა-შვილის დაძალევი პრაქტიკული მავალითებიც ახლავს: "მამაკაცი სანოლში ზევით ჩორგდება, მარვილიან ხელს განზე წვეს და შვილს აწვენებს, როგორ უნდა მიიტანოს სასმისი პირთან".

\*\*\*

ტრადიციები დღესაც გრძელდება. მით უმეტეს, რომ ლიდერი კვლავ მშვენიერ ფორმაშია და კაპიტლის თანამდებობას დარბაისლურად უძღვევა.

"კაპიტანი ზედა სადგურზე გვიანარებს!" - ჩამო-



ურეკავენ ხოლმე ბიჭები ერთმანეთს, შეიკრიბებიან და გზას დაადგებიან.

არ იფიქროთ, რომელიმე მოთხრობის ნაწყვეტს ან ფილმის პასაჟს გახსენებდეთ, ამჯერად ნამდვილ ამბავს გიამბობთ: კაპიტანი რეზო ჭიჭიშვილი გახლავით, როგორც თავად ამბობს, "პარახოდი რო პარახოდი, იმასაც სჭირდება კაპიტანი" და "ტყის სამშომ" ხომ არ დატოვებდნენ კაპიტნის გარეშე? "ტყის სამში" კი უკვე თუთმეტი წელია არსებობს და მასში ბატონი რეზოს მეგობრები გაერთიანებულან. კოდექსიც შეუქმნიათ - "ტყის კოდექსი", რომლის მიხედვითაც კაპიტნის ბრძანება კანონია. ტყის სამშოს მოსამართლე პოლვა კვარაცხელია დაუნიშნავთ.

- თუთმეტი წლის წინ, იანვრის დასაწყისში, ტყეში გავისივრნეთ. ისეთი კარგი დარი იდგა, ჩრდილს ვეძებდით. მაშინ დაუთქვით, ყოველი იანვრის მეორე შაბათ დღეს, როგორი ამინდებიც არ უნდა იყოს, ტყეში გავიდეთ, ყოველგვარი კომფორტის გარეშე და ვიპურმარილოთ. დათქმულს პირნათლად ვასრულებთ, ნელს მეთუთმეტედ შევიკრიბებით. ცეცხლს დავანთებთ და გათენებამდე ვიქეფებით. ამ ღონისძიებას მოკლედ "პურტყე" ქვია, ანუ პურის ჭამა ტყეში. "პურტყე", როგორც წესი, თავდადასავლების გარეშე არ ჩაივლის, ერთხელ დავიკარგეთ კიდევ; გზა აკვებნა და ტყის მცველმა გადაგვარჩინა. იმდენი ვიხეტიალეთ, ჩემმა მეგობარმა, თორნიკე ერისთავმა, ფეხსაცმელები დაკარგა, ვამხნევებდი, ექსტრემალურ პირობებში არაფერი მოვივა, არ იდარდო-მეთქი და ასეც მოხდა, არ გაცივდა, გადარჩა. ერთხელ დილაადრიან, მონადირეები გადაგვეყარნენ და დავაფრთხეთ. გაკვირვებულები გარბოდნენ.

საფრმო სტილი დაცულია - ცხოვრება მოთხრობებზეა და ფილმებს ჰგავს, ზღვარი გამქრალა. ანეკდოტური სიტუაციები, გაშარებული გმირები, საახალწლო მასხალეობით იელვებენ ჩვენ თვალწინ. გვარ-სახელების ნაკითხვაც კმარა, ისტერიკული სიცილი რომ აგიტყდეს: გრიმა ნემსაქე ("ლუკა პაჩოლის ცხოვრების უკანასკნელი წლები"), დომენტი მელექაძე, ვარდენ ქუჭუხიძე ("ნობელი"), კომპოზიტორი ჩირიბერიძე, "მინების განაწილებაში" კი გვარ-სახელების სრული აპოთეოზია.

პერსონაჟების ვალერეა წარმოუდგენლად მრავალფეროვანია: სამთოელ თალიკოს კრაოტზე დაცემას პოლზე დაცემა ურჩევნია და ამის თაობაზე უტყუარი არგუმენტები აქვს, ახალგაზრდა ლიტერატორი თვლის, რომ ცხოვრება გლეჯაა, მეუპოვარი გემის კაპიტანი ალექსანდრე მერცხლების დიდი ქომაგია, თუმცა, საბოლოოდ, ყველას ერთი კითხვა აერთიანებს:

- რა ვართ ადამიანები?
  - არაფერი, ბატონო, რავე გეკადრებათ!"
- პასუხი მარტივია.

\*\*\*

წამოსვლის წინ სურათებს ვარჩევთ. დახარისხებულია: ზოგიერთი ეპოქალურია, ზოგიც გულიანად გაგაცინებს, სევდასაც მოგვგრის, სუკეთესობები კი მელდის, მარინა ვერულამეილის გადაღებულია.


თავადაც ამაყია, მოსწონს, მოფერებით არჩევს და უყვარს. მთავარი ხომ მას დაუნახავს და აღუბეჭდავს.

ჩვენ კი პრაქტიკულ საქმეებზე ვინცებთ ფიქრს: დავასახერხებთ, დაზიპულებს ინტერნეტისამართზე ავტვირთავთ, ფოტოშოპში დავამუშავებთ. 60-70-80-90-10-იანების - მთელი ეპოქის სათქმელს ერთ ფოტოსურათში მოვაქცევთ. არჩევა გაძნელდება.

ბატონი რეზო მაგიდასთან ზის, ქარვის კრიალისანს ისვამს ქუთუთოებზე, მეხმარებაო, მეუბნება - ალბათ უკეთე დანახვამი - საყვარელი ადამიანის სახსოვარია, დაეხმარება.

ვემშვიდობები და ვფიქრობ, რომ აღარ დავინუნებ ჟურნალისტიკის პროფესიას, ვინაიდან სწორედ ასეთი ნუთებისთვის ღირს ჟურნალისტობა, როდესაც ვერასოდეს გაიმეტებ რესპონდენტის ხმის ჩანანერს ნასაშლელად და მომავალში მეტი პასუხისმგებლობით გამოიყენებ სიტყვებს: "მწერალი", "პროზაიკოსი", "ხელოვანი".

P.S "ამარკორდი" სხვაგვარადაც შეგვიძლია ვთარგმნოთ (რადგან მასში სამი იტალიური სიტყვის ფუძეა გაერთიანებული: მწარე, სიყვარული და ძაფი): "მწარე სიყვარულის ძაფები, ავტორს წარსულთან რომ აკავშირებს". რეზო ჭიჭიშვილის ნაწარმოებები, აკაკისა და დავით კლდიაშვილის ნაწარმოებების მსგავსად სიყვარულის ძაფებით იმერეთთან გვაკავშირებს, გვაკავშირებს სამუდამოდ, ვინაიდან მათ მაგიური ძალა აქვთ - მკითხველს სამუდამოდ ამასსოვრებენ თავს.





# ლია ლიქოკელი

## როგორ შემოიყვარდა ყვავი

მოდი, სადმე ჩამოვჯდები და მოგიყვებით, როგორ შემოიყვარდა ყვავი.

მინდა იცოდეთ, რომ ეს სასაცილო არ არის. მაშინ ასე გამჭვირვალე არ ვიყავი. მთელი ზამთარი ვუყურებდი მინას და ვფიქრობდი, რომ მინიდან ამოდის თოვლი. მთელი ზამთარი ვუყურებდი თოვლს და ვფიქრობდი, რომ თოვლიდან ამოდის ცა. მერე თვალები გამიცივდა.

ისინი იყვნენ ჭირვეული ავადმყოფები. ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ კვდებიან, მიყურებდნენ და ფიქრობდნენ, რომ ვკვდები. თვალებს თაფლს ვაჭმევდი და ისე ვასეირნებდი, თვალელები თოვლით მავსებდნენ და ისე მასეირნებდნენ. მერე შეეხვებით.

ის ცის კიდეზე იჯდა და ზამთრის ხელებად დაგრეხილ შიშველ ხეებს ასეირნებდა. ის ჩაწილილი მზის კვალზე დაფრინავდა და ცას შერჩენილ მის ნამცეცებს კენკავდა. სახლში შევედი და ვთქვი, რომ შემოიყვარდა და უნდა გავეყე.

მამაჩემმა მიყვირა. დედაჩემმა იტირა და მითხრა, რომ ვერ გავძლებ, რომ ჩემთვის არ არის ყვავური ცხოვრება, მაგრამ როცა ვკითხე, მას რომელი ცხოვრებაა ჩემთვის, ვერაფერი მიპასუხა.

სამი გრძელი ღამე გადაება ერთმანეთს მერე გაუთენებლად. სახლის წინ მათუღზე ქანაობდა და ჩხაოდა ჩემი ცხოვრების მთავარი შავი ყვავი. ჩავალაგე ჩემოდანი და ფანჯრიდან გადავძვერი, როგორც წესია. დაეტოვე წერილი, როგორც წესია და ჩვენი ახალი საცხოვრებელი ხის ტელეფონის ნომერი. ასე დავიწყეთ.

ფრენა არ გამჭირვებია - ნიჭიერი ვარ და ყველაფერს ადვილად ვითვისებ. უშიშობა ისე მანუხებს და ღამლაშობით ჩხავილში ვვარჯიშობ.

ჯერჯერობით ისევე ვფარად კაბებს ვიცვამ, თუმცა ყვავი ფიქრობს, რომ ზამთრის პეიზაჟს და ყვავურ ცხოვრებას ეს არ შეეფერება. როცა ვჩხუბობთ, რომელიმე ხიდიდან ვხტები, მაგრამ ჩემს ყვავს ყველა ხიდი გაფრთხილებული ჰყავს და ისინიც ჰაერში მიჭურენ.

მთავარია, ცაში არ გადავხტე. ზოგჯერ შაბათ-კვირას ქალაქგარეთ მივფრინავთ და მიტოვებული სახლების სიჩუმეს ვუსმენთ, მერე სადმე მინდორზე ვეშვებით და ჩემი შავი ყვავი ხერხემალზე სიყვარულის ყრუნანტელს მიკენკავს. ვიცი, განიცადის, შვილები რომ არ გვყავს და ცდილობს, არ მაგრძობინოს, მაგრამ ზოგჯერ ზურგშექცეული ყელთან რუხი ბუმბული უთრთის. ამ დროს ხელებს ვხვევ, მის ფრთებს მხრებზე ვინყობ და სანამ მოხეტიალე მარტოხელა ხეები ტრიალ მინდვრებში მტირაღ შეყვარებულ ყვავებზე მღერიან, ჩვენ ვცეკვავთ.

ასე რატომ გავხუნი?  
 ასე რატომ გავხუნდი?  
 რა ვიცი, ასეთია ცხოვრება.  
 ახლა მალე დაიწყება ჩემი თვალეების სეზონური ავადმყოფობა -  
 გაზაფხულის სველები.  
 ამ დროს მინდება, სადმე ჩამოვჯდე და ვინმეს ველაპარაკო,  
 და მთელი დღეები დავფრინავ და ვყვები,  
 როგორ შემიყვარდა  
 შავი, მარტოხელა ნერტილი ზამთრის ცაზე.

## ჩემი შვილი დედაჩემი

ზოგჯერ დედაჩვენები რომ ვიშვილოთ.  
 ზოგჯერ დედაჩვენები რომ ვიჩვილოთ.  
 კალთაში ჩავისვათ,  
 მკერდზე მივიყუდოთ დაჭალარაგებული თავები,  
 ცხელ შუბლებზე ხელები შემოვანყოთ,  
 დავარნიოთ და ვუღლინიოთ,  
 დავარნიოთ, დავუნანაოთ:  
 ნანა, ნანა დედასაო,  
 ჩემ გამჩენელს, ჩემგან გაჩენილსაო.  
 შენი დარდი მე, დედი, შენი ცრემლი მე,  
 შენი ცეცხლი მე, შენი ნალველი მე,  
 მე დამწვას, მე დამლიოს,  
 დამნაცროს, მინას გამრიოს.  
 დაიძინე, ჩემო შვილო დედაჩემო,  
 დაიძინე, დედამზევ, დედამინავ.  
 შენი სიკვდილი მე, დედი,  
 ჩემი სისხლი შენ,  
 ჩემი სიცოცხლე შენ.  
 მზე ჩადგეს, ჩემი გული ამოვიდეს.  
 შენი ხელები, დედი,  
 უბეში, უბეში,  
 მკერდზე მომიკაკუნე.  
 ნანაო, ნანაო, დედაჩემის ხელებო,  
 გულში ჩამომინეკით, დედაჩემის ხელებო.  
 მიმღერდეს ძარღვი ყელზე:  
 ნანა, ნანა დედასაო,  
 ნანა დედაჩემის სუნთქვას.  
 ჩემ კალთაში დაბერდი, დედი,  
 ჩემი კალთიდან ამოჩვილდი.  
 ადგეს მზე-დედა, ავდგე,  
 შავ მატყელში გავახვიო თოთო დედაჩემი.  
 ნავიდე, შეე წყალში ხელები ჩავყარო,  
 სისხლი გამოვუშვა, ნალველ-ბალლაში გამოჰყვეს.  
 წყალმა წაიღოს სიბერე,  
 წყალმა წაიღოს სიკვდილი.  
 დედაჩემი ვიშვილე, ვთქვა,  
 დედაჩემი გავაჩინე.

## ქუდები მოიხადეთ, ბატონებო

ქუდები მოიხადეთ, ბატონებო,  
 კართან ფეხები შეინმინდეთ,  
 თოვლი დაიბურტყეთ,  
 შემოდით და სუფრას მოუსხედით -  
 ახლა ფაფას ჩამოვატარებ,  
 რძეში მოხარმულ ბრინჯის ფაფას -  
 მოგშივებოდათ.  
 ასეთი ამბავია:




ერთმა ლამაზმა გოგომ თავისი ოთხმოცი წელი  
თეთრი ყელივით მოიღერა  
და ბინდჩამდგარი თვალების ნაწილი  
სიკვდილს სამუდამო სურვილად შეპყარა.  
მივედი, ვნახე.  
როგორი გოგო ხარ, - ვუთხარი, - ნეცხარ.  
სამკვდრო სუფრით და  
სანთელდაკრული ქაღებით მხედები.  
როგორი გოგო ხარ, სუნთქვას იკავებ -  
უფრო ნელწერილი გამოჩნდები.  
როგორ ჩიოდი უსტუმრო ზამთარს -  
კარზე მოგადგა მთელი სოფელი.  
როგორი გოგო ხარ, ლანვებს იწითლებ,  
სიკვდილის ტუჩებს სახალხოდ კოცნი,  
ღამე გატყდა და გვერდზე მოგინვა  
მინისპერანგა შავი სწორფერი,  
ცამაც საჩქაროდ ჩამოგიქსოვა  
თეთრი საკაბე - თებერვლის თოვლი,  
მზე დაახნელოს, ისე მოგიხდეს,  
გადაგეჭიმოს მკერდზე მაქმანი.  
როგორი გაათენე ეს დღე, შეხედე -  
შემნა ვაშლის ხემ  
ჯერაც თბილ ცხვრის ტყავში  
მკლავებად გაუყარა დამზრალი ტოტები.  
დგანან ქალები, სისხლის წვეთებზე  
მარილიან თვალებს იშრობენ.  
ცეცხლზე ხორციან ქებას შემოვდამენ,  
საგზლად ხშიადებს დაგიცხობენ.  
რძეში ბრინჯს ამოაფუყებენ,  
თაფლს ჩაადნობენ ჩამტკბარ ხორბალში.  
ერბოში ფქვილს ნამოადულებენ,  
ყვითლად ილაღანებს ჯამებში ხავინი.  
მიაკარით ჯამებს სანთლები,  
მე სუფრაზე ჩამოვატარებ.  
- გადაიღეთ, - სიცილით ვიტყვი,  
ერთმანეთს უხდება  
ბრინჯის ფაფა და ცხელი ხავინი.  
შუურივით თებერვლის თეთრში  
ჩემი ყვითელი თვალების მდულარე.  
როგორი გოგო ვარ - ჩემი თვალჭრელი  
სიკვდილს სადედოფლოდ გაეუმზითვე.  
როგორი გოგო ვარ - მასპინძელი:  
თოვლში გახელილი ბლანტი ზამთრის მზე  
სიკვდილის ქორნილის აშლილ სუფრაზე  
სულ სიცილით ჩამოვატარე.  
ვიცი, ადვილი არ იყო, მაგრამ  
ჩემო გოგო, ასე გადანყვიტე,  
ღამე იყო და კარი გაულე,  
მარტო იყავი და უარი ვერ უთხარი.  
ახლა გეყოლება ხმის გამცემი -  
სიჩუმეს ეტყვი, სიჩუმეს გიპასუხებს.  
ახლა გეყოლება - ძვლებს ავიჭრიალებს,  
უბეში ისეთი ვნებით ჩავიხვევს.  
მაგის სურვილი თუ გკლავდა, რა ვიციოდი,  
ასეთები თუ მოგწონდა, რა ვიციოდი,  
როგორი გოგო ხარ - რას ვიფიქრებდი,  
ასეთ ბებერს თუ გაყვებოდი.  
როგორი გოგოა, შეხედეთ, ვამბობ,  
თერთად გადახსნის ქვესკნელის დარბაზებს.  
ქუდები მოიხადეთ, ბატონებო,  
ყველა კი არ არის ასეთი ლამაზი.  
დაემშვიდობე, მითხარით, მიგყავს.




რა მკაცრები ხართ, ბატონებო.  
მივუჯექი, ღანვების ხავერდს  
ცივი თითები დაეყოლე.  
ხელთათმანები ჩაგეცვა, ვუთხარი.  
ზამთარია, ცივია მინა.  
იქნებ სუნთქვა ჩამოგაყოლო,  
იქნებ თვალები ჩამოგაყოლო  
და ერთად ვნახოთ  
ის მზედამზრალი ცამშრალი ქვეყანა.  
არ მესმის, ასეთი როგორ გახდი -  
ისე მკოცნი, არცკი მეხები.  
არ მესმის, ხალხი შენს მაყრიონს  
მესაფლავეებს რატომ ეძახის.  
თქვენზე ვუთხარი, ბატონებო, თქვენზე ვუთხარი.  
ქუდები მოიხადეთ, ყვიროდით. მიდის.  
მიდის, მიბრძანდება სიკვდილის პატარძალი.  
ახლა მობრძანდით, ბატონებო, ახლა თქვენთან ვილაპარაკებ.  
ახლა მობრძანდით, დაიბერტყეთ ბეჭებიდან მისი სხეული,  
ხელებიდან თოვლი და მინა.  
მოგვივდებოდათ, ბატონებო, თქვენთვის ცალკე სუფრა გაეშალე.  
ეს თქვენთვის არის - მისი ხელით ბუდენაქარგი  
ჭრელმიძივდაკრული მაღალი ბოთლით ანწლის არაყი.  
ყოჩალი იყო ჩვენი გოგო, ჩვენი ყოჩალი.  
ლამაზი იყო ჩვენი გოგო, ჩვენი ლამაზი.  
ამას ვფიქრობდი, ბატონებო, რომ გაცილებდით,  
ხელს რომ გიქნევდით.  
და როცა თქვენს დახრილ ბეჭებზე  
შემობრძანებულმა  
ჩამავალმზენამოღვრილი მაღალი ტახტიდან  
ნისლის ფთილასავით მესროლა სახსოვარი -  
შავი, ვარდებმიქარგული თავშალი,  
კიდევ ერთხელ გავიფიქრე:  
მაინც როგორ ჰგვანან  
ცივ ცას მიკემსილი მძივ-თვალეებით  
და გულზე გადაშლილი თითებით  
თოვლზე ფრთადაფენილ ჩიტებს  
მკედარი, მარტოხელა პაპიდეები.

## გოგოების კანონი

პატივცემულო წესრიგის დამცველებო,  
დიდი კრძალვით და მცირედი ცახცახით  
მოგმართავთ ფრიად დელიკატური თხოვნით,  
და იმედია, სწორად გამიგებთ:  
როცა ერთ ჩვეულებრივ ზაფხულის დღეს  
ჩვეულებრივ ზაფხულის მზეში  
ერთი ჩვეულებრივი გოგო  
მარტო დგას ხიდზე  
მოაჯირზე იდაყვებდაყრდნობილი  
და მდორე მდინარეში თვალებს ატივტივებს,  
ნუ მიხვალთ მასთან ნაცრისფერი უნიფორმით  
და ნუ კითხავთ, აქ რას აკეთებს.  
შეიძლება იფიქროს, რომ დამნაშავეა,  
შეიძლება, დაფრთხეს და გაფრინდეს.  
გასაგებია, რომ თქვენ იცავთ კანონს,  
რომ უპირველესია საზოგადოებრივი წესრიგი,  
მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ გოგოების კანონით  
ნებისმიერ გოგოს აქვს უფლება,  
იდგეს ხიდზე მარტო  
ნამუადღევის მღულარე მზეში,  
დროდადრო წყლისკენ წაიგრძელოს თითები



და თქვენს შეკითხვაზე, გადახტომას ხომ არ აპირებს,  
 გიპასუხოთ სიჩუმე, -  
 ყველა დიდმა გოგომ უკვე კარგად იცის,  
 რომ აკრძალულია  
 გაზონზე გადასვლა და წყალზე სიარული.  
 გასაგებია, რომ თქვენ გაქვთ წესები  
 სპეციალურად გოგოებისთვის,  
 ზაფხულში ისინი უნდა დადიოდნენ მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად  
 ჭრელ-ჭრელი კაბებით,  
 კიდეც უფრო სასურველია,  
 დანარჩენებდნენ, როგორც წყვილის ცალები,  
 ძლიერ მკლავზე დაყრდნობილი მეორე ნახევრები,  
 ან მეორე ნახევრობის კანდიდატები,  
 თმას უნდა ისწორებდნენ ნაზი თითებით,  
 თვალები მინაბონ, როცა ყელში კოცნიან,  
 და სიყვარულის ჩურჩულით შეეკენკილი  
 პეპლისფრთა საყურეების რხევით  
 ხიდის თავზე დაბერილი ღრუბლების ფონზე  
 კრუტუნით მიირთვან ბამბის ნაყინი და  
 ზაფხულის დღეების ნებოვანი სიტკბო.  
 მაგრამ ზოგჯერ გოგოები დადიან  
 დაბალძირიანი სპორტული ფეხსაცმლით,  
 იცვამენ ულამაზო, ყელდახურულ მაისურებს,  
 თმას ცხენის კუდივით გაიკრავენ,  
 ჩაიწყობენ ზურგჩანთებში ქვებს,  
 ჩაილაგებენ თვალებში საფიქრებლებს,  
 დაეხეტებიან ქალაქში,  
 აკითხავენ ბალებს და ხიდებს  
 და წყალში ისვრიან სიჩუმის ანეკდებს.  
 უნდა იცოდეთ, რომ მათ აქვთ უფლება.  
 აქვთ გოგოებს უფლება,  
 იყოლონ საკუთარი თავები,  
 ასეირნონ საკუთარი ქვეები,  
 არ შეიღებონ თვალები და ტუჩები კოცნით,  
 არ შეისწორონ თმა და უყვარდეთ ქარი და მტკერი,  
 უყვარდეთ დაუკრეფავი ყვავილები,  
 უყვარდეთ ცარიელი ბალები,  
 ცარიელი ხიდები,  
 და ძალიან გთხოვთ, ნუ იქნებით ასეთი სასაცილოები,  
 რაცსაჭიროაიშისკეთების უნიფორმიანო წესრიგის დამცველებო,  
 ავტოდანიეროიეროქნები უნიფორმიანო წესრიგის დამცველებო, -  
 ყველაფერი კარგად იქნება,  
 ყველაფერი კარგადიქნება უნიფორმიანო წესრიგის დამცველებო.  
 გოგოს აქვს უფლება, გიპასუხოთ, რომ აქვს უფლება,  
 შქონდეს ასეთი სახე.  
 იქნებ უბრალოდ სახლში დარჩა  
 ბედნიერი გამომეტყველება,  
 იქნებ ჩქარობდა და უბრალოდ დაავიწყდა,  
 აქ მოსვლამდე ვინმე შეეყვარებინა.  
 და როცა ზაფხულის მდულარე მზეში  
 მარტო დგას ხიდზე,  
 ნუ მიხვალთ მასთან არაფრისფერი უნიფორმით  
 და ასეთი ტონით ნუ მიახლით კითხვას,  
 რატომ უგავს თვალები დამძნარ თაფლის ნვეთებს,  
 რატომ უგავს თითები მოცახცახე ფრთისწვერებს.  
 იქნებ არც ახსოვს, რომ გოგოა.  
 იქნებ არც ახსოვს, რომ მარტოა.  
 იქნებ უბრალოდ ფიქრობს,  
 მაინც რა შეგრძნებაა,  
 როცა ხიდის ჩრდილი ხარ,  
 წყალზე ნევზარ, ირნევი,  
 არც ხარ, არც არ ხარ.



## კარგად უნდა ვიყოთ, გოგო

ანიკას. და სხვა გოგოებს

ზოგჯერ წარმოვიდგენ, როგორ ნადირობს ჩემზე  
 კაცი, რომელიც მიყვარს.  
 ნადირობა იქნება შემოდგომაზე,  
 მდინარის ნაპირას, თენებისას, ქალაში.  
 შემთხვევის ადგილზე იქნებიან ქვეები, ხეები და ჩიტები.  
 კაცი დადგება სახით აღმოსავლეთისკენ,  
 შემომხედავს და თოფს მხარზე მიიბჯენს.  
 თოფის ლულიდან გამოფრინდებიან ყვავეები.  
 მე ვიდგები მდინარისკენ ზურგით,  
 ხელებჩამოშვებული.  
 თვალებს არ დავხუჭავ.  
 კაცი დაინებებს სროლას და რიგრიგობით მოვლენ ხეები,  
 გადაამეფარებიან.  
 რიგრიგობით დაეცემიან მიწაზე.  
 - მიყვარხარ, - მეტყვის და მესვრის,  
 - მიყვარხარ, - მეტყვის და მოკვდება კიდევ ერთი ხე.  
 მზის ამოსვლისთვის ყველა ხე მოკვდება.  
 მზე ამოვა მდინარიდან, მზე ამოვა ჩემი ზურგიდან.  
 აფრინდებიან ფასკუნჯები თოფის ლულიდან.  
 მესვრის.  
 ვერ მოვასწრებ ხელების გაშლას, დავეცემი.  
 ხეებს არ დასცვივდებათ ფოთლები სიკვდილისას,  
 ფოთლები დამცვივდება მე.  
 მიწა იქნება ხავსიანი და სველი, ხეების სისხლით გაჟღენთილი.  
 კაცი მოვა და დამხედავს და თოფს გაიდებს მხარზე.  
 თოფის ლულიდან აფრინდებიან ჩემი სისხლიანი ფოთლები.  
 მოფრინდებიან ფასკუნჯები  
 და ლია ტუჩებზე დამაფარებენ ფრთებს.  
 მიწაზე განოლილი მკვდარი ხეები გამოაცოცებენ ტოტებს.  
 - კარგად უნდა ვიყოთ, გოგო, - მეტყვიან ხეები.  
 კაცი წავა და აფრინდებიან მისი ზურგიდან  
 ჩემი თვალები.

ასეა, გოგო.  
 ასეა, როცა ისინი მიდიან,  
 მინდორი სავსეა მკვდარი ხეებით და ჩვენი ხელებით,  
 მათი წასვლისას რომ ვერ გავშაღებთ.  
 ასეა, როცა ისინი მიდიან,  
 გვირჩევნია, არ დაგვიტოვონ სიტყვები -  
 სიჩუმეს უფრო ვიმასხოვრებთ.  
 გვირჩევნია, არ დაგვიტოვონ თვალები -  
 ჩვენ მაინც ზურგებს ვიმასხოვრებთ.  
 და ნუ ექნებათ ჩვენთვის ყვავილები,  
 ჩვენ თოფებს ვიმასხოვრებთ  
 და თოფის ლულებიდან აფრენილ ყვავებს.  
 ასეა, გოგო. მთავარია, თოფის ხმა არავინ გაიგონოს.

და მათი წასვლის შემდეგ  
 ჩვენ ვდგებით მიწიდან  
 და შემოდგომას ვასეირნებთ ქუჩებში.  
 ამოგვყავს მზე მდინარიდან და ჩვენი ზურგები,  
 ხელდაუწყობელი ზურგები ამოგვყავს მდინარიდან.  
 ვიყურებით ცარიელ ცაში,  
 ვეძახით ფასკუნჯებს  
 და საკუთარ გაცვეთილ ფრთებს ვიფარებთ ტუჩებზე:  
 არავინ გაიგონოს, გოგო.

არავინ გაიგონოს, გოგო, მაგრამ შენ ეს უნდა იცოდე:  
 ყოველთვის, როცა შემოდგომა დგება,  
 ისეთი გრძობა მაქვს, რომ ვილაღ დადის  
 და ხეებს ხოცავს სანადირო თოფით.





ყველა ხის უკან მე ვდგავარ და ვკვდები.

- კარგად უნდა ვიყოთ, გოგო, - ამბობენ ხეები სიკვდილისას.
- კარგად უნდა ვიყოთ, გოგო, - ვამბობ მე ყველა სიკვდილისას.

ხომ გესმის, გოგო,  
ამას ისე ვამბობ,  
თითქოს ტურებზე ანგელოზები მაფარებდნენ ფრთებს.  
კარგად უნდა ვიყოთ, გოგო,  
კარგად უნდა ვიყოთ, რადგან  
ხეებს არ სცვივით ფოთლები სიკვდილისას,  
ფოთლები გვცვივა ჩვენ.

## ბებიაჩემის ნახშირის უთო

ბებიაჩემის ნახშირის უთო სამოგზაუროდ წავიდა.  
ჩუმად ჩამოძვრა ჩემი ნაცრისფერი სიმშვიდის სხვენიდან,  
სამკუთხედი ცხვირის სრუტუნით გამირღვია ცარიელი სიზმრების ნისლი,  
ეზოს კარი გაიჭრაღა  
და შემოდგომის ფერდობებს აუყვია.  
ბილიკზე ღამის შავი მარცვლები სველ ქვიშაში ჩაწყლიტა,  
პანტით გაუვსო თრთვილის პურანგის ჯიბეები  
კუნელის ბუჩქებაჩეჩილ დილას,  
ჩაკანაუნა დაბრანული ნეკერჩხლის ფოთლები,  
ჩაიტკბარუნა ნითელი ცირცელის მარცვლები  
და ნახაფხულარ ცაზე აბობლდა.  
მშვიდად გაიარა რამდენიმე ღრუბლისქვეშა გადასასვლელი,  
მზე ჩაკბიჩა ასწლიანი შიმშილის სიხარბით,  
ცხელ-ცხელი, მნიფე ვარსკვლავებით გაივსო მუცელი  
და დამძიმებულს გამჭვირვალე ყინულივით ჩაუტყდა ცა.  
ვერც გაიგო, ისე ჩავარდა ჩრდილების ქვეყანაში.  
აუფრთხილდნენ ჟანგის ნითელი ყვავილები,  
აუყვავილდნენ ბებიაჩემის ჩრდილის ხელები,  
და მზურვალე და მზენაჭამი  
ყველაზე ჭრელი ჩრდილის ჩრდილში დასახლდა.  
ზის, სიცოცხლის სიცილად სცვივა  
ჩემი ძილიდან აცინცლული ცისფერი სინათლის ნაპერკლები,  
მოჰყავთ მასთან ავადმყოფი, დაჭმულნი ჩრდილები,  
ასწორებს და ატკიცინებს,  
ჩარღვეულ კალთებს ჩემი ხელების ღანდებით უბლანდავს.  
ერთი ჩრდილიც არ დაბერებულა,  
ერთი ჩრდილიც კი არ მომკვდარა,  
და ვერც გაიგო, ისე იცხოვრა სამუდამო ზაფხულის ასი თვალის დახამამება,  
ვერც გაიგო, ისე გამეცხო თმა თეთრი ჩრდილებით.  
ასი ჩრდილის ნელია,  
მთებს შემოდგომა ჭრელი ხურჯინივით ეჩაჩებათ მხრებიდან.  
ჩემი ეზოს კარებთან ჩანყვეტილი ბილიკები იზმორებიან.  
ასი ჩრდილის ნელია,  
მემალება ჩემი მშობარა ჩრდილი,  
სიბერის ლურჯმა მლიერებმა ნაპირები შემოუჭამეს.  
კიბზე ვზივარ, როგორც ტოტსშერჩენილი, ყუნწსმომჭენარი კომშების ბებია,  
მშვიერი თვალების ცახცახით ვხსნი ქარის მოტანილ ფოთლის ბარათებს,  
ბებიაჩემის სათვალეს ვიმარჯვებ და ვკითხულობ:  
ჩემო ხელებჭორფლიანო,  
აჰა, ცისფერი ნეროების ძძივებს გიგზავნი.  
მზის გუბებში შეათბე შენი თვალების თაფლის ყვავილები,  
ჩამოინმინდე ნღების ობის ყვითელი ჩუქურთმა,  
მოუარე მაგ ბებერ ჩრდილს და დამელოდე,  
ეცადე, არ მოკვდე,  
აუცილებლად დავბრუნდები,  
და როგორც ყველაზე ჭრელსიზმრიან ნეკერჩხალს,  
ისე ნაგიყვან სამუდამო ჩრდილების ქვეყანაში.  
მიყვარხარ. გკოცნი.  
შენი თვალების ნახშირის უთო.

## თემურ ჩხეტიანი

### შებრუნებული ძილის სიზმარი

I

შებრუნებული ძილის სიზმარო,  
 სადღაც დილისკენ,  
 განთიადისკენ რომ მოდიხარ და მეჩვენები;  
 ასე ძალიან სხვანაირი რომ ხარ და ანგრევ  
 აშენებულს მანამდელი სიზმრებისაგან  
 და ქვას ქვაზე აღარ ტოვებ იმისაგან, რაც თითქოს იყო,  
 რაც ლამის ცხადად მომაჩვენეს პირველსიზმრებმა,  
 იქნებ სწორედ შენ  
 შენ მეუბნები:  
 რაც გადამხდა, რაც მჭირს და რაც მართლა ჩემია?..

უშფოთველი ძილით მეძინა  
 და უშფოთველ სიზმრებს ვხედავდი;  
 მშვიდად ვსუნთქავდი,  
 გულიც ასე - მშვიდად მიცემდა...

გამეღვიძა. ჯერ ღამე იყო.  
 მხოლოდ ფიქრი შემეძლო ბნელში  
 და მე ვფიქრობდი...  
 რას ვფიქრობდი?  
 რატომ ვფიქრობდი? - რაც იყო, იყო, -  
 მეგონა, რომ სწორად ვფიქრობდი,  
 მეგონა, სწორად ვაგრძელებდი სიტყვებს და ამბებს  
 ნაკარნახებს სიზმრებისაგან.

ვფიქრობდი და მერე ისევ ძილმა წამილო,  
 ანუ ძილი შემომიბრუნდა.

II

სიზმრის სახილველი თვალები ხომ  
 ძილის დროს გვეძლევა...

სიზმრის დრო სხვაა,  
 სხვაა სივრცეც.  
 სხვანაირია მისი ყველა განზომილება -  
 მისი სპექტრი, პარამეტრები...

ცხადის წუთი ფეთქდება ძილში,  
 ფეთქდება უხმოდ  
 და სიზმრებიან გალაქტიკად გაიტყორცნება;  
 გაიშლება სივრცეებად, ლანდშაფტებად  
 და შავ-თეთრ თუ ფერად კადრებად.

სიზმრის დრო სხვაა,  
 სხვაა სივრცეც  
 და თვითონ შენც  
 ერთ ღამეში არაერთი ხარ.



III

შებრუნებული ძილის სიზმარო,  
სულ სხვანაირად,  
სხვანაირად მეუბნები მომხდარს, ნასიზმრებს;  
სულ სხვა რამეს მეუბნები ჩემი თავისას  
და სხვანაირ სარკეს მიდგამ თვალწინ, მახედებ...  
და მე შემკრთალს შეღვიძება,  
გულს ვუსმენ და ნამდვილად ვტირი.

ორი ფერი ავსებს ბოლო კადრს -  
თეთრი და მწვანე  
და ორივე ფერი მოძრაობს და მიედინება:  
თეთრი კედლები  
და თეთრით მოსილი ადამიანები;  
და მწვანე ფარდები,  
ოთახის კარზე დაშვებული ორ და ტოლ ტალღად.

ვილაც მიღიმის,  
მე კი ვდგავარ შეცბუნებული,  
შევეყურებ და მინდა, ვკითხო (ვერ ვეკითხები)  
და მხოლოდ ვფიქრობ:

"- ჩემო პირველკლასელო მეგობარო,  
რა იქნა შენი თეთრობათიანი ნაწნავები?  
ვინ შეგაჭრა?  
რატომ შეგაჭრა?  
ნუთუ არ გეტკინა  
თმები?..."

IV

სიზმრის დრო სხვაა,  
სხვაა სივრცეც -  
სხვანაირია მისი ყველა განზომილება.  
და, როდესაც ბრუნდება ცხადი,  
ეს დრო, ეს სივრცე  
ერთი ხელის მოსმით გროვდება,  
შეისრუტება  
და ეტევა სულ ერთ წვეთ ცრემლში.  
ერთ წვეთ ცრემლში,  
გამოღვიძებულს ლოყაზე რომ გიგორდება  
და გულმობჯენილ ყელისაკენ მიიკვლევს ბილიკს.



**ტრიპტიქი**

**1. აგვისტოს ჩვენება**

აგვისტოა და ისევ წვიმს...  
ვზივარ და ვწერ ავტობიოგრაფიას,  
რომელიც სადაღაც სჭირდებათ  
და დანერაც ამიტომ მომთხოვეს.  
ვწერ ავტობიოგრაფიას, როგორც აღიარებით ჩვენებას  
სასამართლოში წარსადგენად;  
ვწერ და თითქოს აღსარებას ვეუბნები  
მავან მღვდელს, ანუ მამაოს,  
ვინც, ღმერთმა იცის, როდის გამიმეტებს,  
ჩამიშვებს და გამომაჭენებს.



მე ვწერ ავტობიოგრაფიას  
 და ყველაფერს გულწრფელად ვაღიარებ.  
 და როცა ვწერდები და სკამიდან ვდგები,  
 სულის მოსათქმელად და წყლის დასალევად,  
 მხოლოდ მაშინლა მახსენდება:  
 "მამაო ჩვენო..."  
 და არავინა ირგვლივ,  
 რომ მისმინოს და დამიდასტუროს:  
 "ამინ!.."

## 2. სამება

მე ვერ ვხედავ ღმერთს,  
 ვერ ვხედავ სიყვარულს,  
 ვერ ვხედავ სიტყვას...

მაგრამ, როცა ვწერ სიტყვას,  
 მე ვხედავ მას -  
 ვხედავ სიტყვას;  
 სიტყვაში ჩნდება სიყვარული  
 და შორიახლო  
 ღმერთიც იღანდება

## 3. წუთი

მარტო ვიყავი  
 და არავინ მიყურებდა,  
 არც სარკე მედგა წინ,  
 რომ შემეხედა  
 და ჩემი სახე დამემახსოვრებინა.  
 არადა, ღირდა!..

მარტო ვიყავი,  
 მაგრამ შენ ხომ მაინც მხედავდი,  
 ღმერთო! -  
 იმ წუთას ხომ შენ მაინც მხედავდი ?

როგორი აღარ გინახივარ:  
 მშვიდიც, კარგიც და ნირნამხდარიც;  
 აუტანელიც, საზიზღარიც და სასაცილოც  
 და, ვინ იცის,  
 ჩემზე რა არ გიფიქრია,  
 და, ვინ იცის,  
 მე როდის რას ვიმსახურებდი.

მაგრამ, უფალო,  
 გთხოვ, გადადე სხვა სურათები  
 და ასეთი დამიმახსოვრე:

როდესაც მე მარტო ვიყავი  
 და ახლადმიღებულ წერილს ვკითხულობდი -  
 ხელში ორადგაკეცილი ფურცელი მეჭირა;

თვალეზზე ცრემლები მადაგა  
 და სახეზე მენერა:  
 გაოცება, სიხარული, მადლიერება  
 და თვითონ მეც  
 ალბათ სინათლეს ვასხივებდი  
 ოთხივე მხარეს.



## ზეციური ტყე

გაზაფხულს სჩვევია  
ზღუდეების მოშლა და გაფრენები;  
გაზაფხულს სჩვევია ალოგიკურობა -  
მთელი დღე ცხელოდა,  
სალამოს კი ისე აცივდა,  
გარდერობში ჯემპრი მოვიძიე.

ცივი ქარია...  
ჯიბიდან ამოვარდნილი ერთლარიანიც  
არღვევს გრაფიტაციის კანონს  
და თვალეზნაღვლიანი შველი  
გარბის ზეციური ტყისკენ,  
გარბის მასთან,  
ვინც ის დახატა.

## ბრონეულის ყვავილი შემოდგომისას

ბუნებრივი,  
მაგრამ ჩვენთვის სტიქიური მოვლენები -  
ანომალია!..  
რის შემდეგაც აღარ შერჩათ ხეებს ფოთოლი  
ისე, როგორც ჩვენ დაკარგეთ  
ავბედითი დროის გამო  
დროცა და ვინმეც.

დგანან ხეები.  
გადარჩენილი, მაგრამ უკვე  
უგაზაფხულო  
და ზაფხულნარტმული ხეები დგანან  
და მაინც ჰყოფნით გულუბრყვილობა,  
რომ კიდევ სცადონ  
და კვირტები კიდევ ერთხელ გამოიტანონ,  
თუნდაც ახლა -  
გვიან, უდროოდ...

და ბრონეულზეც იფეთქა ყვავილმა,  
ნითელმა ყვავილმა!  
იფეთქა თითქოს ნაგვიანვე სიყვარულივით.  
იფეთქა არა მაინცდამაინც  
ნაყოფისთვის - ბაგეების და გემოსათვის,  
არამედ უფრო  
თვალისათვის, გაცუცებისთვის!..

და მერე რა,  
თუ მართლა გვიანია?  
მერე რა,  
თუ ესეც ამაოა? -  
დაე, ყველაფერი  
სევდიანი ღიმილით დასრულდეს!..



## CAMEL

გიორგი თავართქილაძეს

გახსოვს, გიო,  
 ორი წლის წინ რომ მესტუმრე  
 და ორი ბლოკი სიგარეტი ჩამომიტანე?..

რა კარგი სალამო იყო! -  
 ეზოში ვისხედით და ვესვამდით.  
 ცა იყო მონმენდილი და ვარსკვლავებიანი  
 და ცაზე  
 დასეირნობდნენ დათვები - დიდი და პატარა.

ძირს კი,  
 ბალახზე დაგდებული სიგარეტის კოლოფიდან  
 გაოცებული აქლემი გვიყურებდა:  
 ასეთი ხალხი და ბალახი  
 აქამდე არც მინახავსო.

## ჰაიკუს მცდელობა

1.\*\*\*

თებერვლის კიბის  
 ბოლო ორი საფეხური  
 ჩატეხილია.

2.\*\*\*


ხის ტოტებს მიღმა  
 შევეყურებ შენი სახლის  
 დახურულ ფანჯრებს.

3.\*\*\*

სულ არ აკრთობს  
 ძაღლის ღამეული ყეფა  
 ფიქრის ქარავანს.

4.\*\*\* (დილა)

ხელი რომ გავიწოდე,  
 ღამის მუქი პეპელა აფრინდა  
 ჩემი პერანგიდან.





დონ დელილო

# ბაადერ- მაინჰოფი

ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარიაძე

2000 წლის 11 სექტემბრის ამბებიდან ძალიან მალე დონ დელილომ დაწერა ესეე, რომლის სახელწოდებაა "მომავლის ნანგრევებში: განსჯა ტერორიზმისა და დანაკარგის შესახებ სექტემბრის აჩრდილქვეშ". მას რამდენიმე თვეში მოჰყვა მოთხრობა "ბაადერ-მაინჰოფი", ბოლოს კი რომანი Falling Man, და შეანრობრივად განსხვავებული ეს სამი ტექსტი (რომანის თემატიკა ისევე 11 სექტემბრის ამბების გარშემო ტრიალებს) სამართლიანად ითვლება არა მხოლოდ მსოფლიო ტერორიზმის, არამედ თანამედროვე მსოფლიოში ამერიკის როლის შესახებ განსჯის, ხელახლა შეფასების მცდელობად. რა კითხვებს სვამს ავტორი? უპირველესად ალბათ მკითხველიც მასთან ერთად ინყვრის ფიქრს: რას აკეთებს ამერიკა ისეთს აღმოსავლეთში, რომ მოწინააღმდეგე ამგვარი თავგანწირული დანაშაულის ჩადენის სურვილი უჩნდება?

აქ წარმოდგენილ მოთხრობას თუ მიუვებუნდებით, კითხვა ისევე მსგავსია და ამ კითხვას პერსონაჟის გონება უტრიალებს. რატომ ჩაიღინეს ეს? ჯერ ის გავარკვიოთ, ვისზეა საუბარი. ულრიკე მაინჰოფი, გუდრუნ ენსლინი და ანდრეას ბაადერი 1960-70 წლების რადიკალურ-მემარცხენული ტერორისტული ორგანიზაციის, RAF-ის წევრები იყვნენ, მაგრამ ტერორისტებად არ დაბადებულან. "სახელმწიფომ მოკლა" პრინციპს მიმსგავსებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთებად ისინი ახალმა გერმანულმა სახელმწიფომაც აქცია, რომელსაც, სხვა ტიპის კრიტიკასთან ერთად, ზოგი ახალგაზრდა გერმანელი ნაცისტური აზროვნების გადმონაშთებთან სამარცხვინო "კოპაპიტაციამი" ამხელდა. მერე მათ საპროტესტო აქციებში შეგობარნი მოუკლეს, სტუდენტები რუდი დუჩკე, დანარჩენი შესანიშნავად უწერია ანა კორძაიას თავის ესეში "ძალიან სახიფათო ფრაუ მაინჰოფში". და აი, მოთხრობის პერსონაჟი, გოგონა, დაჟინებით უტრიალებს კითხვას: რატომ ჩაიღინეს ეს? გოგონა გრძნობს, რომ განწირული რადიკალების ისტორიაში არის რაღაც, რაც მათ მიმართ თანაგრძობისმაგვარ განცდას იწვევს, რეალობის ეს ამგვარი გადაფასება კი - სიცარიელის შეგრძნებას ბადებს, რადგან მას არასდროს უფიქრია სახელმწიფოს როლზე სხვაგვარად, არასდროს არ უთქვამს ახალგადაცნობილი მამაკაცივით: "ან სახელმწიფომ მოკლა". როგორც ჩანს, გოგონას ამ ცხოვრებაში წესრიგი უყვარს და კაცი, რომელიც დაუფეგმავ რამეებს სთავაზობს, მისი სინამდვილიდან უცხო სხეულივით განიღვევება (თუმცა სიმართლეს თითქოს სხვადასხვა მხრიდან უახლოვდებიან და ამიტომ, მოთხრობის ფინალურ ნაწილში მათ მაინც ერთ სივრცეში ვხვდებით: Moma-ში, ისევე გერმანულ რიტერის ნახატების წინ). სამაგიეროდ მთელი მოთხრობა იმ სულიერი გამოცდარების ატმოსფეროთია გაჯერებული, რომელსაც სხვა, გლობალური წესრიგის და სამართლიანობის განცდის ხელიდან გამოცლა აჩენს. და, მგონი, არის კიდევ რაღაც - შეიძლება მეტლბა - დიქტონია: ერთი მხრივ, ქალი და მამაკაცი, რომელთაც აქვთ სიცოცხლე, ახალგაზრდობა, თავისუფლება, მაგრამ არ იციან, რა უყონ ამ ყველაფერს, მეორე მხრივ კი ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს პირველიც, მეორეცა და მესამეც, იმის გამო, რომ "იქ იდგნენ", სადაც იდგნენ, სხვაგვარად არ შექძლით.



ქალი გრძნობდა, რომ მის გარდა ოთახში კიდევ იყო ვიღაც. ხმაური არ გაუგონია, რალაც მოუხვლტებელი იგრძნო ზურგს უკან, ჰაერის ოდნავი ამოძრავება. მანამდე მარტო იჯდა დარბაზში, გალერეაში გამოფენილი ნახატები იყო მხოლოდ მის ირგვლივ - თხუთმეტი ტილოსაგან შემდგარი სერია, და მათ შემყურეს ისეთი განცდა დაუფლებოდა, თითქოს ჭირისუფლად ეჯდა ვიღაც ძალიან ახლობელს, ნათესავს ან მეგობარს.

დარდში თანაზიარობაც სწორედ ასე წარმოედგინა.

ახლა ულრიკეს უყურებდა, მის თავს და ტორსს, ყელზე დარჩენილ თოკის კვალს, თუმცა, ზუსტად არც იცოდა, რით ჩამოიხრჩო მან თავი.

მერე გაიგონა, როგორ ნაპოვიდა ვიღაც გრძელი სკამისკენ, რომელზეც თავად იჯდა - მამაკაცის მძიმე, ფლატუნა ნაბიჯების ხმა მოესმა, ფეხზე ნამოდგა და იმ ნახატს მიუახლოვდა, რომელზეც ულრიკე იყო გამოსახული, სამ, ერთმანეთის მსგავს ნამუშევართაგან ერთ-ერთს, რომელზეც მკვდარი ულრიკე ციხის საკნის იატაკზე წევს, თავი - პროფილშია შესრულებული. ტილოები ერთმანეთისგან ფორმატით განსხვავდებოდა. ქალის სხეული - თავი, კისერი, ყულფისგან დატოვებული ზოლი, თმა, სახის ნაკვეთები თითოეულზე დაბინდულად იყო დახატული, თითქოს მნახველისგან საბურველი ჰყოფდა, ესა თუ ის დეტალი რომელიმე მათგანზე უფრო მკავდა იყო გამოსახული: პირი, რომელიც ერთგვან გოდადღაბნილი ჩანდა, სხვა ნახატზე თითქმის ნატურალურად გამოიყურებოდა; რალაც საერთო

პირიცობის მოხელთება შეუძლებელი იყო.

როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცა ასე?

ქალი მისკენ არც კი მიბრუნებულა.

რამდენი ჩრდილია. ფერები კი საერთოდ არ აქვს გამოყენებული.

არ ვიცი, - მიუგო ქალმა და ნახატების სხვა ციკლისკენ წავიდა, რომელსაც "ჩაცხრილული კაცი" ერქვა. აი, ეს იყო ანდრეას ბაადერი. ადრე გუნებაში მხოლოდ მისი გვარი ჰქონდა, მაინჰოფი კი მისთვის ყოველთვის ულრიკე იყო. გულდრუნიც.

ვცდილობ გავიაზრო, რა დაემართათ.

ყველამ თავი მოიკლა. ან სახელმწიფომ მოკლა ისინი.

სახელმწიფომ, - თქვა კაცმა და მერე ისევ გაიმეორა, დაგუბებული, მელოდრამატული ხმით, რომელიც მხატვრულ კითხვას უფრო მოუხვდებოდა.

ქალს ბუნებრივად მოეჩვენებოდა, თავი უცნობისაგან გაბეზრებულად რომ ეგრძნო, მაგრამ ამის ნაცვლად საკუთარი თავის მიმართ გაუცნობიერებული გალიზიანება დაუფლდა. სახელმწიფოზე ასეთი ტონით არასდროს ულაპარაკია, ხალხის უზუნაესი ძალაუფლება დაუნდობელი მანქანის კონტექსტში არასდროს აღუქვამს. ეს მისი ლექსიკონის სიტყვები არ იყო.

ორი ნახატი, რომელზეც საკანში ნაპოვნი მკვდარი ბაადერი იყო გამოსახული, ერთნაირი ფორმატის იყო, მაგრამ ჩანდა, რომ მხატვარი თემას თითოეულ მათგანში სხვადასხვაგვარად მიუდგა, და ახლა სწორედ ამაზე ჰქონდა გამახვილებული ყურადღება - ამ განსხვავებაზე, ხელზე, პერანგზე, ამო-





უცნობელ საგანზე ამ და მეორე ტილოს კიდეში, რა-ღაც შეუსაბამობაზე თუ გაუგებარზე.

მე არ ვიცი, რა მოხდა სინამდვილეში, - თქვა ქალმა, - მხოლოდ იმას გეუბნებით, რა ვარაუდებიც ხალხში არსებობს. ეს ამბავი ოცდახუთი წლის წინ მოხდა. არ ვიცი, როგორ აღიქვეს ეს ყველაფერი მაშინ, გერმანიაში, ეს აფეთქებები და ადამიანების გატაცებები.

წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები, თქვენ ასე არ გეჩვენება?

ზოგი თვლის, რომ ყოველი მათგანი თავ-თავი-ანთ საკნებში დახოცეს.

წინდანი დათქვეს. ესენი ხომ ტერორისტები იყვნენ. ხოლო ტერორისტები, როცა სხვა ადამიანებს არ კლავენ, თავს იკლავენ, - თქვა კაცმა.

ქალი ანდრეას ბაადერს უმზერდა, ჯერ ერთ ტილოზე, მერე - მეორეზე. მერე მზერიით ისევ პირველ ტილოს დაუბრუნდა.

არ ვიცი. თუ ასეა, შეიძლება ეგ უარესიც იყოს. მაშინ უფრო სევდიანი გამოდის მათი ამბავი. რამხელა ნაღველია ამ ნახატებში.

ნახეთ, აქ ერთ-ერთი ილიმება, - თქვა კაცმა.

ლიმილით გუდრუნი ილიმებოდა. ნახატზე, რომელსაც "კონფრონტაცია 2" ერქვა.

დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს ლიმილია. თუმცა, შეიძლება ილიმება კიდევც.

ეს ყველაზე ნათელი სახვა ამ დარბაზში. შეიძლება, მთელ მუზეუმშიც. ილიმება, - თქვა კაცმა.

ქალი დარბაზის მეორე მხარეს, გუდრუნის პორტრეტისკენ მიტრიალდა და გრძელ სკამზე მჯდომ-

მარე, მისკენ ნახევრად მობრუნებული შემელოტებული, კოსტიუმიანი მამაკაცი დაინახა, რომელსაც ყველსახვევი ოდნავ შეეხსნა. მზერიით დაუბრინა. მამაკაცი მას უყურებდა, ქალი - ციხისსამოსიან გუდრუნს, რომელიც კედელს იყო მიყუდებული, და ერთ-ერთ, საშუალო ზომის ნამუშევარზე თითქოს... ჰო, ილიმებოდა. სამი ტილო ეკიდა გუდრუნის გამოსახულებით: ერთზე ილიმებოდა, მეორეზეც, მესამეზე თითქოს არც ილიმებოდა.

ამ ნახატების აღსაქმელად გარკვეული განათლება საჭირო. სხვაგვარად ჭირს გამოსახულებების ერთმანეთისგან გამოცალკეება.

ძალიანაც გასაგებია ყველაფერი. უბრალოდ უნდა უყურო. უნდა უყურო, სხვა არაფერი.


გოგონას საკუთარ ხმაში ოდნავი საყვედურის ინტონაცია მოესმა. მოშორებული კედლისკენ დიდძალი, ტილოსკენ, რომლის ნახევარზე მაინც ერთმანეთზე ახრობილი ნივნის თაროები იყო გამოსახული, და კიდევ რაღაც მუქი, გაურკვეველი საგანი - შესაძლოა, საკიდზე ჩამოკიდებული პალტო.

თქვენ ალბათ სტუდენტი ხართ, ან სახვით ხელოვნებას ასწავლით, - თქვა კაცმა, მე კი, სიმაართლე გითხრათ, სამსახურს ვეძებ და ერთი გასაუბრებიდან მეორემდე დრო აქ გამყავს.

გოგონას არ მოუნდა გამოტყდომოდა, რომ აქ ორი სრული დღე გაატარა, ის დღე კი მესამე იყო. მომდევნო კედლისკენ გადაინაცვლა, რომელიც გრძელ სკამთან უფრო ახლო იყო. მერე მამაკაცს მიუბრუნდა.

ძვირი სიამოვნებაა აქ სიარული, - თქვა მამაკაცმა, - თუ აბონემენტი არ გაქვთ.





არ მაქვს. ესე იგი, სახვით ხელოვნებას ასწავლით. არა, არ ვასწავლი.

ალბათ, ერთი სული გაქვთ, მოვეკეტო, არა? "მოკეტე რა, ერთი, ბობ". ოღონდ მე ბობი არ მქვია.

ნახატზე ადამიანების დიდი ჯგუფი კუბოებს ეზიდებოდა. გოგონა თავიდან ვერ მიხვდა, რომ ეს კუბოები იყო. ბრბოც კი ვერ შენიშნა თავიდან, კარგა ხანი დასჭირდა ამის მისახვედრად. ეს ხალხი ნაცრისფერ ბუნდოვან მასად იყო გამოსახული, ოღონდ წინა პლანზე, შუა ნაწილიდან ცოტა მარჯვნივ მნახველისკენ ზურგშექცევით მდგარი ადამიანების ფიგურები მოჩანდა, ოდნავ უფრო შორს, ტილოს ზედა ნაწილში კი - რალაც გამოთავებასავით, რაც ალბათ უფრო მინის ზოლი ან გზა უნდა ყოფილიყო, და გოგონას რალაც ხანი დასჭირდა იმის გასაცნობიერებლად, რომ სამი მოთეთრო ლაქა ნახატის ცენტრთან ახლოს კუბოები იყო, რომლებიც ბრბოს გამოეტარებინა და მიწაზე დაესვენებინა.

ამ კუბოებში ესვენა ანდრეა ბაადერის, გუდრუნ ენსლინის და იმ მამაკაცის გვამები, რომლის სახელიც გოგონას არ ახსოვდა. ისიც თავის კამერაში იპოვეს მოკლული. ბაადერივით. გუდრუნი - ჩამომხრწვალა.

გოგონამ იცოდა, რომ ეს ულრიკეს მერე მოხდა,

დაახლოებით წელიწად-ნახევრის შემდეგ. ულრიკე, გოგონამ ასე იცოდა, 1976 წლის მისში გარდაიცვალა.

დარბაზში ორი მამაკაცი შემოვიდა, მათ კვალდაკვალ ხელჯოხიანი ქალი შემოჰყვათ. სამივე იმ სტენდთან დადგა, რომელზეც ნამუშევრებისთვის დართული განმარტებები იყო და კითხვას შეუდგნენ.

კუბოებიან ნახატზე კიდევ იყო რალაც, რალაც ძნელად მოსახელთებელი. გოგონამ ეს მხოლოდ მეორე დღეს, გუშინ შენიშნა, და შენიშნა თუ არა, ამ რალაცამ მასზე შოკისმომგვრელი შთაბეჭდილება მოახდინა და თვალს ახლაც ვერ აშორებდა - ტილოს ზედა ნაწილში, შუაგულიდან ოდნავ მარცხნივ საგანი იყო გამოსახული, შეიძლება ხე, ხის გაურანდავი ჯვრის მსგავსი ფიგურა.

გაიგონა თუ არა, რომ ხელჯოხიანი ქალი მოპირდაპირე კედლისკენ გაეშურა, ნახატს მიჯრით მიუდგა.

გოგონამ იცოდა, რომ ეს ნამუშევრები ფოტოების მიხედვით იყო შექმნილი, მაგრამ თვითონ ფოტოები არ უნახავს, და ამიტომ არ იცოდა, იდგა თუ არა ფოთლებშემოძარცვული ან გამხმარი ხე სასაფლაოს უკან, ანდა ზედ კენწეროსქვეშ გარდიგარდმო გამოზრდილი ორი ტოტი, რომლებიც მას ჯვარს ამსგავ-



სებდნენ.

მამაკაცი, რომელსაც აქამდე ესაუბრებოდა, ახლა უკვე გვერდით ედგა.

მითხარით, რას ხედავთ. გულწრფელად მითხარით. მინდა, ვიცოდეთ.

ამ დროს დარბაზში ხალხი შემოვიდა: გიდს დამთვალელებების ჯგუფი შემოჰყვა და მათკენ გაექცა თვალი. უყურებდა, როგორ იკრიბებოდნენ ციკლის პირველ ნახატთან, რომელზეც ულრიკე გაცილებით უფრო ახალგაზრდა ქალადაა გამოსახული, ვიდრე ბოლოს იყო, თითქმის გოგონად, სევდიანი, ჩაფიქრებული სახით. მისი ხელის მტევანი კი თითქოს მის გარს შემოჯარულ სიბნელებში დაცურავს.

ახლად ვხედები, რომ პირველ დღეს ეს ნახატები თითქმის უაზროდ მითვალისწინებია. მეგონა, რომ ვუყურებდი, მაგრამ თურმე მხოლოდ პირველი შთაბეჭდილება მიმიღია. დღესღა ვინყებ ამათ აღქმას.

გვერდით ედგა, ერთად უმზერდნენ კუბოებს, ხეებს და ადამიანების მასას. გიდი ჯგუფისთვის ნამუშევრების შესახებ თხრობას შეუდგა.

მერე რას გრძნობთ ახლა, რაკი აღქმა ახლა დაინწყით? - ჰკითხა კაცმა.

არ ვიცი, მიჭირს ახსნა.

მე, მაგალითად, ვერაფერს ვგრძნობ.

მგონი უსუსურობის განცდა მიჩნდება. ეს ნამუ-

შვერები თითქოს იმის განცდას გიჩენენ, თუ რა უსუსურია ადამიანი.

ამისთვის მოდიხართ აქ, მესამე დღეა? იმისთვის, რომ საკუთარი უსუსურობა შეიგრძნოთ? - ჰკითხა კაცმა.

იმიტომ მოვდივარ, რომ მიყვარს ეს ნახატები. სულ უფრო და უფრო მეტად მიყვარდება. თავიდან მაბნევენდნენ. ახლაც, ცოტა არ იყოს. მაგრამ ახლა ვიცი: იმიტომ მოვდივარ, რომ მიყვარს ეს ნახატები.

საქმე კი ჯვარში იყო. გოგონამ ნახატზე ჯვარი დაინახა და ისეთი გრძნობა დაეუფლა - შეიძლება, მართებული იყო ეს გრძნობა, შეიძლება, მცდარი - რომ ნახატი რაღაც ისეთი ელემენტი იყო, რომელიც შენდობაზე აფიქრებდა, თითქოს ეს ორი მამაკაცი და ერთი ქალი, ტერორისტები, მანამდე - ულრიკე, ასევე ტერორისტი, შეუნდობარნი არ დარჩებოდნენ.

მაგრამ გვერდით მდგარი მამაკაცისთვის ჯვარი არ უჩვენებია. არ სურდა მასთან ამაზე ლაპარაკი. რა თქმა უნდა, აცნობიერებდა, რომ ჯვარი არ მოლანდებია, მხატვრის დაუდევარ მონასმებს შორის არ მოსჩვენებია, მაგრამ პრიმიტიული დაეჭვების მოსმენა სხვა ადამიანისგან ახლა არ სურდა.

მერე სასაუბროში გავიდნენ და ვინრო ბარის განვირგვამნკორივებულ სკამებზე ჩამოსხდნენ. ბარი ფანჯარას მთელს გაყოლებაზე გასდევდა, გოგონა



მეშვიდე ავენიუზე მოსიარულე ადამიანების მასას ადევნებდა თვალს და საჭმლის გემოს ლამის ვერ გრძნობდა. ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს ნახევარი მსოფლიო აქ მირბი-მორბოდა.

პირველი დღის გააქტიურებული ვაჭრობა გამოძრა, - თქვა კაცმა, - როცა ბირჟაზე აქციების ფასი დრეჯერებლად იზრდებოდა, ხანდახან ოთხას პროცენტით ორი საათის განმავლობაში. კულდეს მივუსწარი, როცა უკვე ყველაფერი გაყიდული იყო.

ამასობაში ყველა სკამი დაკავებული აღმოჩნდა და ახალშემომავლებს ფეხზე მდგომელებს უხედებოდათ ჭამა. გოგონას შინ ნასვლა და ავტომობა-სუსხის ჩანანერების მოსმენა მოუნდა.

ახლა სულ ამ შეხვედრებზე დავრბივარ. სახეს ვიპარსავ, სულადივით ვიღიმები. ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთია, - თქვა კაცმა, მსუბუქად, ლეჭვა-ლეჭვით.

მალალი, ჩახსმული კაცი იყო, რალაცნარი თავისუფალი მოძრაობები ჰქონდა, დუნე მოუქნელობა. ვილაცამ გოგონას წინ ხელსახოცის ასაღებად ხელი გაიწვინა. გოგონა ვერ ხვდებოდა, რას აკეთებდა აქ, რატომ ესაუბრებოდა ამ მამაკაცს.

არც ფერვლია ამ ყველაფერში, არც რამე აზრი, - ჩაილაპარაკა კაცმა.

არა, იყო აზრი იმაში, რაც მათ გააკეთეს. სწორი არ იყო მათი საქციელი, მაგრამ არც სიბრძავე იყო მასში და არც სიცარიელე. ჩემი აზრით, მხატვარიც სწორედ ამ სიმართლეს ეძებდა. როგორ მოხდა, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა? მგონი სწორედ ამ კითხვას სვამს. როგორ მოხდა, რომ ყველა მათგანი მოკვდა.

აბა სხვანაირად როგორ უნდა დამთავრებულიყო? თქვენ მითხარიეთ ეს სიმართლე, - თქვა კაცმა, - თქვენ ხომ სახვით ხელოვნებას ასწავლით უნარმეზღულულ ბავშვებს.

გოგონას გაუჭირდებოდა თქმა, საინტერესო მოჩვენება მისი ნათქვამი თუ დაუნდებელი, მაგრამ ფანჯრის მინაში საკუთარ სახეზე თავმჯიკავებელი ღიმილი დაინახა.

სახვით ხელოვნებას არ ვასწავლი. ამ ფასიფუდის საჭმელს მე პირადად უფრო ნელა ვჭამ. გასაუბრება ოთხის ნახევარზე მაქვს. ნელა ვჭამ. და მიამბეთ, რას ასწავლით.

არსად არ ვასწავლი.

გოგონას აღარ უთქვამს, რომ სამსახური მანაც დაკარგა. უკვე დაიღალა იმის გამუდმებული მოყოლით, როგორი სამუშაო ჰქონდა გამოძევებლობაში, რომელიც სასწავლო ლიტერატურას გამოსცემდა. რალა საჭირო იყო ამის თქმა, როცა აღარც სამუშაო ჰქონდა და აღარც მისი გამოძევებლობა არსებობდა.

სამწუხაროდ, აუჩქარებლად ვერ ვჭამ. გამუდმებით მიხდება საკუთარი თავისთვის შეძახება. მაინც არ გამოძდის.

მაგრამ მიზეზი სხვა იყო. გოგონას არ უთქვამს, რომ სამსახურს ეძებდა, რადგან ის იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ რალაც აქვეთ საერთო. არ უნდოდა, მათ შორის თანაღმობის თუ მეგობრობის მსგავსი გრძნობა გაჩენილიყო. საჯობდა, საუბრის ტონი დამაშორიშორებელი, გამაცალკეებელი ყოფილი-

ყო. ვაშლის წვეს სვამდა და ქუჩის გამვლელ-გამომვლელთა მასას გასცქეროდა, მათ სახეებს, რომლებიც რალაც ნამებით ყოველთვის გასაგები და შეცნობივად ეჩვენებოდა, შემდეგ კი სამუდამოდ ერეცხებოდა მეხსიერებიდან.

ჯობდა, ნამდვილ რესტორანში ნავსულიყავით. აქ ძნელია საუბარი. თავს მყუდროდ ვერ გრძნობთ. არა, არაფერია. მშვენიერად ვარ აქ. დროც არ მაქვს ახლა საამისოდ.

კაცმა თითქოს აწონ-დაწონა მისი ნათქვამი, გუნებაში არ შეეპუა და იხტიბარი ოღნავაც არ გატეხვია. გოგონამ გაიფიქრა, ტუალეტში ხომ არ გავიდო, მაგრამ მერე გადაიფიქრა. მკვდრის პერანგი გაახსენდა. ანდრეას ბაადერის პერანგი, რომელიც ერთ ნახატზე უფროს ჭუჭყიანი თუ უფრო სისხლიანი ჩანდა, ვიდრე ციკლის მკორე ნახატში.

სამაგიეროდ, თქვენ თვითონ გაქვთ შეხვედრა სამ საათზე დანიშნული, - უთხრა კაცს.

ოთხის ნახევარზე. მაგრამ მანამდე დიდი დროა. ის სულ სხვა სამყაროა. იქ ყელსახვევს ვიკეთებ, შევდივარ, ვჯდები, სახვით ვეცნობი, - კაცი ნამით შეყოვნდა, მერე გოგონას შეხედა, - ახლა ნესით უნდა მეკითხებოდეთ, "ვინ ხართ, ვაგეცნაით".

გოგონამ ისევ დაინახა ღიმილი თავის სახეზე. მაგრამ არაფერი უთქვამს. გაიფიქრა, რომ შეიძლება უღირსეს ყელზე დანახული ნაჭდვეი სინამდვილეში ნაჭდვეი კი არა, თოკი იყო - თოკი, და არა მავთული, ან ქამარი ან რამე სხვა.

ახლა თქვენი რეპლიკა დილაოგში უნდა იყოს: "ვინ ხართ?" ისე კობხად მივიყვანეთ ამ ფრანამდე, თქვენ კი თქვენი რეპლიკით არ ისარგებლებთ.

ჭამა დაამთავრეს, მაგრამ ქალაქის ქიქები ჯერ არ დაეცარიელებინათ. ილაპარაკეს ბნის ქირაზე, ქირის ფასებზე ქალაქის ამა თუ იმ უბანში. გოგონას არ უნდოდა თქმა, სად ცხოვრობდა. სინამდვილეში სულ სამი კვარტლის დამორებით ცხოვრობდა, მუხხედვე აუურის სახლში, რომელსაც, ყველა მისი ნაკლები მიუხედავად, უკვე საკუთარი ცხოვრების ტექსტურის ნაწილად აღიქვამდა და ყოფიერების სიმძიმისაგან იმდენად გამოყოფილი ჰქონდა, მასზე დაინვლებას გუნებშიც ვერ გაივლებდა.

მერე დიდხანს არჩევდნენ ადგილებს, სადაც სირბილი და ველოსიპედით გასიერება შეიძლებოდა. კაცმაც უთხრა, სად ცხოვრობდა და რომელი მარშრუტებს ირჩევდა სარბენად, გოგონამ კი დაიჩივლა, რომ ველოსიპედი სახლის სარდაფიდან მოპარეს, ხოლო როცა კაცმა ჰკითხა, სად ცხოვრობდა, უხალისოდ, მაგრამ მაინც უთხრა, კაცი კი, რომელიც თავის დიეტურ სოდას სასმელს სვამდა, ფანჯარაში იყურებოდა, ან, შესაძლოა, სულაც ფანჯარას უყურებდა, სადაც მათი მკროალი მინარეკლები წყვილად მოჩანდა.

როცა გოგონა აბაზანიდან გამოვიდა, კაცი სამუხარულოს ფანჯარასთან ისე იდგა, თითქოს ელოდებოდა, როდის ჩაიღებოდა სულს რალაც, რასაც გასცქეროდა. მაგრამ იქ არაფერი იყო, აუურის მტვრისანი კედლის და მინის გარდა: მეზობელ ქუჩაზე მდგარი შენობა, რომლის ზედა სართულზე რალაც სანა-



რმო იყო განთავსებული, ფანჯრისკენ ყრუ კედლით იდგა.

სტუდიის ტიპის ბინა იყო, ნახევრად გამოყოფილი სამზარეულოთი. კუთხეში პატარა სანოლი იყო მიდგმული, ზედ ჭრელი ბერბერული პლედი ეფარა - ერთადერთი რამ ბინაში, რაც ყურადღებას იპყრობდა.

გოგონამ იცოდა, რომ წესით, კაცისთვის დასაღვლეი უნდა შეეთავაზებინა. უხერხულად გრძობდა თავს, რადგან მოულოდნელი სტუმრების მიღებას არ იყო მიჩვეული.

დიდი ხანია, აქ ცხოვრობო? თითქმის თოხი თვეა. მანამდე ვმომთაბარობდი, - თქვა გოგონამ, - ხან ბინას ვქირაობდი, ხანაც მეგობრებთან ვცხოვრობდი ცოტ-ცოტა ხანს. განქორწინების შემდეგ სულ ასე იყო.

განქორწინების? - ეს ისეთივე შეცვლილი ხმით თქვა, ისეთივე რიხიანი ბარიტონით, როგორც მანამდე "სახემწიფო".

მე ცოლი არასდროს მყოლია. გჯერათ? ჩემი მეგობრების უმეტესობა ამ ასაკში... თუმცა, რა უმეტესობა, ყველა ასეა: ქორწინება, განქორწინება, ბავშვები. თქვენ არასდროს გლომებთან ბავშვები?

არასდროს? ოდესმე ალბათ მომიხდებოდა, კი.

მე სულ ბავშვებზე ვფიქრობ. ეგოსტად ვგრძნობ თავს იმის გამო, რომ ასე ვუფერთხი ოჯახის შექმნას. მერე რა, რომ სამსახური არ მაქვს. დღეს თუ ხვალ მუშენება, თან კარგი. ახას რა მნიშვნელობა აქვს. სინამდვილეში ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გაზარდო თოთო, ერთი ციდა ადამიანი.

მერე ხის დაბალ ყავის მაგიდასთან, რომლზეც გოგონა ყოველთვის ჭამდა ხოლმე, გარდივარდმო ისხდნენ და ლიონის ნაჭრებიან სელტერის წყალს სვამდნენ. ეს საუბარი გოგონას ცოტათი აკვირვებდა. არა, ლაპარაკი არ უჭირდა, თავს მაშინაც კი არ გრძობდა უხერხულად, როცა საუბრის დროს მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდებოდა ხოლმე. გოგონა გრძობდა, რომ კაცი პატიოსნად და გულწრფელად მსჯელობდა.

მერე მამაკაცის მოსულ სხეულზე სადაღაც ფიჭურმა ტელეფონმა დარეკა. კაცმა მოკლედ ისაუბრა, მერე ისე, რომ ტელეფონი ხელიდან არ გაუშვია, ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა.

- ჯობდა გამოემართო. მაგრამ ადამიანი სულ ფიქრობ, ვთქვამთ-და გამოერთო. ვიცო, რას გამოვტოვებ? იქნებ რაღაც წარმოუდგენლად არაჩვეულებრივს.

- ზარს, რომელიც ამ ქვეყნად ყველაფერს ცვლის. - რაღაც არაჩვეულებრივს. მთელი ჩემი ცხოვრების ზარს. ჩემს ფიჭურ ტელეფონსაც ამიტომ ვცემ პატივს.

გოგონას საათისკენ მოუნდა ახედვა. ახლა გასაუბრება არ უნდა გქონოდათ? გაგიუქმეს?

არაო, უთხრა კაცმა, გასაუბრებასთან ამ ზარს აკვირბი არ აქვსო, და გოგონამ თვალი კედლის საათისკენ გააპარა. ვერ გადაეწყვიტა, უნდოდა თუ არა, რომ კაცს გასაუბრება გამოეტოვებინა. შეუძლებელია, რატომ უნდა სდომებოდა.

მგონი, თქვენც ჩემგან ხარტ მონყობილი, -

თქვა კაცმა. - მაინცდამაინც რაღაც მნიშვნელოვანის ზღურბლზე უნდა აღმოჩნდეთ, მანამდე მზად არ ხართ. მხოლოდ მერე ეკიდებით რამეს სერიოზულად.

მამობას გულისხმობთ? სიმართლე გითხრათ, გასაუბრება თავად გავაუქმებდი. იქ რომ იყავით, მანამდე, - კაცმა თავის მოძრაობით აბაზანაზე მიანიშნა.

გოგონა უცნაურმა პანიკამ აიტანა. კაცმა სელტერის წყლის ბოლო ყლუში მოსვა და თავის უკან-უკან გადააწევა დაინყო, მანამდე, სანამ ყინული პირში არ ჩაუსრიალდა. მერე ერთხანს ჩუმად ისხდნენ, ყინულის გადნობას ელოდებოდნენ. მერე კაცი ჯიქურ შეაცქერდა. შესხნილი ჰალსტუხის ცალ ბოლოს ხელში ანვალებდა.

მითხარით, რა გინდათ. გოგონა არ განძრვობლა. იმიტომ, რომ ვგრძობო, თქვენ ჯერ მზად არ ხართ და არ მინდა, რამე ნაჩქარევად გავაკეთო. მაგრამ ისე, რომ დაფიქრდეთ, აქ კი ერთად მოვედით.

გოგონა არ უყურებდა. მე ისეთ კაცებს არ მივეკუთვნები, თავის ჭკუაზე რომ უყვართ ქალის ტარება. მე ჩემს ნებას თავზე არ მოვახვევთ. მითხარით, რა გინდათ.

არაფერი. საუბარი, ერთმანეთის მოსმენა - სულ ერთია, რაც თქვენ გინდათ. გრძობა, - განაგრძო კაცმა, - ამ ცხოვრების მთავარი ნაწილი არ არის. გრძობა როგორც მოდის, ისევე მიდის. ჩვენ კი აქ ვართ, ამიტომ ეგებ...

მინდა რომ ნახვიდით. გთხოვთ. კაცმა მხრები აიჩქრა: ნება თქვენია.

მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. თქვენ მკითხეთ, რა მინდა. მე მინდა, რომ ნახვიდით.

კაცი იჯდა და არ იმძრეოდა. მერე თქვა: (იცით, ეს გასაუბრება უმიზეზოდ არ გამოიქმნება. არც ეს ჩვენი საუბარია ამის მიზეზი.

აი, გიყურებთ ახლა. თავს ვუვლები, იცი ვის ჰვავს ის ახლა? ავადმყოფს, რომელმაც საამქვეყნოდ იბრუნა პირი.

გარწმუნებთ, რაც მოხდა, შეცდომაა. ჩემი შეცდომა.

ხედებით, რას ვამბობ? მე და თქვენ აქ მოვედით. როგორ მოხდა ეს? არანაირი შეცდომა არ ყოფილა. მოდით, ვიყით მეგობრები, - უთხრა კაცმა.

მე კი მგონია, რომ უნდა დავამთავროთ ეს ამბავი.

რა დავამთავროთ? ვაკეთებთ რამეს? კაცი ცდილობდა, რბილად ელაპარაკა და მომენტის სიმძაფრე ასე შეერბოლებინა.

როგორც გამოჯანმრთელების პირას მყოფი ავადმყოფი-მეთქი. ჯერ მუზეუმში ვიყავით, ეგ რომ გავიფიქრე. კარგია. შენდებოდა. ახლა კი ორიგინი აქ ვართ. და რაც არ უნდა გავგვეტოვინა ამ უნდა გავაკეთოთ, ეს დღე, როგორც მოვიდა, ისე გავა.

ალბი მინდა ამის ვაგრძელება. ვიყოთ მეგობრები. არ არის ეს ყველაფერი სწორი.

არა, ვიმეგობროთ.

ინტიმურობა, რომელიც კაცს ხმაში შეეპარა, იმდენად ხელოვნური იყო, რომ გოგონამ საფრთხედ აღიქვა. ვერ გაეგო, რატომ იჯდა ჯერ იქ, სადაც იჯდა. კაცი მისკენ დაიხარა და ხელი მხარზე დაადო.

ჩემს ნებას თავს არასდროს არავის ვახვევ. არ მჩვევია ასეთი რაღაც.

გოგონამ ხელი უკან გამოსწია და ფეხზე წამოდეგა. და წამოდგა თუ არა, რაღაცნაირად მამაკაცის სხეულით აღმოჩნდა გარემოცული. უნებურად თავი მხრებში ჩარგო.

კაცს არც მისი მოხვევა უცდია, არც მკერდზე ან თოქოებზე მოფერება, მაგრამ მისი ძალაუფლებად აღიქვა დატყვევება მაინც მოეხერხებინა. გოგონა ერთხანს თავს ისე გრძნობდა, თითქოს საერთოდ აღარ არსებობდა, მთლიანად ჩაბრუნდა საკუთარ თავში, ჩაჩუმდა, სუნთქვა შეიკრა და დაიძაბა. მერე თავი გაითავისუფლა. მამაკაცმა ამის საშუალება მისცა, მაგრამ ისეთი დაჟინებით, ისეთი მუსტრის თვლით უცქერდა, რომ გოგონა ლამის ვეღარ ცნობდა. კაცი მზერით აფასებდა, რაღაც საშინელი, მწველი მზერით აფასებდა.

ვიყით მეგობრები, - უთხრა ისევ.

გოგონა გრძნობდა, რომ თავს აქნევდა, თითქოს არ სჯეროდა, რაც ხდებოდა, თითქოს მომხდარი უკან დაბრუნება, გაუგებრობისთვის მიწერა შესაძლებელი ყოფილიყო. კაცი უმზერდა და უმზერდა. გოგონა საწოლის გვერდით იდგა, და კაცის მხერამში სწორედ ეს ინფორმაცია იკითხებოდა, ეს ორი რამ, ერთად, გოგონა და საწოლი. კაცმა მხრები აიჩინა, თითქოს ამბობდა, "ეს არის ის ერთადერთი რამ, რაც ბუნებრივად შეიძლება მოხდეს. აქ ერთად ყოფნას არ აზრი აქვს, თუ რაც მოსახდენია, ვერ მოხდება?" მერე რამდენიმე აუჩქარებელი მოძრაობით, რომლებმაც თითქოს ოთახი შუავსო, პიჯაკი გაიხადა. დაჭმუჭნილ თეთრ პერანგში, გავოვლილი, უფრო ტანმსხვილი ეჩვენა - მისთვის სრულიად უცხო მამაკაცი. კაცს პიჯაკი განზე განუღო, გამძლი ხელით ეჭირა.

ხედავთ, არ ადვილია, - თქვა მან. - ახლა თქვენნი ჯერია, ფეხსაცმლით დაიწყეთ. გაიხადეთ, ჯერ ერთი, მერე - მეორე.

გოგონა სააბაზანოსკენ წავიდა. არ იცოდა, რა ელოდა. კედელს მიუყვებოდა, თავჩაქნდრული, გარემო ვერაფერს ხედავდა. მერე სააბაზანოში შევიდა. კარი მიხურა, მაგრამ ჩაკეტვის შეუძინა. იფიქრა, რომ კაცს ეს გაალიზიანებდა, რაშეს ჩაადენინებდა, ვინ იცის, იქნებ დაემტვრებია რაღაც, ან უარესიც ექნა. ამიტომ საკეტო აღარ ვადაუწყევია. ვადაწყვიტო, რომ არც ვადაწვევდა, მანამდე მაინც, სანამ კაცი აბაზანაში შემოვივას არ დააპირებდა. ჯერ-ჯერობით დარწმუნებული, ან თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ახლა ყავის მაგიდასთან იდგა.

გთხოვთ, წადით, - თქვა გოგონამ.

ისე არაბუნებრივად ჟღერდა მისი ხმა, ისე გაუბედავად, რომ მის გაგონებაზე შიში უარესად მოეძალა. მერე გაიგონა, როგორ ამოძრავდა კაცი. აუჩქარებლად, ძალდაუტანებლად, ლამის სასერიოზო ნა-

ბიჯით, რადიატორს ჩაუარა, ფეხქვეშ რაღაც აუჩხრიალად, მერე საწოლს მიუახლოვდა.

უნდა ნახვიდეთ აქედან, - გაუმეორა, ახლა უფრო ხმაძაღვლა.

კაცი საწოლზე იჯდა და ქამრის ბალთას იხსნიდა. სწორედ ეს იფიქრა გოგონამ, როცა ოთახიდან მომავალი ხმა გაიგონა, მარჯლის ვასაყურებში ქამრის გამოტარების ხმა, მერე ბალთის ენამ გაიჩქაპუნა. მოესმა, როგორ გაიხსნა კაცმა ელევა-შესაკრავი.

გოგონა ისევ სააბაზანოს კარს უკან იდგა. ცოტა ხანში გაიგონა, როგორ უხშირა კაცმა სუნთქვას, თითქოს რამე საშუაშოს ასრულებდა დიდი კონცენტრირებით, თან ცხვირით, მოგუდულად სუნთქვად. გოგონა ჩუმად იდგა და ელოდა, თავდასერილი ანგებოდა კარის სახელურს. სხვა აღარაფერი დარჩენოდა, მხოლოდ სმენა და ლოდინი.

მომათვარა თუ არა კაცმა, ხანგრძლივი პაუზა ჩამოწვა, მერე გოგონამ ისევ გოგონა კაცი ამოძრავების ხმა, ტანისამოსის აშარიშურება. პიჯაკს თუ იცვამდა. მერე სააბაზანოს მიუახლოვდა. გოგონამ გაიფიქრა, რომ კარის ჩაკეტვა მანამ ვრობდა, სანამ კაცი საწოლზე იჯდა. გოგონა იდგა და ელოდა. მერე იგრძნო, როგორ მიანვა კაცი კარს, მისგან ერთ ინჩზე, მთელი სხეულის სიმძიმით, მაგრამ თითქოს ვასადებდა არ ანგებოდა, უფრო მოუდნობოდა. გოგონამ უხმაურად გადასწია საკეტის ენა. კაცი ისევ ზედ კარზე იყო მონოლიტი, ხმაძაღვლა სუნთქვად და ლამის კარს შემოვიდოდა.

მაპატიე, - თქვა კაცმა.

ძლივს ისმოდა მისი ხმა, კენესას უფრო გაედა.

გოგონა იდგა, ელოდებოდა. კაცმა თქვა:

ბოდიშს გიხდით. მაპატიე, თუ შეგიძლია. არ ვიცი, კიდევ რა ვთქვა.

გოგონა ელოდა, როდის წავიდოდა კაცი. როგორც იქნა, გაიგონა, როგორ გადაიარა კაცმა ოთახი და როგორ მიიხურა ბინის კარი, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ ელოდა. მერე სააბაზანოდან გამოვიდა და შემოსასვლელი კარი ჩარაზა.


ახლა ყველაფერს გაორკებულად ხედავდა. იქ იყო, სადაც ყოფნა უნდოდა, მარტო, მაგრამ ახლა ვეღარაფერს აღიქვამდა ადრინდელივით. ნაძირალა. ახლა ოთახში ყველაფერს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა: ყველაფერი ისეთი იყო, როგორც იყო, მაგრამ თან იმ ასოციაციებზე ტყველიყო, რომლებიც გონებაში ებადებოდა. სასერიოზოდ გაევიდა ქუჩაში მაგრამ შინ დაბრუნებულს ახალგაჩენილი ურთიერთკავშირები არ გაჰქრობია. ყველაფერი ორალციას აგონებდა: ყავის მაგიდა, საწოლი, სააბაზანო ოთახი. ნაძირალა. გოგონამ მის სახლთან ახლოს მდებარე პატარა რესტორანში ივახშა და დასაძინებლად ადრე დანვა.

მომდევნო დილას, როცა ისევ მუხუქუში მივიდა, კაცი დარბაზში მარტო იყო, მის შუაგულში, გრძელ სკამზე, შემოსასვლელისკენ ზურგმეტყვევით იჯდა და ციკლის უკანასკნელ ნაშუაგულს მესცქეროდა, დანარჩენებზე უფრო დიდი ზომისას, და იმათში ყველაზე სულისშემძვრელს - ნახატს, რომელზეც კუბოები და ჯვარია გამოსახული და "დაკრძალვა" ჰქვია.



# "მიყვარს სექსუალური აუტსაიდერები, სამყარო მათთვის ბევრად უფრო პირქუშია"

ჯონ ირვინგი



ინგლისურიდან თარგმნა ჯაბა ზარქუამ

**რ**ამდენიმე წლის წინ ნავიკითხე "სამყარო გარშის მიხედვით" და მას მერე მის თავგამოდებულ აპოლოგეტად ვარ ქცეული. ჩემი დაკვირვებით, არის ერთი უცნაური ლიტერატურული დაავადება, რომელიც ადრეულ ასაკში დოსტოევსკის მოყვარულებს მთელი ცხოვრება დაჰყვებათ ხოლმე - მათ უწინდებით დაუოკებელი სწრაფვა ნეხვში მარგალიტების ძიებისა და ამ სენით დაავადებულს, რა გასაკვირია, რომ ირვინგი მომენწონა თავისი ჩაგრული და პრობლემური პერსონაჟებით.

ცუდია, რომ ავტორი ქართულენოვანი მკითხველისთვის ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია, არადა, სწორედაც რომ დროული იქნებოდა მისი თარგმნა დღევანდელი მკაცრი, რადიკალური მორალური ნორმებითა და ხელშეუვალი ჭკმმართველებით შეიარაღებული ჩვენი თანამოქალაქეებისთვის. ჯონ ირვინგი სწორედ იმ ოსტატების კატეგორიას მიე-

კუთვნება, რომლებიც პირველ რიგში ცდილობენ გაჩვენონ, რომ ცალსახად და გადაჭრით რაიმეს მტკიცება აბსოლუტური სიბრძნეა. არ არსებობენ "კარგი" და "ცუდი" ადამიანები, რადგან საზღვარი მეტისმეტად მყოფა. ერთადერთი, რაც შეიძლება ცალსახად ცუდი იყოს, კატეგორიული სოციუმია, რომელიც უშურველად და დაუფიქრებლად აკრავს სტიგმებს ადამიანებს და ახარისხებს მათ გარკვეული ნიშნების მიხედვით.

"ნიუ-იორკ-ტაიმსში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში ავტორის პერსონა, რომელიც შეიძლება მეტისმეტად სტერეოტიპულად "მწერლურიც" კი მოგეჩვენოთ, თამაში მოსაზრებები და მთლიანად მსოფლმხედველობა ხელის გულზე დადებულივით ჩანს და მის შემოქმედებაში გაუცნობიერებელ მკითხველს ნამდვილად გაუწევს ირვინგის სამყაროში შესასვლელი კარის ფუნქციას.





- რა ნიგნს კითხულობთ ახლა ლამამობით?  
 - არასდროს ვკითხულობ ლოგინში. ბისექსუალი ბილი ებოტცივით ვარ, ჩემი ნაწარმოების "ერთ ადამიანი" (*In One Person*) მთავარი გმირივით, რომელსაც ლოგინში კითხვას კაცთან ან ქალთან სექსი ურჩევნია.

- სად, როდის და როგორ გიყვართ კითხვა? ფურცელი თუ ელექტრონული ფორმატი?

- დილით ადრე ვდგები და რამის გაკეთებამდე ცოტათი კითხვა მიყვარს ხოლმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ძალიერად ადრე დივიძება. პრინციპში, ლამითაც მსიაძივებს ამ საქმის კეთება, ოღონდ ლოგინში არა, უფრო ლოგინამდე. ელექტრონულ ფორმატს არ ვცნობ, არც ვკითხულობ და არც ვწერ, მხოლოდ ელექტრონულ ფოსტას ვიყენებ მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან საკონტაქტოდ, ეგაა და ეგ. ხელით ვწერ. ადრე ხელით ვწერდი ნაწარმოების მსავე ვარიაზებს და შედეგად ჩაინთვებდა და მომდევნო ვერსიებს საბეჭდ მანქანაზე თერფდი. ახლა კი, ჩემი ბოლო ორი ნიგნით თუ ვიმსჯელებთ, აბსოლუტურად ყველაფერს ხელით ვწერ. დაბალი სიჩქარე ჩემთვის ყველაზე კომფორტულია.

- რომელი შედეგები ნაიკითხეთ ბოლოს?

- ერთი ასეთი ჩვევა მაქვს - როდესაც მომზონს ნაკითხული ნიგნი, ყოველთვის მინდვია მისი ხელმეორედ გადაკითხვა, ნაწილობრივ იმისთვისაც, რომ გავიგო, როგორაა კონსტრუირებული. ორი ნიგნი, რომელიც ამგვარად გადავიკითხე ამ წელს არის მაიკლ ონდაჩეს (*Michael Ondaatje*) "კატის მაგიდა" (*The Cat's Table*) და ედმუნდ ვაითის (*Edmund White*) "ჯექ ჰოლმსი და მისი მეგობარი" (*Jack Holmes and His Friend*). აღფრთოვანებული ვიყავი დროის უწყვეტობის ოსტატურად გამოყენებით (მომავლის ეპიზოდური გაქვებებით წარსულში) და განსხვავებული სექსუალური იდენტობებისა და ხედვის სუბტილების ძალზე მკაფიო გამოსახვით. შემზარავად დიდი ნიგნებია, ვერაფერს იტყვი.

- რომელმა თქვენი ფავორიტი ლიტერატურული ჟანრი?

- მეჯავრება ის თავდაჯერებულობა, რომლითაც ამა თუ იმ ნაწარმოებს ამა თუ იმ "ჟანრს" მიაკუთხებენ. ალბათ, ჩემი "ფავორიტი" ჟანრი ისეთივე რთულად კლასიფიცირებელი იქნება, როგორც ძაღლების ჰომოსექსუალური პრელუდები ბაღებში.

- რომელმა ნიგნმა შეცვალა თქვენი ცხოვრება?

- "დიდი იმედები" (*Great Expectations*).  
 - რამდენი წლის იყავით, როცა ის ნაიკითხეთ? კონკრეტულად რა შეცვალა თქვენზე?

- თხუთმეტის. ამ ნიგნმა მომანდომა, რომ დამეწერა რაიმე მსგავსი. ნაწარმოებს აღვივებდი ვიზუალურად - აბსოლუტურად ყველაფერს ვხედავდი, მსგავსი რამ მაჩამდებ არ გამომეცადა ნიგნებში, მხოლოდ სვენაზე და ისიც ყველა პიესაში არა, უმთავრესად შექსპირში. სრულყოფილად გამოსახულ პერსონაჟებში მაინც რამეღა მისტიკურობის ნაპერსკალი. დიკენსში მიყვარდა ეს საიდუმლოებები და კონტრასტული წინასწარმეტყველებები, რომლებიც ბოლომდე მაინც არავფერს გუებნებოდნენ. თითქოს ხედავდი, რა გეცოდა წინ, მაგრამ, იმავდროულად, ვერც ხედავდი, ასე იყო. ჰარდიმ და მელვილმაც იგივენაირი გავლენა მოახდინეს ჩემზე, თუ-

მცა მაშინ უკვე შედარებით უფროსი ვიყავი.

- რომელ ნიგნს ნაიკითხებდით პრეზიდენტს?

- დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტს ჯეიმს ბოლდუინი (*James Baldwin*) ნაკითხული ექნება, თუმცა არაა გამორიცხული ერთი პატარა ნოველა, "ჯოვანის ოთახი" (*Giovanni's Room*) გამორჩენილია. ეს არის ამბავი უზომო სევდისა. მან ეს ნაწარმოები აუცილებლად უნდა ნაიკითხოს ან გადაიკითხოს ხელახლა, რათა გაძლიერდეს და განმტკიცდეს გვი უფლებებისთვის ბრძოლაში და ერთხელ და სამუდამოდ დააჯეროს ხალხი, რომ გვი უფლებები სამოქალაქო უფლებების ნაწილია. რეალობიკული პრეზიდენტობის კანდიდატების ჰომოფობიური განწყობები, ალბათ, გეიქორწინების ამბებიდან მოდის, ეს ცუდია, რითიც არ უნდა იყოს ის გამოწვეული, მაინც ცალსახად დაუშვებელი და დასაგმობია.

- რომელი ნიგნები მოგწონდათ ბავშვობაში?

- რუთ სთაილს გენეტის (*Ruth Stiles Gannett*) "მამაჩემის დრაკონი" (*My Father's Dragon*).

- ადრინდელ კითხულობდით ნიგნებს თუ გვიან დაიწყებ? სწრაფად კითხულობთ თუ ხელა? იზრდებოდათ ნიგნების გარემოცვაში?

- წელა ვკითხულობ, წელა და ხმაბალა - როცა ვიღლები, მხოლოდ ტუჩებს ვამოძრავებ. ბავშვობაში ბებიჩემი მიკითხავდა ხოლმე, ასევე დედაჩემი და მამაჩემი. მამაჩემს შესანიშნავად გამოსდიოდა ეს საქმე, ბრწყინვალე ხმა ჰქონდა, ნაწილობრივ მასწავლებლის ხმა. დიხა, მე ვიზრდებოდი ნიგნების გარემოცვაში - ბებიჩემის სახლი, სადაც გავატარებ ბავშვობა, ნიგნებით იყო სავსე. მამაჩემი კი ისტორიის მასწავლებელი გახლდათ და რუსული ნაწარმოებები უყვარდა. გარშემო სულ ნიგნები გვეხვივნენ.

- წერას ასწავლიდით. რომელი ნიგნია ყველაზე სწორი ახალგაზრდა მწერლებისთვის?

- არ არსებობს ნიგნი, რომელიც ასე ცალსახად "უნდა" შეისწავლონ ახალგაზრდა მწერლებმა. მათთან მუშაობისას ყოველთვის ცდილობთ იმ არჩევანზე ფოკუსირებას, რომელსაც აკეთებდნენ წერის დაწყების წინ. ეს უმთავრესია. მთავარი გმირი და ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონაჟი ხშირად ერთი და იგივე სულაც არაა, უნდა პოულობდეს განსხვავებას. პირველ და მესამე პიროს ნერვას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს და როცა მე კარვად ვიცი რას ვწერ, ვინ იქნებიან პერსონაჟები, უმეტესდ ზუსტადაც ავარჩევ, როგორ სჯობს თხრობა. არის ორი ნაწარმოები, რომლებზეც ბევრგან მისაუბრია - გრისის "კატა და თავი" (*Cat and Mouse*) და გრისის "ძალაუფლება და დიდება" (*The Heart of the Glory*) და "საქმის არსი" (*The Heart of the Matter*). ეს ნაწარმოებები მორალური დილემის თემატიკაზე შექმნილი სანიშნოდ ნაწარმოებებია და რასაც ვაკვირდები, ახალგაზრდა მწერლებში სწორედ ამ თემას ესწრაფვიან დასაწყისიდანვე.

- იმედგამაცრუებელი, ზედმეტად დაფასებული, უზნალოდ არც ისე კარგი: რომელ ნიგნს მიმართებთ გქონდათ წინასწარგანწყობა, რომ უნდა მოგწონებოდათ და საბოლოოდ არ მოგეწონათ?

- ერნესტ ჰემინგუის ნებისმიერი ნაწარმოები.  
 - რა არ მოგწონს ჰემინგუისში?  
 - რამდენიმე მცირე ნოველის გარდა, არც არა-

ფერი. მის "წერ-რაც-იცოც" სტილს არაფერი საერთო აქვს ნამდვილ შემოქმედებასთან. ეს შეიძლება ღრსებდა ჩვეუთვალთ ჟურნალისტებს, მაგრამ არამც და არამც პროზაიკოსებსა და დრამატურგებს. მისი წინადადებები იმდენად მოკლე და მარტივია, რომ სარეკლამო ტექსტებს დახატავდა. ნარმოდიგინეთ რა მოხდებოდა, ამ პრინციპით რომ ეხელმძღვანელოთ სოფოკლეს, შექსპირსა თუ დიკენსს! ჰემინგუეი სულ ტიპობს, მაგარი ბიჭის როლს თამაშობს, ამრეზით ვინებს ზედა ტუჩს და გულებზე: "ჰეი შენ, მოკეტე ბიჭო!". მე ეს არ მომწონს. მე-ლილის რეკომენდაციას უფრო ვითვალისწინებ: "ვაი მას, ვინც ესწრაფვის მამამებლობას და უფრთხის შოშის მოგვრას". მიყვარს მეღვინე. განა შეიძლება გაყვარდეს მეღვინე და ჰემინგუეი ერთად? ალბათ ვილაცას შეუძლია, მე - არა.

**- რომელ გარდაცვლილ თუ ცოცხალ მწერალთან შეხვედრას ისურვებდით? რატომ?**

- არც არაფრის გაგება მინდა და არც რამე მჭირდება მწერლებისგან იმაზე მეტი, ვიდრე მათ ნივნებშია მოცემული. ყოველთვის სავიზობს იკითხო კარგი მწერალი, ვიდრე უხევე მე.

**- წერილი მიგიწერიათ რომელიმე მწერლისთვის?**

- არაერთისთვის, მიყვარს მწერლებთან მიმოწერა.

**- ვასუსხოზენ ხოლმე? რომელი საპასუხო წერილი დაგამახსოვრდა?**

- დიას, უკანაც მწერენ. გილ გოდვინი (Gail Godwin) წერს შესანიშნავ წერილებს. ასევე ჯეიმს სელტერიც (James Salter), ეს უკანასკნელი საერთოდაც ძველ საბეჭდ მანქანას იყენებს და ხელით იწერს ხოლმე თავიდან, უზადო კალიგრაფია აქვს. ის იყენებს ძალიან ვეზოტიკურ და იშვიათ თაბახს. კურტ ვონეგუტიც შესანიშნავ წერილებს წერდა. როგორც თავდაც ხვედებით, მისი წერილები იუმორით იყო გამორჩეული და დასამახსოვრებელი. გრასი გერმანულადაც მწერს და ინგლისურადაც, ეს ჩემს მიწერილზეა დამოკიდებული, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მისი ინგლისური ბევრად სუფობს ჩემს გერმანულს.

**- რომელმა წიგნმა მოგანდომათ მწერლობა?**

- "დიდი იმედები" (Great Expectations).

**- თქვენი შემოქმედებიდან რომელ წიგნსა და პერსონაჟს გამაოჩენდით?**

- ბევრი აუტსაიდერია ჩემს ნაწარმოებებში, სექსუალურად "ჩაგრული" ტიპებიც მათ შორის. წიგნი, "ილოცე ოუენ მინისთვის" (A Prayer for Owen Meany), მთხრობელს ზურგს უკან "ვაჟიშვილ ჰომოსექსუალს" ეძახიან. მას უყვარს ოუენი, მაგრამ დაახლოებას და ყველაფრის პირდაპირ თქმას ვერა და ვერ ბედავს. მას არასდროს ჰქონია სექსი არავისთან. დოქტორ ლარჩს, წმინდა წყლის აბორტმახერს წიგნიდან "სიდრის სახლის წესები" (The Cider House Rules) და ჯენი ფილდს, გარპის დედას წიგნიდან "სამყარო გარპის მიხედვით" (The World According to Garp) ცხოვრებაში ერთადერთხელ ჰქონდათ სექსი და მორჩა. მთხრობელი ნაწარმოებიდან "ნიუ ჰემფშირის სასტუმრო" (The Hotel New Hampshire) თავის დას ჰყვარობს. ორი მამაცი პერსონაჟი ჩემი ახალი ნაწარმოებიდან "ერთ ადამიანში" (In One Person) ტრანსგენდერი ქალები არიან და ეს პირვე-

ლად არ ხდება, როცა ტრანსგენდერ პერსონაჟებზე ვწერ. მიყვარს სექსუალური აუტსაიდერები, სამყარო მათთვის ბევრად უფრო პირქუშია.

**- თქვენი წიგნების რომელი ეკრანიზაციებს გამოაჩვენებდით?**


- ლასეს ჰოლსტრომის (Lasse Hallstrom) "სიდრის სახლის წესები" (The Cider House Rules). მომწონდა ლასესთან მუშაობა. მე კი დავწერე სცენარი, თუმცა ეს მინც ლასეს ფილმია, ამიტომაც ცამკვირვებდა კარგი ალბათ. ასევე ფიქრობ, რომ ტოდ ვილიამსის (Tod Williams) "საიდუმლო კარი" (The Door in the Floor) არის შესანიშნავი ადაპტაცია ნაწარმოებზე. "ერთწლიანი ქვრივი" (A Widow for One Year). მან ძალიან ჭკვიანურად გააკეთა ნოველის პირველი მესამედი, როდესაც რუთი (ქვრივის სენია) ჯერ კიდევ პატარა გოგონაა. მან დიდი სამუშაო გასწია, თავადვე იყო რეჟისორიც და სცენარისტიც, თუმცა მინც მსიამოვნებდა მასთან მუშაობა და უბრალოდ შენიშვნების მიცემა სცენარისტისთვის თუ მავი ვარიანტისთვის.

**- თუ ვინმე დაგეგმივდას თქვენს სამუშაო სივრცეში, რა უნდა ხდებოდა?**

- ორი დიდი მაგიდა, რომელიც L-ის ფორმითაა შეერთებული ერთმანეთთან - ამგვარად მე შემძლია ერთი ბოლოდან მეორესკენ გორგოლატეობის საფარძლით გადაგორება. აქვე არის დიდი სალექსიკონო სტენდი, ლექსიკონებით სავსე. ჩემი ოთახის ორ მხარეს ფანჯრებია, რომელთა ირგვლივ უამრავი წიგნი და ფურცელია. ჩემი ლეპტოპი ოთახის შორეულ კუთხეში პატარა მაგიდაზე დევს, რაც შეიძლება შორს სამუშაო გარემოსგან, მკაცრად განკუთვნილი მხოლოდ კორესპონდენციებისთვის. აგრეთვე მაქვს დივანი და, რაღა თქმა უნდა, ჩემი ძალი, შოკოლადისფერი ლაბრადორი, რომელიც, როგორც წესი, სადალაც აქვე უნდა დაბორიანლებდეს.

**- შემდეგ რის ნაკითხვას გეგმათ?**

- კითხვას არ გეგმავე, მხოლოდ წერას.



© The New York Times 7 ივნისი, 2012



### ნინო ბეიბევილი

# "ლიტერატურას ჯადოქრობა არ შეუძლია"

ლიტერატურული პრემია "საბას" დაჯილდოების წლებიდან დღემდე ცერემონიალი ნამდვილად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ამ პრემიის გაცემისას უკვე წლებია, მიეჩვენებოდა. პრემიის ორმა ლაურეატმა, გიორგი მაისურაძემ და ნაირა გელაშვილმა, იმის გარდა, რომ მაღლობა გადაუხადეს "თიბისი" ბანკსა და ჟურნალს, იმაზეც ისაუბრეს, რაც აწუხებდა და შეეცადნენ აუდიტორიის ყურადღება ქვეყანაში არსებული მწვავე პრობლემებისკენ მიექაპროსათ.

"ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში, სადაც სამუხარადო ისეთი კანონი არსებობს, რომელსაც მარიხუანას მოხმარებისათვის ადამიანის ციხეში გასტუმრება და გამოწყვეტვა შეუძლია, სადაც პოლიტიკოსები ერთმანეთს ზოგჯერ ნამქუზებლობაში ეჯიბრებიან, სადაც ამბიონებიდან ხშირად სიძულვილი და შეუწყნარებლობა იქადაგება, სადაც 17 მაისს ჩვენ არნახული სისასტიკის და ძალადობის ალღუმის მომხრენი აღმოჩნდნენ. ასეთ დროს ლიტერატურას განსაკუთრებული ადგილი და განსაკუთრებული ფუნქცია უნდა ჰქონდეს" - გიორგი მაისურაძემ ამ რამდენიმე წინადადებაში მოკლედ ის პრობლემები აღწერა, რაც მისთვის, როგორც ავტორისთვის დალიან მნიშვნელოვანია, რაზედაც ხშირად ფიქრობს და წერს. გიორგის ამ საკითხებზე სხვადასხვა ტელეინტერვიუდანაც ხშირად უსაუბრია, ლექციებშიც წაუკითხავს, რომელთა დიდი ნაწილის მოსმენაც ინტერნეტში შეიძლება, მაგრამ მისი სიტყვები, პრემიის გადაცემისას, იქ, სადაც ამას არავინ მოელოდა, სულ სხვა სიმწვავეთი გაისმა.

ნაირა გელაშვილმა "საბა" საუკეთესო რომანის ნომინაციაში მიიღო. მისი ნიჭი "შე ის ვარ" იმ თემაზეა, რასაც ქართული, და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უცხოური მწერლობაც, იმითი გამოცდილების გარდა, გვერდს უვლის - 13 წლის გოგონა და მის პირველ სიყვარულზე. "ბავშვები გაიყვირებენ, ამიტომაც არ გადადიან ქუიდან" - ეს პატარა ნიჭი მარინა ცვეტაევის ოლესიდან ნათქვამი ამ ფრაზის ნამდვილი ილუსტრაციაა. არავითარი სოციალური თემატიკა ან სიმძაფრე არ პატარა ნიჭში არ არის - იმაზეა, რაც ალბათ ყველაზე ძნელი ასაღწერია - გრძნობაზე, რომლის ახსნასაც მთავარი გმირი არც ცდილობს - იღებს, როგორც საჩუქარს, როგორც სასჯელს.

უკვე ოც წელზე მეტია ნაირა გელაშვილი საქართველოში ეკოლოგიური ცნობიერების დაპყობვას ცდილობს. ის ქართულ ენაზე ბუნების დაცვის შესახებ დაწერილი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტის "ეკოლოგია, ტექნოკრატია, პოეზია" ავტორია, გასული საუკუნის 90-იანებში სათავეში ედ-

გა ქართულ მწვანე მოძრაობას და დღეს, როცა ხუდონის ამუხების საკითხი ისეთივე მწვავეა, როგორც 20 წლის წინ, ნაირა გელაშვილმა სწორედ ამ პრობლემაზე, კერძოდ ხაიშვების გასაჭირზე ისაუბრა. "ეს სოფელი ოც წელიწადზე მეტია კლდესავით დგას... სოფელს და მის მაცხოვრებლებს სთავაზობენ ყველაფერს, ოღონდ გაყიდონ თავიანთი საცხოვრებელი, სინამდევები, საფლავები, ეკლესიები, სავარგულები და ეს ღარიბი სოფელი, რომელიც განიცდის ყველაწარმო დაწოლას, გადაბირებას, დამინებას, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, დგას მარტო, მიტოვებულია ფაქტობრივად მთელი საქართველოსაგან, მწერლებისგანაც და დედაქალაქისგანაც. თუ ეს პროექტი განხორციელდება, მთელი სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, აჭარა და შემდეგ უკვე სხვა რეგიონებიც, კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება, ათასობით და ათათასობით ჰექტარი ჩაიძირება წყალში და ჩვენ შეგვცხვება, რომ ამ დროს ცეხოვრებით, მწერლები ვიყავით, ვწერდით და პრემიებს ვიღებდით. მე მოვუწოდებ მწერლებს, მათ მოაწერონ ხელი ამ პროექტის წინააღმდეგ", - თქვა მან.

გიორგი მაისურაძისა და ნაირა გელაშვილის გაზენიები რომ უხსუტი და საჭირო იყო, ამას ის გამოხმაურებები და დისკუსიებიც მოწმობს, რაც მათ გამოსვლას მედიამ, სოციალურ ქსელებზე და ფორუმებზე მოჰყვა. რამდენიმე დღე ლიტერატურით და არა მხოლოდ ლიტერატურით დაინტერესებული ქართველი ინტერნეტ-მომხმარებლები ამ ორ მოკლე სიტყვას განიხილავდნენ.

ასეთი რამ "საბაზე" ადრე არასდროს მომხდებოდა. რაც გასაკვირი, მგონი, ნამდვილად არ უნდა იყოს. "წლის მთავარი ლიტერატურული მოვლენის" (ასე უწოდებენ დამარჯებლები "საბას") დაჯილდოების ცერემონიალის დრამატურგია ისეა მოფიქრებული და აწყობილი, რომ ნამდვილად არ რჩება ადგილი პრობლემებისთვის და მათთვის, ვისაც უჭირს ან დახმარება სჭირდება. "საბას" გადაცემა ერთი დიდი ზეიმი და რაც დრო გადის, ეს ზეიმი უფრო და უფრო პომპეზური ხდება. წელსაც ცერემონიალი არა "თიბისი" ბანკის ეზოში, არამედ რუსთაველის თეატრში ჩატარდა და თან ბიძინა კვერცხაძის სსოვნის საღამოც შეითავსა. ხალხსაც მხოლოდ მოსანვევებით უშვებდნენ - მოსანვევზე აღნიშნული იყო, რომ საღამოზე აუცილებლად შესაბამისად, სადღესასწაულოდ ჩაცმულნი უნდა მივსულიყავით.

არ ვიცი, რამდენად უხდება ლიტერატურულ პრემიას ეს პომპეზურობა. მაგალითად, ბუკერის პრიზი, რომლის ოფრობაც 50 000 ფუნტი სტერლინგია, გაცილებით უფრო სადა და უბრალო ვითარებაში გადაეცემათ ხოლმე გამარჯვებულებს, ვიდრე



პრემია "საბა", დაჯილდოებულ მწერალსაც რჩება დრო იმისთვის, რომ მკითხველებს გაესაუბროს. თუმცა, კაცია და გუნება - პრემიის დამარსებელმა "თიბისი" ბანკმა ასე გადაწყვიტა. მწერლებს და ლიტერატურის მოყვარულებს მაღლობის მეტი რა გვეთქმის?!


ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანას და ქართველ მწერლებს პრობლემები წინა წლებშიც არ აკლდათ. თუმცა ტრადიცია, როცა მწერალი დაჯილდოების ცერემონიაზე მხოლოდ მაღლობას იხდიდა, მარტო ახლა, პრემიის დაარსებიდან მე-11 წლისთაზე დაირღვა. რატომ მოხდა ასე? იქნებ იმიტომ, რომ არჩევნებით ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ჩვენს ირგვლივ რაღაც შეიცვალა და მწერლებსაც გული მიეცათ? ან იქნებ ეს ორი მწერლის - გიორგი მაისურაძისა და ნაირა გვლაშვილის პირადი გამბედაობაა? აქ რთულია ერთმნიშვნელოვანი და ზუსტი პასუხის მოძებნა.

გიორგი მაისურაძემ თქვა, რომ "მწერლობას ჯადოქრობა არ შეუძლია". ცხადია, ასეა, თუმცა, მწერალს შეუძლია არ დარჩეს გულგრილი, მაშინ, როცა ტექნიკრატები ბუნებას დაუზანებლად ანადგურებენ და მოქალაქეებს ნების საწინააღმდეგოდ ასახლებენ, როცა მავანს მოსაკლავად იმის გამო დასდევენ, რისი შეცვლაც მას ნამდვილად არ შეუძლია, ან უბრალოდ, როცა ვიღაცებს შაით და სცივათ - მიზეზი ათასგვარი შეიძლება იყოს. უბრალოდ ხალხს ალბათ სჭირდება იმის ცოდნა, რომ ვიღაც ესარჩლება, ვიღაც მათზე ფიქრობს, ამა ქვეყნის ძლიერებს კი - სულ

ერთია, ანაფორიანებსა თუ უანაფოროებს, იმის შესხენება სჭირდებათ, რომ არსებობს ვიღაც, ვისაც მათ ყოვლისმშემლეობაში ეჭვი შეაქვს.

კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მწერლებს ერის წინამძღოლების ფუნქცია ჰქონდათ შეთავსებული. "შე ცა მნიშნაეს და ერი მზრდის" პარადიგმა მეცხრამეტე საუკუნესთან ერთად დამთავრდა. მეოცეს დასაწყისში თავისუფლების სულ სხვა სიო დაქორდა საქართველოში, რომელიც საბჭოეთმა მალევე ჩაახშო - მწერალთა უმეტესობა ან სრულიად დადუმდა, ან საბჭოთა ტერორს შეეწირა, ანაც, და ასეთები ძალიან ბევრი იყვნენ, სისტემის რუპორად იქცა. ქართული მწერლობის ისტორია იცნობს ყველაზე სასონარკვეთილ პროტესტის ფორმასაც - 1937 წელს, სხვა რომ ვერაფერი შეძლო, პაოლო იაშვილმა მწერალთა კავშირის შენობაში ტყვია დაიხალა შუბლში.

დღეს სხვა დროა. სხვა ქვეყანა და სხვა მწერლები. კარგია, რომ მათ შორის ორმა, გიორგი მაისურაძემ და ნაირა გვლაშვილმა 2013 წლის 23 სექტემბერს ოპერის გაბრწყინებულ დარბაზში ბურჟუაზიის სრულიად არამოკრძალებული ხიბლით გარღვევა შეძლეს და იქ, სადაც თითქოს მხოლოდ ზეიმის ადგილი იყო, იმ ადამიანებზე ილაპარაკეს, ვისაც ახლა დახმარება და თანადგომა სჭირდება. ცხადია, ეს ჯადოქრობა არ არის. მაგრამ რაღაცნაირად შეენისმომგვრელია ის, რომ ლიტერატურას, მწერლობას და მწერლებს ასეთი თანაგრძობა შეუძლიათ.



## მაგდა კალანდაძე



# მე-13 ქალი

ნობელის პრემიის  
ლაურეატი  
ლიტერატურის  
დარგში წელს  
კანადელი  
მწერალი  
ელის მონრო  
გახდა

"თანამედროვე მოთხრობის დიდოსტატი" - ასე წარუდგინა შვედეთის აკადემიამ ელის მონრო აუდიტორიას, რომელიც 10 ოქტომბერს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის დასახელებას ელოდებოდა. ნობელის კომიტეტისგან რომ მოულოდნელი აღარაფერია, ეს უკვე დიდი ხანია, ყველამ იცის. თუმცა პრემიის გაცემის მსგავსი მოტივაცია მაინც უცნაურად უღერდა - გამოდის, რომ ნობელის კომიტეტმა ამჯერად დააჯილდოვა მოთხრობა, როგორც ჟანრი. მწერალიც, რასაკვირველია.

ელის მონრო 82 წლისაა; ის პირველი კანადელია, ვინც ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიიღო (თუ არ ჩავთვლით სოლ ბელოუსს, რომელიც კანადაში დაიბადა, თუმცა ნობელის პრემიის მიღებისას იგი უკვე კარგა ხანია ამერიკის მოქალაქე იყო და უპირატესად ამერიკელ მწერლად მოიხსენიება). შვედეთის აკადემიის მდივანი, პეტერ ენგლუნდი, ყველა ინტერვიუში აღნიშნავს, რომ მონრომ მოთხრობა, როგორც ლიტერატურის ჟანრი, თითქმის სრულყოფილებამდე აიყვანა: "პრემია, უბრალოდ, ლიტერატურას გადაეცემა; სულ ეს არის. თუ წაგვიკითხავთ ელის მონროს ნაწარმოებები, ვფიქრობ, მიხვდებით, რას გვულისხმობ", - ეუბნება ენგლუნდი "The Local"-ს. როგორც ჩანს, სიმბოლურია ას-

ნა-განმარტებების ამგვარი ლაკონიურობა - სიტყვაძუნობა ლიტერატურის "სიტყვაძუნნი" ჟანრის შესაფასებლად. რაც შეეხება იმას, ნავიციოთხვეს თუ არა მონროს ნაწარმოებები: გამოკითხვის მიხედვით, რომელსაც ნობელის კომიტეტის ვებგვერდი ლიტერატურაში პრემიის გაცემის შემდეგ ყოველ წელს ატარებს, ელის მონროს არც ისე ბევრი მკითხველი ჰყავს. გამოკითხულთა მხოლოდ 30% ადასტურებს, რომ ნაუკითხავს მწერლის ერთი ნაწარმოები მაინც. დანარჩენებს კი, იმისათვის, რომ მიხვდნენ, რა იგულისხმა ნობელის აკადემიამ წელს დიდოსტატობის მიღმა, მონროს მოთხრობების კრებული მოძიება მოუწევთ.

"გამოაგნებელია, ფანტასტიკურია... ჩემმა ქალიშვილმა გამაღვიძა და მითხრა, რომ გავიმარჯვე... დავინტერესდი, რაში გავიმარჯვე. გონზე ვერ მოვედი. ისიც კი არ ვიცოდი, რომ კანდადატა სიაში ვიყავი", - მონრო სიხარულსა და გაოცებას ვერ მალავს. არცაა გასაკვირი: მიუხედავად არაერთი ლიტერატურული პრემიისა, მწერალი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე არ ყოფილა განეხილებული მასშტაბური აღიარებული; ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი და წარმატება მას დიდ ძალისხმევად და, რაც ყველაზე მთავარია, ხანგრძლივ მოლოდი-



ნად უფედებოდა. მიუხედავად იმისა, რომ წერა ადრეული ასაკიდანვე დაიწყო და მისი მოთხრობების პირველი კრებული კანადის მთავარი ლიტერატურული პრემიით აღინიშნა, ქვეყნის მიღმა ის დაუნახავ და აღიარებდა კარგა ხანს აყოფენდა. "ყურადღებამ ვერ მივიქციე. შეიძლება, ეს კანადელობის გამო იყო, შეიძლება, იმიტომ, რომ ქალი ვარ. შეიძლება იორივე ერთად", - აღნიშნავს მოგვიანებით მონრო. საბოლოოდ კი სწორედ ეს თუ იგი, შეიძლება ითქვას, ერთი მხრივ, მტკივნეული ფაქტორი აქცევს მონროს მოთხრობებს იმ ლიტერატურად, რომლის შესახებაც დღეს უკვე მსოფლიო ლაპარაკობს.

ნობელის კომიტეტის შეთხოვას, შესძენს თუ არა ჯილდო მას ბევრ ახალ მკითხველს, მონრო პასუხობს: "იმედოვნ მაქვს. ასევე მგონია, რომ ეს არა მხოლოდ ჩემი ნივნების მკითხველთა რაოდენობის გაზრდის, არამედ, ზოგადად, მოთხრობებისაც. რადგან, ხშირად მოთხრობები ერთგვარ არასერიოზულ ჟანრად აღიქმება, იმ სამუშაოდ, რომელსაც ადამიანები მანამ ასრულებენ, სანამ პირველ რომანს დაწერენ. მე ვისურვებდი, რომ მოთხრობა, როგორც ლიტერატურის ჟანრი, ნინა პლანზე გადავიდეს ყოველგვარი ზედმეტი პირობების გარეშე; მწერალი არ განიცდიდეს რომანის დაწერის აუცილებლობას".

მონრო მართალია. წლებიდანელი ნობელის პრემია მხოლოდ მისი ჯილდო არ ყოფილა. ეს იმ მწერალთა ნახალებისაც იყო, რომლებიც, მრავალთა აზრით, ჯერ მხოლოდ "სავარჯიშოებს" ასრულებენ. შეიძლება ითქვას, რომ მწერლობისთვის რომანის დაწერის მიზანს ნობელის კომიტეტმა კიდევ ერთი მიზანი გაუთანაბრა - მოთხრობის, როგორც ჟანრის, სრულყოფა. ჯერჯერობით კი, შედეგის აკადემიის აზრით, ამას მხოლოდ თანამედროვე "კანადელი ჩეხოვი" (როგორც მონროს ხშირად მოიხსენიებენ) ახერხებს: "მან ხელი მოჰკიდა ისეთ ჟანრს, როგორიც მოთხრობა; ლიტერატურულ ფორმას, რომელიც თითქმის მთლიანად დაიჩრდილა რომანის მიერ და მან მოახერხა ამ ფორმის თითქმის სრულყოფილებამდე აყვანა", - ამ სიტყვებით ასაბუთებს ნობელის კომიტეტი წლებიდანელ გადაწყვეტილებას.

ელის მონრო მოთხრობებების 14 კრებულის ავტორია. მიუხედავად იმისა, რომ წერა მან ადრეული ასაკიდანვე დაიწყო, პირველი ნივნის გამოცემა მხოლოდ 1968 წელს მოხერხდა. მწერლის ბიოგრაფია, თვალის ერთი გადავლევით, ასე გამოიყურება: 1931 წელს იგი კანადაში, ონტარიოს პროვინციის პატავა ქალაქში, ვინგჰემში დაიბადა. მამა მედიკოსი ფერმას უძღვებოდა, დედა კი მასწავლებელი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ მონრომ დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის განხილვის განაგრძო სწავლა, თუმცა არ დაუმთავრებია - 1951 წელს ცოლად ჯიმ მონროს გაჰყვა და საცხოვრებლად ვიქტორიაში (ბრიტანეთის კოლუმბია) გადავიდა. მონრო იხსენებს, რომ იმ დროისთვის მას ორი არჩევანი ჰქონდა: მშობლების სახლში დაბრუნებაზე ფიქრიც კი არ უნდოდა - ეს იმას ნიშნავდა, რომ ვედარასოდეს მოახერხებდა ონტარიოს პროვინციის იქით ცხვირის გაყოფას; ამის ალტერნატი-

ვად კი ადრეული ქორწინება რჩებოდა.

ვიქტორიაში გადასვლის შემდეგ იწყება მონროსთვის ნაყოფიერი შემოქმედებითი ხანა. 1968 წელს, როდესაც მისმა პირველმა კრებულმა "ბედნიერი ჩრდილების ცეკვა" კანადის უმაღლესი ლიტერატურული პრემია (Governor General's) მიიღო, მონრო ნივნების მაღალხარისხ მუშაობდა - მხოლოდ ასე ახერხებდა სახლის სამუშაოებისა და ოჯახური რუტინისთვის თავის დაღწევის, გარეგანყოფილების კონტაქტს (მონრო სამ შვილს ზრდიდა). ჯილდოს მიღების შემდეგ მონროს "მორიდებულ დიასახლისად" მოიხსენიებდნენ საუბრებში. ეს დამოკიდებულება მას აღზიანებდა და თანდათან იმასაც აცნობიერებდა, რომ მის წარმატებასა და ნივნების მიმართ დამოკიდებულებას ცოტა ალმაჯივლიდ უყურებდნენ: მონრო ქალი იყო, მწერლობა ქალისთვის ერთგვარ ახირებად და სიკაცედ აღიქმებოდა. თავად მწერალს კი ეს ფაქტორი მეტ გაბედულებასა და ამბიციას მატებდა.

მოგვიანებით მარკარეტ ეტუვი იხსენებს: "კაცე მწერლები ეუბნებოდნენ, რომ მისი მოთხრობები მოსაწყენი და ოჯახური თემებით გადატანად არ იყო; ცუდად არ წერდა, თუმცა მასთან დაწვლად მაინც არ მოუნდებოდათ, რაზეც მონროს მკვახე პასუხი ჰქონდა ხოლმე: "არც არავინ ეპატივება". უხერხულობისა და სირცხვილის განცდა, ნარუმბატულობა და მარცხის სწრაფად ნაწყვეთი ხაზი მის ნაწარმოებებში; მწერალი იშვიათად იხსენებს წარმატებებს და იშვიათადვე ყველა მათ შესახებ; რადგან წერის სურვილი და მისწრაფება მასში სწორედ სხვადასხვა მარცხმა გააღვივა.

ამავე თემაზე საუბრობს "ნიუ-იორკერის" რედაქტორი ჩიმ მაკგრეტცი, რომელიც, იმავდროულად, მწერლის პირველი რედაქტორი იყო: "მონროს მოთხრობების ნაკითხვა ყველა კაცისთვის აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს. გენდერული პოლიტიკის შესახებ უტყვირებას რომ თავი ავარდოთ, ვიტყვი, რომ, მწერალი, უბრალოდ, შესანიშნავად წერს ოჯახური თუ სხვა ტიპის ურთიერთობების შესახებ, რაშიც, ჩვეულებრივ, კაცებზე არიან ჩართული. მეორე მხრივ, ისიც აღსანიშნავია, რომ მონროს სამყაროში კაცები ამ მოძალადეები არიან, ან ცდილობენ, ქალების ხასიათი, მოთხოვნილებები და სურვილები უკანა პლანზე გადაწიონ. ამის მიუხედავად, არ ვთვლი, რომ მონრო ტენდენციური ან რომელიმე პოლიტიკის გამტარებელია საკუთარ ნაწარმოებებში".

ჩიმ მაკგრეტცა და "ნიუ-იორკერში" მოთხრობების გამოქვეყნების საწყის პერიოდს თავად მწერალიც განსაკუთრებული ემოციებით იხსენებს: "ნიუ-იორკერში" მივიღე რედაქტორთან მუშაობის პირველი გამოცდილება. მანამდე მხოლოდ მცირე, გამოუსადეგარ რეკომენდაციებს ვისმენდი ჩემს ტექსტებთან მიმართებაში, არადა საჭირო იყო მახვილი თვალის, რომელიც თავის მოტყუარას საშუალებას არ მოძებნებდა. სწორედ ასეთი რედაქტორი იყო ჩიმ მაკგრეტცი. ვაოცებული ვიყავი, რომ ვიღაცას შეეძლო, სიღრმისეულად გაეაზრებინა ის, რისი გაკეთებაც მე მინდოდა".

მონრო "ნიუ-იორკერს" 50-იან წლებშიც უგზავ-



ენიდა მოთხრობებს. თუმცა, პასუხად უარის არაოფიციალურ, დაუსაბუთებელ შეტყობინებებს იღებდა. დღემდე ახსოვს ამ შეტყობინებათაგან ერთ-ერთის შინაარსი: "კარგი ნაწერია, თუმცა თემა ცოტათი გადაჭარბებულიად ფაშილიარულია". ამ მოთხრობაში მონრო ხანდაზმული შინაბერა ქალის რომანტიკული ურთიერთობის შესახებ ჰყვებოდა. მწერალი ამბობს, რომ ადრეულ პერიოდში მას ძალიან ბევრი ხანდაზმული შინაბერა პერსონაჟი ჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ასეთს არავის იცნობდა. თავადაც ამ დროისათვის კარგა ხნის დაქორწინებული იყო, ასე რომ, საკუთარი მომავლის წინასწარმეტყველებასაც ვერ ახრალებს ამ ამბავს. მოგვიანებით კი ამბობს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, შინაგანად თვითონ გრძნობს თავს ხანდაზმულ მომხიბვრად.

1971 წელს მონრო კვლავ მშობლიურ ონტარიოს უბრუნდება - საცხოვრებლად თავის მეორე ქმართან ერთად მშობლების სახლის მახლობლად გადადის. ამ დროისათვის მწერალი უკვე თავის მეორე წიგნსაც გამოსცემს და მიზნად ისახავს, რომ რომანი დანეროს. არც ისაა გამოსაძიებელი მათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ მოთხრობების წერა - ეს მხოლოდ შესაგალია მთავარი სამუშაოსთვის. "მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ჩემს პირველ ხუთ წიგნზე ვმუშაობდი, მსურდა, რომანი დამეწერა. ვფიქრობდი, რომ სანამ რომანს არ დავწერდი, არავინ აღმიქვამდა სერიოზულ მწერლად. ეს ფაქტორი ყოველთვის მანუხებდა, მაგრამ ახლა უკვე აღარ მაღადარებს. უფრო მეტიც, რაღაცები შეიცვალა კიდევ. ვფიქრობ, რომ მოთხრობები ახლა გაცილებით უფრო სერიოზულად აღიქმება, ვიდრე ადრე", - ეუბნება მონრო "ნიუ-იორკ-ტიმისის" კორესპონდენტს. ამავე ინტერვიუში ის ამბობს (2013 წლის ივლისი), რომ მისი ბოლო წიგნი "ძვირფასი ცხოვრება" უკანასკნელი ნამუშევარია და მეტს აღარ დანერს. აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით აზნებებს მას ფილპო როთის მაგალითი; სჯერა მისი გადარწმუნებულების სისწორის და დარწმუნებულია, რომ ახლა ის ბედნიერია.

მაგრამ მონროს ამ სიტყვებს ახლა უკვე აღარავინ ეღიბა: პირველად მან 2001 წელს გაახიზნა წერისათვის თავის დანებების სურვილი, 2006 წელს კი "The Toronto Global and Mail"-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ აღარ არის საკუთარ ძალეში დარწმუნებული და უკვე დროა, დაისვენოს ამ პრობლემადი სამუშაოსგან; თუმცა 2012 წელს მისი მოთხრობების მეთოთხმეტე კრებული ("ძვირფასი ცხოვრება") გამოიცა. დღეს კი, უკვე ნობელის პრემიის ლაურეატად აღიარების შემდეგ, მონრო ორპიზროვნად პასუხობს იმავე შეკითხვას. კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ უკვე ძალიან ღიბი ხანია, რაც წერს და აქევენებს, ეს კი გვეულებრივი სამუშაოა, რომლისგანაც ადრე თუ გვიან დასვენების დრო დგება. მაგრამ არც იმას უარყოფს, რომ ჯილდოს ამბავმა შეიძლება მას ეს აზრი შეაცვლევინოს კიდევ.



ელის მონრო უცნაურ რეკომენდაციას აძლევს მათ, ვისაც ჯერ კიდევ არ ნაუკითხავს მისი წიგნები. მწერალს სურს, რომ ახალმა მკითხველებმა მისი ნაწარმოებების გაცნობა ბოლო (და შესაძლოა, უკანასკნელი) წიგნით, "ძვირფასი ცხოვრებით" დაიწყონ. მონრო ამას მარტივად ხსნის - მწერლების უმეტესობა თვლს, რომ შემდგომი წიგნი წინაზე უკეთესია; შესაბამისად, მონრო თავის საუკეთესო წიგნად ბოლო ნამუშევარს მიიჩნევს და იმედგენებს, რომ მკითხველს აუცილებლად გაუჩნდება სურვილი, მიუბრუნდეს მის სხვა, ადრინდელ ნაწარმოებებსაც. "ძვირფასი ცხოვრების" მოთხრობათა მნიშვნელოვან ნაწილს კი თავად მწერალი ასე ახასიათებს: "აქ ყველაფერი ისაა, რაც ყველაზე ახლოდელი ჩემთვის, რასაც პირველად და უკანასკნელად ვამბობ საკუთარი ცხოვრების შესახებ". რა თქმა უნდა, ეს პატარა კომენტარი ბევრს ვერაფერს ეტყვის მკითხველს, მაგრამ გაახსენებს მონროს ცხოვრების იმ ძირითად კონტურებს, რაც ყოველთვის მთავარი ხაზი იყო მის მოთხრობებში: გულისაზრუყვებელი ბავშვობა ონტარიოში, მელინის ფერმა, ადრეული ქორწინება და საცხოვრებლად ბრიტანეთის კოლუმბიაში გადასვლა, რასაც განქორწინება და ონტარიოში სოფლის ცხოვრებასთან დაბრუნება მოჰყვა. გზა, რომელიც მან გაიარა, იმ გზების მსგავსია, რომელსაც მისი პერსონაჟები გადიან: ეს არის ქალისათვის ერთელი და წინადაცემით აღსავსე სამყარო, სადაც ყველა ადგილი კაცების მიერა დაკავებულია.

როდესაც მონროს ეკითხებიან, რას აპირებს წერისთვის თავის დანებების შემდეგ, მწერალი პასუხობს, რომ ნამდვილი ქალივით ცხოვრებას გეგმავს: "ნამდვილი ქალი" როგორია? მაგალითად, ისეთი, ვისაც ბევრი ადამიანი ჰყავს საღილად დასაბუყვებელი"; - იცინის მონრო. რა თქმა უნდა, ასეთი პასუხი არ გადმოდგება მათთვის ვისაც ერთი სული აქვს, მონროს მოთხრობებს ფემინისტური ლიტერატურა უწოდოს, თუმცა, იქნებ, საღილების მომზადება და დიდი ოჯახის მოვლა სწორედაც თავისუფლების პერვერსიული გამოხატულებაა 82 წლის მწერლისთვის, რომელიც თავაუღებლად შრომობს, რომ აღიარება მოეპოვებინა და საკუთარი შესაძლებლობები დამტკიცებინა.

ახლა უკვე ელის მონროს მსოფლიო იცნობს. მის შესახებ სიყვარულით საუბრობენ კოლეგები, ულოცავენ პრესტიჟულ ჯილდოს და "მოთხრობების დიდოსტატად" აღიარებაშიც ეთანხმებიან შედეგით აკადემიას. მათ შორისაა მარგარეტ ტეტუდოცი, რომელიც ყველაზე უფროად იცნობს თანამემამულე მწერალს და ზუსტად იცის, რომ ნობელის პრემიით დაჯილდოებული მონრო ისევე ისეთი თავმდაბალი და მოკრძალებული იქნება, როგორც - ადრე: "ის, რა თქმა უნდა, არ დაიწყებს თავის დაფასებასა და განდიდებას; ეს საქმე ანი ჩვენ, დანარჩენებმა უნდა ვიკისროთ მისთვის".

მაშო სამადაშვილი

# გამოიდვიძე და იოცნებე

## ფრანკფურტი 2013

“გათვლა”, თამთა მელაშვილი, ქართულიდან გერმანულად თარგმნა ნათია მიქელაძე-ბახსოლიანმა, გამოცემლობა Unionsverlag - როდესაც უზარმაზარ, ლურჯად განათებულ დარბაზ “ჰარმონიაში” ეს სიტყვები გაისმა, ქართული დელეგაცია, როგორც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის უზარმაზარ ბილბორდზე წერია, “თავდაყირა დადგა”.

წიგნისთვის “გათვლა” თამთა მელაშვილმა და ნათია მიქელაძე-ბახსოლიანმა გერმანიის სახელმწიფო ჯილდო გერმანიის საუკეთესო საყმანვილო წიგნისთვის მიიღეს.

09.10.2013

### დღე პირველი


დილის 09:00. ქართველი მწერლების უზარმაზარ დელეგაცია სპეციალური ავტობუსით წიგნის ბაზრობის პავილიონებისკენ მიდის. დღეს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ოფიციალურად იხსნება და საქართველო დილიდანვე წარდგება მკითხველი საზოგადოების წინაშე: ბესო ხვედელიძე, მოთხრობების კრებული “თავის გემო”. ოთხი მოთხრობა ანასტასია და ლუკა ყაზარაულეებმა თარგმნეს. ფრანკფურტის ლიტერატურული სალონის და კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით წიგნი გამოცემლობა Leipziger Literaturverlag-მა სულ ახლახან გაიტანა გერმანულ წიგნის ბაზარზე. წიგნის გერმანულ ვერსიას სცენის უკან, პროექტორით განათებულ ეკრანზე ვხვდავ: Der Gechmack von Asche - ანუ ნაცრის, გენეავთ ფერფლის გემო.

გერმანელი მოდერატორი ვილკე ინსა ამბობს, რომ ბესო ხვედელიძე თავის სამშობლოში პოპულარული ავტორია, მან კი სულ ახლახან აღმოაჩინა თავად ავტორიც და ისიც, რომ მას თხრობის ძალიან საინტერესო, ახლებური სტილი აქვს. შემდეგ მისაც აღნიშნავს, რომ ბესოს პროზაში რეალურის და სიურრეალურის გამოყვანა რთულია და კითხულობს, არის თუ არა ეს ქართული ლიტერატურის ტრადიცია. ბესო კითხვას პასუხობს, ანასტასია ყაზარაული თარგმნის, თუმცა გაუფხვრია, ვისთვის, რადგან “ფორუმ დიალოგის” თეორ დარბაზში ძირითადად ქართული დელეგაცია შეკრებილი. მხოლოდ ერთ-ორ უცხოელს ვხვდ-

ავ. მას, რომ ფრანკფურტში ამგვარ საჯარო კითხვებზე ნაკლებად დადიან, მარტივი და ლოგიკური ახსნა აქვს: ამ ბაზრობაზე წიგნის სფეროში მომუშავე ადამიანები ერთი მიზნით არიან ჩამოსული - საავტორო უფლებების შესაძენად ან გასაყიდად. ამიტომაც, რომ დიდი და პაჭტარა გამოცემლობების სტენდებთან მაგიდებს საქმიანი ადამიანები უხედავ და გამალებით საუბრობენ, აქ ყველა შეხვედრა ნინანანარაა დაგვემილი და ძალიანაც რომ გინდოდეს, შენთვის, მკითხველისთვის ან სულაც მწერლისთვის, ვერ მოიცლიან.

დღეს კიდევ ერთი ქართული ღონისძიებაა, საქართველო გერმანულ აუდიტორიას ხუთ სხვადასხვა ავტორს აცნობს - ზურაბ ქარუმიძეს, კოტე ჯანდიერს, თეონა დოლენჯაშვილს, ირაკლი სამსონაძეს და ნატო დავითაშვილს. ეს შეხვედრა ყველაზე გამორჩეული და საინტერესოა, რასაც ერთი კონკრეტული მიზეზი აქვს - მოდერატორი ალექსანდრე კარტოზია ჯერ თითოეული ავტორის პროზას სიღრმისეულად მიმოიხილავს, შემდეგ კი ავტორებს უსვამს კითხვებს. უცხოელი მსმენელი რომ ვყოფილიყავი, შეხვედრის დასრულებისთანავე ვიყიდდი ყველა იმ წიგნს, რომელზეც აქ ისაუბრეს. თუმცა ყველა ეს ნაწარმოები სრულად თარგმნილი და უცხო ენაზე წიგნად გამოცემული არ არის. ქართველმა ავტორებმა თავიანთი ნაწარმოებებიდან ქართულად წაიკითხეს მონაკვეთები, კედელზე კი მათი ინგლისურად თარგმნილი ვერსიები გადიოდა.

ამ შეხვედრაზე უცხოელებიც შევნიშნე, რამდენიმე უცხოელ სტუმარში კი - გამორჩეულიც: როზმარი



დამსწრე აბაშაშვილი უფროსი



ტიცი, ქართული ლიტერატურის დიდი გულშემმატიკი- ვარი და ძალიან ცნობილი გერმანელი მთარგმნელი. ვფიქრობ, ეს ყველაზე შედეგიანი შეხვედრა იყო.

10.10. 2013

დღე მეორე

ნიგნის ბაზრობის მეორე დღე ჩვენთვის ორი ქარ- თველი პოეტის კითხვით იწყება - ზვიად რატიანს და გიორგი კეკელიძეს "ფრანკფურტის ლიტერატურულ- იო სალონი" ხელმძღვანელი მანანა თანდაშვილი წა- რადგენს. აუდიტორიას ისევ ქართული დელეგაცია ავსებს, ისევ თითო-ორიღა უცხოელი სტუმარი, თუ- მცა სტუმართა სიმცირეზე წუწუნენ ჩვენი მხრიდან უმ- ადურობა იქნება: რომც მოსულიყვნენ, ვერაფერს გა- იგებდნენ, რადგან პოეტები ლექსებს ქართულად კი- თხოვობენ, გიორგი კეკელიძის ინგლისური მოხსენე- ნა არავის ემისი, და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ მსგავსი შეხვედრები ფრანკფურტში არ ამართლებს.

შუადღისას მეთოხე დარბაზში ვინაცვლებთ და საგანმანათლებლო პროექტების შეხვედრების დარ- ბაში ვიკრიბებით. ოთარ ყარალაშვილი საზოგადოე- ბას ვირტუალურ გამომცემლობა "ვირგამს" აცნობს, რომელშიც მისი სტუდენტები არიან გაერთიანებუ- ლი. ოთხი წელია, 10-15 სტუდენტი მუშაობს და შედე- გიც სახეზეა: 40-მდე გამოცემული წიგნი, რომლებს- აც ბაკურ სულაკაური გამომცემლობა გამოსცემს და ბრიტანეთსა და ბრაზილიაში საავტორო უფლებე- ბიც აქვს გაყიდული.

ოთარ ყარალაშვილი ახალ იდეაზე საუბრობს, რო- მელსაც სულ მალე განახორციელებს, და "ვირგამის" საერთაშორისო წარმატების ამბავსაც, იმედია, მალე გაამართოს.

სალამოს ქართულ სტენდთან მიღება იმართება. კულტურის მინისტრის მისამართებული სიტყვის შემ- დევ, რუსუდან გორგოლაძე მოსულ სტუმრებს თავის წიგნს, "კერძოაქანისცემას" წარუდგენს. რა თქმა უნ- და, ამ დროს ჩვენს სტენდთან იმაზე მეტი ხალხი ირე- ვა, ვიდრე აქამდე საერთოდ მოსულა. მეც ვვგავარ და მხოლოდ ერთი ფიქრი მანვალებს: რა დაჯდა ეს ლო- ნისძიება და შეიძლება და თუ არა ამ თანხით ერთი თხელტანინი რომანის თარგმნა, თუ გაეთვალისწი- ნებო, რომ ფორმეტი ადვოლობრივი მომსახურებით არცთუ იაფი ღირს, ალბათ, კი. აქვე მეორე კითხვაც მებადება: რამდენად გამართლებულია 17 წმერლისა და 22 გამომცემლის, ასევე კულტურის სამინისტროს ექვსკაციანი დელეგაციის ვიზიტი ბაზრობაზე, რომელ- ციც იმდენად მწირლის და მიკვირვლის ბაზრობა აააა, რამდენადაც გამომცემლისა და ლიტერატურული აგ- ენტიას. ნეტავ წიგნების წერის და თარგმნის ხელშე- ნიება უფრო მნიშვნელოვანი თუ ასეთი გაფართოე- ბული ვიზიტი? თან ამ დელეგაციის წევრების ნაწი- ლის მიზნები სრულიად გაუგებარია. ნელ-ნელა სტუ- მრების რიცხვი მცირდება, სტენდიც თავისუფლდება და წიგნებს ვათვალიერებ. მართალია, რაოდენობრი- ვად არცთუ ცოტაა, მაგრამ გამომცემლობების მიხე- დვითაა დალაგებული და უცხოელ დამთვალიერებ- ულს არაფერს უზენება: ის ვერც იმას გაიგებს, თუ რა უანრია საქართველოში განვითარებული, ვერც იმას, თითოეულ უანრში რამდენი წიგნი იწერება, და საერ- თოდ, ვერაფერს მიხვდება. ამას ისიც ემატება, რომ ინგლისურად თარგმნილი წიგნების რიცხვი მცირეა,

გერმანულად თარგმნილი თანამედროვე ლიტერატუ- რიდან კი სულ რამდენიმე. მათგან თამთა მელაშვილ- ის "გათვლა", ბესო ხვედელიძის "თავის გემი" და ქა- რთველი მწერალი ქალების მოთხრობების ანთოლო- ვია მხედება თვალში.

11.10.2013

დღე მესამე

ბაზრობის მესამე დღეს "ფორუმ დიალოგის" და- რბაზში საქართველო ერთდროულად ორ წიგნს წარა- დგენს: გიორგი კაკაბაძის "ნიკო ფროსმანს" და შო- რენა ლებნიძის რომანს "ფროსმანი - ეს მე ვარ". ამ- ჯერად მოდერატორი მწერალი ზურაბ ქარუმიძეა, რო- მელიც დახვეწილი ინგლისურით ჰყვება ფროსმანის ცხოვრების და მოღვაწეობის, მისი მნიშვნელობის შე- სახებ, მის ზურგსუკან სლადებზე მიდის (ინგლისურ- რად), თუმცა აუდიტორია ისევ ჩვენი დელეგაციაა, გამველლები მხოლოდ წუთით ჩერდებიან და შემდეგ გაზას აგრძელებენ. უკვე აღარ მიკვირს.

17:30

კონგრესცენტრის ცენტრალური დარბაზის შე- სახველში მოსწავვეებს მაცაცრად ამონებენ. სულ მალე აქ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის, ასევე გერმანიის ოჯახის, ხანდაზმულების, ქალებისა და ახალგაზრდების სამინისტროს და საყმანცილო ლი- ტერატურის სამუშაო ჯგუფის (Arbeitskreis für Jü- gendliteratur e.V.) ინიციატივით ბაზრობის ერთა- დერთი სახელმწიფო პრემიის გადაცემის ცერემო- ნია გაიმართება. ეს პრემია უკვე 57 წელია არსებ- ნია. ჯილდო ოთხ სხვადასხვა ნომინაციაში გაიცე- მა. 2003 წლიდან პრემიას კიდევ ერთი ნომინაცია დაემატა, რომლის გამარჯვებულსაც ახალგაზრ- დული ჟიური ავლენს, თუმცა ჩემთვის განსაკუთ- რებით საინტერესო ახალგაზრული წიგნის (Jugend- buch) ნომინაციაა, რომელშიც ფრანგ, ინგლისელ, იტალიელ და ორ გერმანელ ავტორთან ერთად, თა- მთა მელაშვილიცაა წარდგენილი.

დაჯილდოება ოფიციალური მისალმებებით იწყე- ბა. ორ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოცხადებ- ის შემდეგ ჩვენთვის გადამწყვეტი მომენტი დგება. ეკრანზე წმომინანთა ვეარები ჩნდება, სულ მალე კი გამარჯვებულს აცხადებენ: "გათვლა", თამთა მელაშვილი, მთარგმნელი - ნათია მიქელაძე-ვახ- სოლიანი. სამადლობელი სიტყვის შემდეგ თამთა და ნათია ადგილს სცენაზე ეკავებენ, ჟურის თავმ- ჯდომარე კი ამბობს, რომ "გათვლა" ენობრივად და ლიტერატურულად გამორჩეული წიგნია და სხვა ძლიერი ნომინანტიდან საუკეთესოდ სწორედ ამ- იტომ დაასახელებს.

როცა ემოციები ოდნავ ცხრება, ფიქრს ვინყებ: ამ ძალიან გაცლენიანი ჯილდოს მიღება კიდევ ერთ- თხელ ადასტურებს, რომ ევროპულ წიგნის ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად ერთადერთი სწორი გზა მაქსიმალურად ბევრი წიგნის თარგმნაა, მით უმეტ- ეს, რომ 2017 წლისთვის საქართველოს ძალიან ამბი- ციური მიზანი აქვს: ამ ბაზრობის სტუმარი ქვეყანა უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ 2017-ში საქართველო ბაზრობის ფოკუსი იქნება, და ამ დროისთვის მრავა- ლი ახალი, კარგი წიგნი უნდა დაინეროს, ითარგმნოს,





და გამოიცივს. მაგალითად, ასე: თამთა მელაშვილის "გათვლა" 2010 წელს დაინერა და გამოქვეყნდა;

2011 წელს მიიღო პრემია "საბა" წლის საუკეთესო დებიუტისთვის;

2011 წელს გოეთეს ინსტიტუტის მთარგმნელობითი სემინარის ფარგლებში ნათია მიქელაძემ "ალ-მოჩინა" და მისი თარგმნა დაიწყო;

ამავე წელს დაფინანსდა კულტურის სამინისტროს მიერ;

2012 წელს შვეიცარიელი ლიტერატურული აკადემიის, რახელ გრაცფელდის ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შვეიცარიულ გამომცემლობა Unionsverlag-მა გამოსცა;

2013 წლის მარტში Jugendliteraturpreis-ის ფინალისტთა სიაში მოხვდა;

2013 წლის 11 ოქტომბერს კი საუკეთესოდ აღიარეს.

2013 წლის 12 ოქტომბერს ქართულ სტენდთან რუსული საგამომცემლო სახლის "სამოკაის" წარმომადგენელი მოდის და რახელ გრაცფელდთან შეხვედრას ნიშნავს, ამბობს, რომ თამთას რომანის შესახებ სმენოდა, პრემიის მიღების შემდეგ მისი კითხვა დაიწყო და ახლა უნდა, რომ ის რუსულად გამოიცეს.

12.10.2013

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ქართული დევეგაციისთვის ანა კორძაია-სამადაშვილის წიგნის წარდგენით სრულდება. ანა მისი გერმანული გამომცემლობის Schiler-ის სტენდზე "მე, მარგარიტას" შესახებ ჰყვება, ნახევრად - ქართულად და ნახევრად - გერმანულად.

გერმანული "მე, მარგარიტაც" 2011 წლის ქართულ-გერმანული მთარგმნელობითი სახელოსნოს მუშაობის შედეგია. სწორედ იქ გადაწყდა, რომ ამ წიგნს სიბილა ჰაინცე გადათარგმნის. კრებული გერმანულ წიგნის ბაზარზე წელს, დეკემბერში გავა, მანამდე კი ავტორთან კიდევ ერთი შეხვედრაა დაგეგმილი - 18 ოქტომბერს, ბერლინში, Buchhaendlerkeller-ში.

13.10.2013

ბაზრობა დასრულდა, წლევანდელ ვიზიტს პროფესორ ალექსანდრე კარტოზიასთან ერთად ვაჯამებ:

"თამთა მელაშვილის მიერ ჯილდოს მიღება და

ლიან დიდი საქმე იყო, ეს ნიშნავს, რომ თამთა მელაშვილს დღეიდან უკვე იცნობენ, ეს არის გამარჯვება მთელი ქართული მწერლობისთვის. ახლა გერმანიაში იცნა, რომ საქართველოში არსებობს ლირებულ ლიტერატურა, რომელიც უნდა წაიკითხო. ჩვენ გვაქვს ძალიან საინტერესო ლიტერატურა, რომელიც აუცილებლად უნდა ითარგმნოს.

ქვეყნები ოცნებობენ შანსზე, გახდნენ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრები, რადგან ეს მთელი ქვეყნის წარდგენაა: თუ კარგად წარდგები, გერმანიაში და, მამსადამე, მთელ ევროპაში ხდება ისლავარაკო. ამის კარგი მაგალითია ისლანდია, რომელზეც დღემდე ალტრაციებით საუბრობენ. არსებობს ლიტვის მაგალითიც, რომელმაც პირიქით - თავისი უნდა ვეცადოთ, ვაჯობოთ ისლანდიას. ამისთვის აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ ეს სახელმწიფო საქმეა და აუცილებელია ყველა რესურსის გაერთიანება, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. პოტენციური ნამდვილად გვაქვს, შესანიშნავი ავტორები გვყავს, სტენდზეც ბევრი წიგნი იყო. ცხადია, წლებთან ერთად უფრო დიდი, ღია და თავისუფალი სტენდი უნდა გვქონდეს. არ გვყავს ბევრი მთარგმნელი. ამ შემთხვევაში გამოსავალი მთარგმნელთა ტანდემებია. ასეთი ტანდემები, დარწმუნებული ვარ, კარგად იმუშავებს".

ალექსანდრე კარტოზია დასძენს, რომ 2017 წლამდე არცთუ დიდი დროა. ეს საქმე დღესვეა დასაწყები, რადგან როგორც არ უნდა წარვადგინოთ ქვეყნის კულტურა, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ბევრი კარგი და უცხო ენებზე თარგმნილი წიგნია.

P.S. წიგნის ბაზრობის ფარგლებში გერმანული კინოს ვარსკვლავის, ჰანა შიგულას წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნს ასე ჰქვია: "გილივიე და იოცნებე". სათაურს ვკითხულობ და საქართველო მახსენდება, და ისიც, რომ ქართულმა და გერმანულმა მხარეებმა, სულ მალე, ნოემბერში, ხელი უნდა მოაწერონ ისტორიულ დოკუმენტს, რომლის თანახმადაც საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე 2017 წელს სტუმარი ქვეყნის სტატუსით ჩამოვა. მეორე, სწორედ დროა მოზილიზდეს ფინანსური და ინტელექტუალური რესურსი, გავიღვიძოთ და ვიოცნებოთ, რადგან, როგორც ქალბატონმა შიგულამ თქვა, ოცნება პირველი ნაბიჯია აქციო დიდი იდეები დიდ საქმეებად.



## ელზბარ მაყაშვილი

# შეხვედრა მგოსნებთან

ქართველმა პოლიტიკურმა ემიგრანტმა ელზბარ მაყაშვილმა სიცოცხლის უკანასკნელი 64 წელი საფრანგეთში გაატარა. ის დაიბადა კახეთში, 1905 წელს. 1922-27 წლებში მონაწილეობდა ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართულ პარტიზანულ ბრძოლებსა და არალეგალურ მუშაობაში. 1927 წელს იძულებული გახდა ვაქცეულიყო სამშობლოდან. ის სამხრეთ საფრანგეთში დაფუძნდა. იქვე დაქორწინდა და ფრანგი მეუღლისგან ეყოლა ქალიშვილი. პერიოდულად ჩადიოდა პარიზში, რათა მონაწილეობა მიეღო ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის გარდაიცვალა ქალაქ ნიმში, 1991 წლის 6 ივნისს.

ქვემოთ გთავაზობთ ნაწყვეტს მისი მოგონებებიდან, რომელშიც აღწერილია ტიციან ტაბიძის ოჯახში გამართული ქეფი. მოგონებების ხელნაწერი ხელნაწერის ბატონ რეზო ნიკოლაძის საშუალებით მოხვდა.

კოტე ტიციან ტაბიძეს მეუღლედ ჰყავდა ჩვენი ახლო ნათესავი, ნინო მაყაშვილი, ქართული სილამაზით შემკული, ნარმოსადები ქალი. ის და მთელი მისი ოჯახი შინაურულ და მეგობრულ ურთიერთობაში იყო ჩვენი ოჯახთან. ის თითქმის ჩვენი ოჯახის წევრად ითვლებოდა. ასე რომ, ტიციანი (შინაურთათვის ტიტე) ერთ-ერთ ჩვენ სიძედ ითვლებოდა. ჩემთან ყოველთვის კარგ ურთიერთობაში იყო, ცოლისძმას მეძახდა და პატიმრობის დროს (რაც ძალიან ხშირი იყო) ამანათებს და საქმელს არ მაკლებდა ციხეში.

ერთხელ, 1924 წლის მინურულს, რალაც მანქანებით ისევ გადაარჩინილი დახვრეტას, თუმცა კი უნივერსიტეტიდან გარიცხული, როგორც შემწეული კონტრრევოლუციონერი, უშუშევარი და მთავრობის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი, თავისუფლად დავეტეტებოდი თბილისის ქუჩებში. ამ ხეტიალის დროს შევეჩუებ ტიტეს, ჩვეულებრივ სუფთად გამონყობილს, განუშორებელი მიხაკის ყვავილით გულზე. გამიღიმა, მომესალმა. ტკბილი, სასიამოვნო და გულწრფელი იყო მისი ღიმილი. ხელი მკლავში გამიფარა და სეირნობა განვაგრძეთ. "ჩემო ელიზბარ, ძალიან მიხარია უხეფურებისგან შენი გადარჩენა და ჯანმრთელად ყოფნა. ძალიან მიხდოდა შენთან შეხვედრა და შემთხვევით რომ არ მეხახე, მაინც ვაპირებდი შენს ნახვას. ალბათ იცი, რომ ზეგ ნინაზბა, ჩემი მეუღლის დღეობა. სადღეზე მიხვეული მაყავს ბევრი მეგობარი, პირველ რიგში - ჩვენი ქართველი მწერლები და პოეტები. შენც უსათუოდ უნდა დაეწერო შენი ბიძაშვილი ნინას დღესასწაულს. იცოდ, გელიო!" პატარა ყოყმანის შემდეგ (ჩაუცმელობის გამო) დავეყბუდი. "კობხა ყარალაშვილს გამოუარე და მოდიე ჩვენსა ზეგ 11 საათზე", დაამთავრა ტიტემ.

დანიშნულ დღეს კობხას მივაადექი, უკვე კინოსახიობს, ჩემს დიდ მეგობარს. რუსთაველს შეუყუყუით ყვავილებით ხელში. შემოგვეყვარა ცეკვა-სიმღერითა და ოხუნჯობით განთქმული კოსტა კობიაშვილი. "საით? ალბათ საქეთოდ?" არა, კოსტა, ჩვენი განათლებულ სახლში ვართ დაპატიჟებულნი", პასუ-

ხობს კობხა. "მეც ნამოვალ". "კაცო, სუნი აილე?! ჩემი დღეობა კი არ არის, ნინაზბაა, ტიციანის ცოლის დღეობა. ჩვენ დაპატიჟებულნი ვართ". "მეც მოვდივარ. მე პატიყ არ მინდა, ტიციანის მეგობარი ვარ", იძახის კოსტა. აგვეკვიდა.

ტიტესთან რომ მივედი, კარი გაიღო და ნინო შემოგვეგება, გადამეხვია, და-მშურად გადამკოცნდა და მინ შეგვიპატიყა. დედა-შვილურად ჩამიკრა ბარბარე მაყაშვილმა, ნინოს დედამ. კარებში მომღიმარი სახით მოგვეგება ტიტეც. მოგვესალმა, შეგვიპატიყა. სუფრა გამილილი დაგვხვდა. უკვე მოსულიყვნენ სანდრო მანშიაშვილი, პაოლი აშვილი, იოსებ მჭედლიშვილი და სხვა პოეტები. ქალიშვილებიც იყვნენ, ერთიმეორეზე მოხდენილნი. ყველას მივესალმეთ.

სუფრაზე აღურება სანოვავე და ხვანჭყარა ღვინო დაგვხვდა. აუქესანდრემ (მანშიაშვილმა) მე და კობხას ვადმოგვხედა და ტიტეს მიუბრუნდა: "კაცო, ტიტე, ამ ალაზნის ველზე გაზრდილ შვილებს რას გვიშვრებ? ხენაჭყარა რა ჩვენი საქმეა, კახური დაგვალევირე!" "ჩემი თავი გენაცვალოთ!" დაიძახა ტიტემ და მალე მაგიდაზე "საეროს" ბოთლები გაჩნდა. სუფრას შემოვუსხდით. გვერდს გვიმშვენიდნენ მსახიობი ქალბატონი თ. ჭავჭავაძე, თეო ღვინიაშვილი და სხვები, რომელთა გვარები აღარ მახსენდება. თითოეულს წერნეტა ტანი და ქართული სილამაზე ამშვენივდა. გვაკვდა პოეტები გრიშაშვილი, გლავატკონი, მაგონი ქუჩიშვილიც, რომლებიც წერილობით მოულოცეს ნინოს დღესასწაული და მოუბოდიშეს, რომ ვერ დაესწრნენ სხვადასხვა საპატიო მიხეზის გამო. დარბაზი იყო დიდი და ნათელი. იქვე, ცალკე მაგიდასთან ისხდნენ დამკვერლებიც ჭანურით, თარით და დლოით. არც ერთს არ დავეინყებინა ტიტეს სუფრა. თავზე კაკუნი გაისხა. შემოვიდნენ იუმორისტი დაფნა, "უშმაკის მათარხის" ყოფილი რედაქტორი და კოპალი (კოპალაძე). ორივეს კარგად ვიცნობდი მეტყვნიდან. ამიტომაც იყო, რომ ძმურად ვადამკოცნეს. დიდი სიხარული გამიონვია თავუნას - კომიკური მწერლის და მოსწრებული სიტყვის პატრონის მოვლამ.

სუფრაზე მყოფებმა მაღის მოსასკლელად თითო



ჭაჭის არაყი დავლიეთ. ალექსანდრე წამოდგა და თავისი დინჯი კახური კილოთი სუფრას მიმართა, ძველი ქართული სუფრის წესზე მოითხოვა თამაძის დანიშნა: "პაოლო, სუფრის თამადად მე პირადად შენ გასახელე. თუ შენ არ იქნები სუფრის უფროსი, ყველას ეწყინება და ალბათ შენც", დაამთავრა ღიმილით სანდრომ. ყველამ ჭიქით ხელში მიულოცა პაოლოს თამადაობა. მას უარი არ უთქვამს, არ განაზებულა, უსიტყვოდ იკისრა სუფრის ხელმძღვანელობა. მშვენიერი სიტყვა წარმოთქვა ჭიქით ხელში, მონივნებით მოიხსენია წმინდა ნინო, ვაზის ჯვრით ქრისტიანობის შემომტანი საქართველოში, და დალია ნინო ტაბიძის სადღეგრძელო. ლამაზად სტყორცნა, ლექსად და ექსპრომტად. დამკვრელებმა დასცხეს ძველი ქართული მეომართ ტუში, შემდეგ კი კოხტა ყარალაშვილმა კობაშვილთან ერთად მრავალჯამიერიც შემოსძახა. ბანიც კარგი მისცეს. მე თინა ღვინიაშვილისა და მწერალ კლდიაშვილს შორის მოგვხვდი. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მისდევდა პაოლოს მშვენიერი ქართულით, რომელიც თითოეულ სადღეგრძელოს იქვე შეთხზული ექსპრომტით ამთავრებდა. მისი თამადაობა დამლელი არ იყო, პირიქით: სუფთა ქართული სულით იყო გამსჭვალული. ყველანი მონივნებით ვუგდებდით ყურს. პაოლომ საქართველოს სადღეგრძელო შესვა, თუმცა მტრის ხელში დატანჯულის, მაგრამ მაინც მშვენიერის. ყველას სიამოვნება და აღტაცება შეენიშნე. მხოლოდ კლდიაშვილის თვალები გამოიყურებოდნენ რაღაც ნაირი შიშით. "ამას უშინია", გავიფიქრე ჩემთვის. თიკოს თითქმის ბავშვობიდან ვიცნობდი. მოგვიხდა კიდევ თელავის თეატრში ერთად გამოსვლა. ხმადაბლა ვბაასობდით და ვიგონებდით წარსულ ბავშვობის წლებს. სიმღერა სიმღერას მოსდევდა. საამოდ ტრიალებდა ჭიანჭურის, თარის და დოლის ტკბილი ხმები. დაიწყო ჩვენი მამა-პაპური ცეკვა დარბაისული (დღეს ლეკურად ნოდებულნი). მარჯვედ ჩამოუარა წრეს კობაშვილმა და თიკო განივია საცეკვაოდ. ლამაზი და მოხდენილი იყო მათი ცეკვა და დიდი ტაშითაც დააჯილდოვეს. სად იყო ცისფერყანწელთა და ახლადშემოსული ფუტურისტული, ბევრისთვის გაუგებარი საუბარი! აქ იყო წამდელი და შეუდარებელი ქართული სუფრა, მშვენიერი ქართული ენა. აღტაცებით ვუსმენდი პაოლოს თამადაობას და შუშხუნა ექსპრომტებს. არაჩვეულებრივი, ღვთიური ნიჭი მოჩანდა მასში.

სხვადა შორის მაგონდება, რომ სუფრაზე მიწვეულნი იყვნენ ქართველი მოჭიდავეები. ტიციანი ქართული ჭიდაობის დიდი მოყვარული გახლდათ. ორი ფალავანი კუნთიანი მკლავებით დინჯად და დარბაისლურად იჯდა. დაიწკრილა დარბაზის კარის ზარმა. ტრექე პარი გააგლო და დაიძახა: "ვინც მოივდა, გაუმარჯოს!" ყველანი კარებს მივამჩრდით. გამოჩნდა უბრალოდ, მაგრამ სუფთად ჩაცმული, უღვაშითა და მოკლე წვერით, ჩვენი სახალხო მეოსანი ეთემ გურჯი. მარცხენა მკლავზე ნაბადი გადაეგდო და მარჯვენა ხელში კალათა ეჭირა. თითქმის ყველანი ფეხზე წამოვდექით. "გაუმარჯოს, გაუმარჯოს!", ისმოდა ხმები. ეთემ გურჯმა ნაბადი გვერდზე გადადგო და კალათით ხელში სუფრას მიუახლოვდა. წინ პაოლო შეეგება და ძმურად გადაჰკოცნა. შემდეგ თავისთან



მიიწვია და გვერდით მოისვა. ეთემ გურჯს ამღვრეულ თვალზე ვეცხოვობა, რომ უკვე ცოტა გადაეკურა. ფეხზე წამოდგა, ერთი ჭიქა კახური ურიგოდ გადაჰკრა და თამადას სიტყვის ნება სთხოვა. "ბრძანე, ეთემო, ბრძანე". იმანაც ცოტა ადევლებულმა და პატარა ხრინით ხმაში დაიწყო. ვამბობ მის სიტყვას დაახლოებით და მოკლედ.

ძმებო, დებო და შვილებო, ჯერ ბოდიშს მოვიხდი და გვიანებისთვის. შემოსვლისთანავე მსურს შეგსვა ჩვენი ტანჯული მამულის სადღეგრძელო. თუმცა ჩვენს თამადას არ გამოეღვება სადღეგრძელოები, როგორც მერცხალს ჭიქკი, მაგრამ მე, მოხუცებულიობაში შესულ უბრალო კაცს, თავი მოვალედი მიმანია, როგორც ქართული ადამი და ნესი მოთხოვს, ჯერ იმითი მოგვინდა ვთქვა, ვინც დღეს აღარ არის, განსაკუთრებით კი - ვინც სამშობლოსთვის



დაეცა. ეთემმა ტაბახმელაზე ოუნკერთა გმირული ბრძოლა გაიხსენა, გაიხსენა საბურთალოზე დახვერტილები, წინაპართა ბრძოლა. ბოლოს დღევანდელ დღეცარნაულს წინააზბას მიადგა: "ხელცარნაული მოსვლა ამ სახლში ჩვენი წინოს დღეობაზე ნესი არ არის. ამიტომაც მომირთმევი მცირე საწყურარი." კაღათიდან ამოალაგა მოითი პური, ხმელი, დამარილებული თევზი, დომი და სხვა. ბოთლით კახური ღვინოც ამოიღო, ბოლოს კი ხილით შემკული ვაზის ჯვარი. საზოგადოებას ჯვარი გადაწერა და ჯვარსვე მიაბარა დახოცილთა სული. ამან ყველას აღტაცება გამოიწვია, ყველამ მოისურვა ჯვრის ახლოს ნახვა, ზოგი კიდევ მოწინებით ემთხვია მას. გადარბაში "ვაშა" გაისმა. "აბა, ნასყიდ, დასახელე!", გადასახა ეთემ გურჯმა ერთ-ერთ დამკვერელს. ტკბილად ამღერებულ თარს ტირილით აჰყვა ჭიანური, მედოლემ დოლიც მიუმარჯვა. მშვენიერი და სვედიანი ხმით დაიწყო ნასყიდად:

რათ მორთულხარ შვავად, ჩემო დედაო?  
რათ დამტირი ცხარედ საფლავზედაო?  
მინაში ვარ, თვალთ ვერა გხედავო,  
ქვა და ლოდი მაყარია ზედაო.  
გახსოვს დედავ, დამხაროდი ხშირადა,  
აკენშიაც ჩამღეროდი ტკბილადა,  
გაიზარდე საქართველოს შვილადა,  
იქნებ შენს ერს გამოადგე გმირადა.  
ესხა მნახე, დედავ, რა ცუდ დღეში ვარ,  
გველ-ბაყაყის და ხელაკების ხელში ვარ,  
ვაი, დედავ, რა უბედურ დღეში ვარ,  
მე გახრწნილი და დამპალი ლეში ვარ!

ბაიათმა რაღაც შეება მოჰფინა ჩემს გულს. იმ ქართველ დედას ვნატრობდი, რომელმაც თავის ღრმა მწუხარებაში შვილის საფლავს მიაგნო. მე ამისი ღირსიც არ გამხნადა უფალმა. ეთემ გურჯი თვალცრემლიანი წამოდგა, დამკვერელებს მიუახლოვდა და სათითოდ გადააქოცნა (ფეფქრობ, მე ლექსი-მოთქმა ეკუთვნოდა თვით ეთემ გურჯს). შემდეგ ვაზის ჯვრით ხელში წინოსკენ გაემართა, მირთვა, ერთხელ კიდევ დალოცა, დღეობა მიულოცა და მამაშვილურად გადააქოცნა. თვალგაბრწყინებული წინო მხარზე ეამბორა მას. ეს ჩემთვის ენითაუწერელი სურათი იყო. თვალწინ დამიდგნენ ჩვენი წინარბები. ეთემ გურჯმა სუფრის თვალს გადაავლო. "არ მოსწინებდა ქართველს ვაზაფხულისპირს ფრინველთა ჭიჭიკი, ბულბულის საამური გალობა, მაგრამ რა ვქნა, იძულებული ვარ დარბაზი დატოვო და ჩემს ქიხის შევეფარო", წარმოთქვა მან და ერთხელ კიდევ გადაავლო თვალს დარბაზს. "ვერ ვხედავ ჩემს გალაკტიონს, ჩვენს მგოსანთა მეფეს", თქვა მან (დიდი მეგობარი და პატივიცემი დიდი იყო გალაკტიონის). შემდეგ გამოგვითხოვა, თავზე კახური ქუდი დაიხურა, ნაბადი მოიგდო და წასასვლელად მოემზადა. დარბაზმა ტაშის ცემით გააცილა. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სუფრა კვლავ პაოლომ გამოაფხიზლა. კვლავ სადღეგრძელოები გაჩაღდა პაოლოს შეასანიშნავეი ექსპრომტებით. კვლავ მხიარულება მოიტანა თავუნახა, კობტას და კოსტას მოსწრებულმა სიტყვებმა. შემდეგ ისევ პაოლო წამოდგა და თავისი სასიამოვნო ხმით კვლავ ექსპრომტად წარმოთქვა:

დე, გაგიუდეს ჭიანური,  
დე, გაგიუდეს ჩვენი თარი,  
ვთხოვ და კიდევ იცეკვაობს  
ახალგაზრდა ელიზბარე.

ეს უკვე მე მომმართებოდნენ. დიდ ხანია არ მეცეკვა, მაგრამ ამ ლექსმა სიამოვნების ურუნტელი მომგვარა. წამოვდექი, წრეს შემოვფარე, ბიძაშვილი წინოს წინ ვაეჩერდი და თავი მოწინებით დავუკარი. წინოს არ დაუგვიანებია, წარწარით გამომყვა საცეკვაოდ. ცეკვის დროს ბურანში ვიყავი. ბოლოს ჩვენი ცეკვა დასრულდა, ერთხელ კიდევ გადავკოცნე წინო. გაისმა ვაშას ძახილი და ტაშის გრიალი. ჩემს ალაგს დაუბრუნდი. უცებ რაღაც უხილავმა ძალამ მომიანრა, ფეხზე წამოვხტი და მეც ექსპრომტად შევძახე:

რომ ქართველმა ცეკვა იცის,  
ვერ დავენამბო ჩვენ მას ცოლსა,  
მოიღო, ახლა ცეკვა ვთხოვოთ  
თვითონ პავლო იაშვილსა!

კვლავ ვაშა, კვლავ ტაში, "გთხოვოთ, გთხოვოთ", გაისმა ხმები. პაოლო ფეხზე წამოდგა გაბრწყინებული სახით და მოხდენით მიპასუხა:

ლექსი მტყორცნე მეგობარო,  
ლექსი ტკბილი, თანაც მწვავე,  
ცეკვის ნიჭი არ მქონია,  
მე ლექსით ვარ მოცეკვავე!

დღესასწაული გრძელდებოდა. დაილია თითოეული იქ მყოფის სადღეგრძელო. ყველას შეხება პაოლოს ლექსი. ლექსის დამასსოვრება ბავშვობიდანვე მეზერებოდა, მაგრამ ესხა ვატყობ, რომ ბევრ რამეში მღალატობს მეხსიერება. ან ვის შეეძლო პაოლოს გაუთავებელი ექსპრომტების ზეპირად დამახსოვრება! მახსენდება კიდევ ერთი მისი ლექსი მიმართული მოჭიდავე ვანო კასპელისადმი:

საამაო ქართველი ცეკვა,  
ბუნებრივი, არა ძნელი,  
ალბათ ცეკვით ჩვენ დაგვატკობს  
მოჭიდავე ეს კასპელი.

დამკვერელებმა ბაღდადური დაჰკრეს, კასპელმა კუნთიანი მკლავები გაშალა, ბაღდადი ხელში მოიმარჯვა და ლამაზი ბუქნით შემოუარა წრეს.

ნადიმი გატრქელდა, ტკბილი და სასიამოვნო. არსად არავითარი პოლიემკა, არავითარი ჭირვეულობა, სუფთად იქნა დაცული ქართული სუფრის ტრადიციები. მოვიდა ჩემი დღეგრძელობის ჯერიც. პაოლო ფეხზე ადგა, დიდი მჭევრმეტყველებით შემეპო, ბევრი რამ თქვა, ბევრი რამ მომიწონა. ცოტა არ იყოს, ეჭვი გამიჩნდა. არა პაოლოს სიტყვებში გულწრფელობაში, არამედ საკუთარ თავში. "რა ვაგვაკეთ ისეთი, რომ ამხელა ქება დავიწმასაურე? ცვდილობდი მომეხადა ჩემი ვალი სამშობლოს წინაშე და ისიც მხოლოდ ნაწილობრივ შევძელი", ფეფქრობდი ჩემთვის. შემდეგ მთლად ჩვესკენ შემოტრიალებულმა ექსპრომტიც მაჯახა:



რა ძნელი ხარ და რა მკაცრი ეკლიანო შენდამართო! მოდი ახლო ქართველურად მსურს, რომ ხელი ჩაწოვარო!

პაოლო ხელგამოშვერილი წამოვიდა ჩემსკენ, მეც შევეგებე, ხელი მხურვალედ ჩამომართვა, გულში ჩამიკრა და ნამდვილად ძმურად გადამკოცნა. ამასაც ტამით შეხვდნენ. კობტამ წკრილა ხმით შემოსახა ჩემი საყვარელი სიმღერა "ვინა სთქვა საქართველოზე, ეგ არის ღომი კვდებაო". ყველა მონივნებით და აღფრთოვანებით უსმენდა, ეძინა მხოლოდ ძლიერ დამთვრალ ახალგაზრდა პოეტს, გერონტის. გრძელდებოდა ქეიფი და სითოვნება. სადილს ვახშამი ზოჰყვია. სიტყვა მიეცა თითოეულ სტუმარს, თითოეულმა პოეტმა წარმოთქვა თავისი შეთხზული ლექსი, ერთიმეორეზე უკეთესი. თავუნამ ხალხი გაამხიარულა, როცა წარმოთქვა იუმორისტული ლექსი გრიშაშვილზე (მხოლოდ ნაწილი მახსოვს):

გრიშაშვილმა მთხოვა: დანერე რამეო და ჩემს სალამოზე წარმოსთქვი ხვალეო. მე კი ვუპასუხე: "აბა სად ვიმოვო მუზა გასახეთი? მუზას მე გასესხებ, ნუ სწუხდები მასზე, არა გვიან, მაო, ხვალევე დილაზე. დილით ადრე მუზამ ზედი-ზედა მტყორცნა: ჩქარა დანერეო კოცნა, კოცნა, კოცნა. და მეც კოცნას ვუძღვნი, ვინც ლამაზი აქ ზის, განა მხოლოდ ჩემის - გრიშაშვილის მუზის.

ც ვნიერი სიტყვა წარმოთქვა კოტეტიშვილმა. უსურვა თამადას დღეგრძელობა.

შუალამე გადასულიყო. თამადას დღეგრძელობა უკვე ქეიფის დასასრულად ითვლებოდა. "აბა, პაოლო, გვითხარ ერთი შენი სახუმარო ქუთათური!" პაოლო წამოდგა და ნამდვილი ქუთათისური კილოთი ლექსად აღწერა ქუთათისის სასიერნო ბალი სალამოთი (ბულვარად ნოდებულო), იქ მოსიერნე უსაქმო ქალ-ვაჟი და მათი არმყოფობა. მახსოვს მხოლოდ დაბოლოება, რომელშიც ლაპარაკია ერთ სკამზე მყუდროდ მჯდარ წყვილზე. ქალი ეურჩება გრძნობით აღვივებულ ვაჟს:

სად მოჩოჩავ, გერასიმ, გეინეი იქით რაცხა, ხედავ, ხალხი მიდი-მოდის, ეგონება ვინცხას რაცხა.

ნადიმი დამთავრდა. ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ და მე გავეუდექი ჩემი ცარიელი ოთახის

გზას. კობტამ სახლამდე მიმაცილა. სინათლის აუნთებლად და გაუხედლად ლოგინზე მივწეკი. ეს იყო ჩემი უკანასკნელი სიამოვნება და სიხარული. ჩემდა საუბედუროდ და თან ამავი გულით კვლავ ჩავები საშობ მოძრაობაში, სამშობლოს სიყვარულით და პირადი შურისძიებით აღსავსე. აქ უკვე ჩემი დევნა გახშირდა. რკალი თანდათანობით შევიწროვდა. ჩემს ვაჟო შეავიწროვეს ჩემი მეგობრები. იძულებული გავხდი დამეტოვებინა სამშობლო და გადმოვხვენილიყავი უცხოეთში.

**P. S.** როდესაც თავისი მშვენიერი სიტყვების შემდეგ ეთემ გურჯმა ჩვენი სუფრა მოულოდნელად დატოვა, მისი ეს მოქმედება მე ცოტა არ იყოს მეუცხოვა. ძველი ტრადიციების მოქმე ქართველი კაცის მიერ უჯეროდ ღვინის დაღვევა მაკვირვებდა, ეს ჩემთვის გაუგებარი იყო და მგონი სხვებზეც ასეთივე მთაბეჭდილება დატოვა. მინდოდა გამერკვია, თუ რაში იყო საქმე.

სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ ამ მართოხელა კაცს, არ ვიცი რა საშუალებით გაუზრდიდა მიტოვებული ჩვილი, რომლისთვისაც სახელად მალხაზა დაურქმევია. ბავშვი გაზრდილა, ნიჭიერიც გამომდგარა სიმღერაშიც და წერაშიც. შემდეგ კი, საუბედუროდ, არალეგალურ ბრძოლაშიც ჩაბმულა, აქტიური მონაწილეობა მიუღია 1924 წლის აჯანყებაში, დაჭრილა კიდევ მგონი დაბავაზიანთან და კომუნისტ ჯალათებს ჩავარდნია ხელში. დიდხანს ეთემმა შვილობილზე არაფერი იცოდა. შემდეგ გაიგო, რომ მკეკაში ჰყავდათ და რალაცნაირად შეხვედრდა დაუნიშნია ვილაც ბობოლასთან სწორედ იმ წინაობის დღეს. აი, რატომ დატოვა იმ დღეს სუფრა. შეხვედრაზე კი მისთვის პირდაპირ მიუხლიათ, რომ მისი საყვარელი მალხაზა უკვე კარგა ხნის დახვერტილი იყო. ამაზე გულდათუთქულ ეთემს ეს ლექსი დაუწერია:

ჩვენი ღვინოს ვსვამდით, არრას ვგრძნობდით გალემებულნი, შენ კი გხვრეტავდა გიჟი შულმანი გამხეცვებული, შენ რომ გხვრეტავდა, მე ვხვრინავდი, მეძინა ტკბილად, იმ დიდ კალოზე, საბურთალოზე, გამარხავდნენ წყვილად.

და არცა ვანობო, რაც ჩავიდინე, ძალად გამხადეთ მე ესლა თქვენი, მაგრამ რა ვქნა, რომ სიცოცხლე მინდა, შულმანის ხელით დახვერეტას ველი. ეთემი გურჯო, აბა, რას იტყვი, თუ რამე გჯერა, მაინც ბოლოა ჩვენი დახვერეტა, ოხ, ბედისწერა!


ვფიქრობ, ეს სიმღერა მან ჩვენი ქეიფიდან დაბრუნების შემდეგ დანერა.

პუბლიკაცია მოამზადა ბიძინა მაყაშვილმა

ჯაბა ზარქუა

# ვერშემდგარი ბლოკბასტერის სინოფსისი

დათო ტურაშვილი, ტყეების მეფე (ლეგენდები დავით აღმაშენებელზე), "პაკურ სულაკაურის გამომცემლობა", თბ. 2013.



დავით აღმაშენებელი მგონი ერთადერთი მეფეა, რომელსაც ყველა ქართველი გააზრებულად თუ გაუაზრებულად ფაეორიტი დიდი ქართველების სამეულში მანინც ასახელებს. ეს არის მეფე, რომელსაც წარმატებულად იყენებდა ქართული პრობაგანდა გარკვეული მიზნებისთვის. მეფე, რომელსაც მოუსვენარი, მოხეტიალე ძეგლი დაუდგეს. მეფე, რომლისადმი მიძღვნილი ლექსის სტროფიც ყველამ იცის და მეფე, რომელზეც დანეროლია ალბათ ყველაზე სქელი ქართული ისტორიული რომანი. დიდგორი და მეფის გვერდით ამხედრებული თავად წმინდა გიორგი, ხატში მოხედრილი ისარი, სამავალითოდ დასჯილი მოლაღატეები, მარცხი მშენებლობაზე, უცხოტომელების ჩამოსახლება, ძლევაი საკვირველი, გალობანი სინანულისანი - ყველამ ყველაფერი იცით, ტყუილი თუ მართალი, ლეგენდა თუ ჭირი. პირდაპირ რომ ვთქვათ, მოყირჭე-

ბული თემაა მწერლისთვის, რადგან რაიმე ახლის აღმოჩენა ან თუნდაც ახალი რაკურსის დაჭერა, საკმაოდ რთულია.

"ტყეების მეფე (ლეგენდები დავით აღმაშენებელზე)" დათო ტურაშვილის ახალი ნაწარმოებია, რომელიც "პაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" გამოსცა. წიგნი ავტორთა თუ სცენარისტთა ჯგუფის საკმაოდ უცნაური სტილის მიმართვით იწყება, სადაც მკითხველი გებულობს, რომ თურმე ეს ადრე სცენარი იყო, თურმე ფოლმი უნდა გადაღებულიყო და ბევრი შრომაც დაღვრილა მასალების მოძიებაში და ა.შ. და ა.შ. ამ ოფიციალური ტონიდან კი პირდაპირ გადადის თხრობაზე, რაც მკითხველს აბნევს და დისკომფორტს უქმნის დასაწყისშივე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ერთვარ წინათქმამში ავტორები ირწმუნებიან, რომ ეს ის დავით აღმაშენებელი არაა, რომელსაც ასე კარგად ვიცნობთ და რომ ისინი ეცადნენ სტერეოტიპების დანგრევას და მეფის უდავოდ საინტერესო ტიპაჟის სხვანაირი კუთხით ჩვენებას. მისასაღმებელი ინიციტივაა, ცხადია, თუმცა ფაქტი ჯოჯობა - ავტორმა მექანიკურად მოაქურა წიგნისთვის "გაცვეთილი" დავით მეფე, ავტორმა ტურად შეაკონინა მასთან დაკავშირებული ლეგენდები და მითები და სტერეოტიპების წგრევისა და სხვა კუთხით ჩვენებისა რა გითხრათ, მაგრამ საპირისპირო ეფექტს კი მიაღწია.

პირველი თვალში ენა მომხვდა. რა ენაზე მეტყველებდნენ გმირები? ეს ფსევდოარქაული ქართული ხომ მეცხრამეტე საუკუნეზე ძველი არ იქნებოდა და რატომ აირჩია მაინცდამაინც ეს ენა თხრობისთვის? თუ სიძველის ეფექტის შექმნა და რეკონსტრუქცია უნდა, მეტი შრომა უნდა გაენია და დავითის ეპოქის ენა გა-

ეცოცხლებინა, რაც მკითხველს კითხვას გაურთულებდა, თუმცა სტილის სინმინდისთვის ამ მსხვერპლზე წასვლა ნამდვილად ღირდა. ან საერთოდაც დღევანდელი ქართული უნდა მოეთხრო ძველი ამბები და ამით ზედმეტ შრომა და სირთულეები თავიდან აეცილებინა, რისთვისაც არც არავინ დაძრაბავდა ავტორს. ეს აღმოსავლურ-ქართული დიალექტისა და ილია ჭავჭავაძის პერსონაჟების ენა კი ძალიან დამაბნეველად მოქმედებს, თეზის ფხასავით გეჩხრება ყელში.

რა დასამალია და, ენის არჩევა მაშინა ადვილი, როდესაც ზუსტად იცი, სად დგას მიხრობელი, ვინა ის, საიდან იცქირება და რა მოზიციანია. ამ წიგნში ავტორს წარმოდგენა არა აქვს ვინაა მთხრობელი, ის საერთოდაც გამქარალია. ვიღაც ამბავს, მაგრამ ვინაა ვერ ხვდები, რა ეპოქიდანაა, რას მოითხოვს. ეს არც სცენარისტთა ჯგუფია, რომელიც წანარმოებს იწყებს მიმართვით და არც ტურიკა და არც უამთამწერელი და არავინ საერთოდ, "ვიღაცა", ამ წიგნში შემთხვევით მოხედრილი და უწინარი "ვიღაც". სცენარისტის რა მოგახსენოთ, პროზისთვის, მით უმეტეს ისტორიული რომანისთვის, უდიდესი მინუსია, როცა მთხრობელი არ ჩანს არა გააზრებულად და შეგნებულად, არამედ გაუაზრებულად და შემთხვევით.

წიგნის კითხვისას მიმყარდებოდა გაცნა, რომ ეს იყო მართლაც ნაჩქარევიდ მოკრებილი სცენარის ფრაგმენტები, რომლებიც სრულიად დაუმუშავებლად და ნედლი სახით მოგვანოდა ავტორმა და შემოგვასალა პროზად. ის, რის გამოც პროზა მოგვონს, ამ წიგნს არ აქვს. სცენები ისე უადგილოდ და მოულოდნელად დახტუნავენ იქით-აქეთ, რომ ვგონება ძალიათაა ერთმანეთს მიკერებული, უბ-





რალოდ ასე ვცნობ ფურცლები და ბასტა. არც პერსონაჟების გამო-სახვავზე დახარჯულა დიდი შრომა და ჯავა აშკარად იმიტომ, რომ ბოლომდე ვერცერთი პერსონაჟი გაშლილი ვერაა, რომ არაფერი ვთქვათ მათ ორიგინალურობაზე. ყველად ვიცით, რომ გიორგი ჭყონდიდელი ბრძენი და ჭკვიანი ადამიანი იყო. ისტორიული რომანებისთვის, ჟანრის სპეციფიკას თუ გაკეთვალისწინებით, ასეთი ტიპაჟები მისწრებაა. მთელი წიგნის მანძილზე დაეხეტებიან აქეთ-იქით და საინტერესო, ვრცელი, შიგადაშიგ პათეტიკით და ბრძნულ დიალოგებს მართავენ ხოლმე მეფეებთან თუ სხვებთან. აქაური ჭყონდიდელიც თითქოს მსგავსი უნდა იყოს, თუმცა ვერც ბრძნადმეტყველებით გამოირჩევა მაინცდამაინც (ალაგ-ალაგ ორგროშინ და ბანაღლი, არაორაზროვან სიტყვას თუ წარმოთქმას) და ვერც ისეთი პათეტიკით, რომელიც მკითხველს დაბურთვლავს და გაახელბავს, ამ ჟანრის ნაწარმოებების მკითხველზე კი ამ ემოციას ხშირად თიხოვენ ხოლმე ავტორებიცა. დავით მეფის სამეგობროც თითქოს კარგი მასალა დასამუშავებლად, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ აქაც დაეზარა ავტორის პერსონაჟების უფრო მეტად გაშლა და კონსპექტურად, ერთგვარი დოსიეების სახით გადმოგვცა მათი ფსიქოპორტრეტები.

შთავარ გვიჩვენე ვთქვათ ორი სიტყვა ბარემ. დავითი კარგა ხანი არ ჩანს პრაქტიკულად. ტყეების მეფეო, გეგულებს მკითხველი და მორჩა, თითქოს საკამრიონია. უბრალოდ დადის და სუნთქავს, სრულიად უმიზნოდ. აი, მაშინ კი, როცა უნდა გამოჩნდეს მთელი თავისი დიდებულებით და მრისხანებით და სიმტკიცით და სიუსტეებით, მაშინაც რაღაცნაირი ფერმკრთალია. არადა, საინტერესო ფსიქონეროტული მტრისებრი იკვეთება მის ბუნებაში, იქ ამბობს, რომ უნდა გძულდეო, იქ მიზანთრომსაც კი ნააგავს შიგადაშიგ, მაგრამ ეს მეტა-მორფოზება და შინაგანი ქარტეხილები, რასაც წიგნის არცთუ ისე ცოტა დრო და ადგილი უნდა დათმობოდა, გამოტოვებული და ამოგდებულია და შედეგად გვჩრე-

ბა ის, რომ დავით აღმაშენებელმა მოიგო დიდგორის ბრძოლა, ჰყავდა ორი მეუღლე, მის შვილს, დემეტრეს, ბავშვობაში ცვატას ეძახდნენ და ა.შ., მეშვიდე კლასის ისტორიის სახალისო კონსპექტები, მოკლედ რომ ვთქვათ.

წიგნი ყველა ის ლეგენდაა დავით მეფის შესახებ, რომელსაც სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებთან ვიცნობთ. ვაგიკონიდავთ და, ზუსტად ამ ფორმითვე ეს ლეგენდები და მითები მოცემული, როგორც ხსენებულ სახელმძღვანელოებშია. გაუგებარია, მწერალმა თუ მათი ახლებური გაზარება არ შემოგვთავაზა, საერთოდ რაში დასჭირდა ან რაში გამოიხატებოდა "სხვანაირი დავითის" ჩვენების ამბიციია. ისინი ისე გაუთულელად, დაუშუშავებლად და ნედლად არის ჩაყრილი წიგნში, რომ რაღა დავამოლოთ (კოტიათი ბრაზუდები კიდევ კითხვისას. გრჩება შთაბეჭდილება, რომ წიგნი განკუთვნილია საქართველოში ჩამოსული ტურისტებისთვის, რომლებმაც ქართული იმ დონეზე იციან, რომ თხრობის ენა არქაულს მიაწერონ და აღფრთოვანდნენ და ეს ისტორიები კი პირველად მოისმინონ და ასევე აღფრთოვანდნენ, თუმცა მეექვსეა აქ ჩამოსულ ნებისმიერ ტურისტსაც კი არ სმენოდად იმის შესახებ, რომ გვყავდა დიდი მეფე, რომელიც ბევრ წიგნს კითხულობდა და ერთხელ კითხვისას ჩაეძინა, ისარი თვალზე დაიდებულ შაშვილ მოხვდა და ა.შ. და ა.შ.

კითხვისას მოუთმენლად ველოდი კულმინაციას, როგორც მოსაჭადებელ ხავს, რომელიც როგორც მიხედვით ალბათ, დიდგორის ომი უნდა ყოფილიყო. და აი, ისიც, დღევანე საკრედილო, რომელშიც ავტორმა აჩრქულ გზას ჯიუტად არ უღალატა - დავითის სიტყვა, რომელიც ასევე ყველამ ვიცით, ბატალური სცენების არც ისე შთაბეჭდავი აღწერა, ბოლომდე ვერმიყვანილი დრამა და ტრაგედია, სულ ეს იყო. ერთი სახალე აქ ისაა, რომ ის ორასი ადამიანი, რომლებიც პოპულარული ვერსიის თანახმად ჯვაროსნები იყვნენ, ავტორმა ფიცვლი ბრძენებით და მეფის უერთგულესი მეომრებით დააკომპლექტა. ეს ისტორიული ნიუანსი დიდის ამბით იყო აღნი-

შული წინასიტყვაობაშიც, თუმცა რამდენად მნიშვნელოვანია ის ლიტერატურული ნაწარმოებისთვის, თავად განსაჯეთ.

წიგნი არ იგონობა არანაირი სტილი. ზემოთაც ვთქვი და აქაც გაიმიწორებ, მთელი წიგნი ერთად თავმოყრილ და შემთხვევით აკინძულ ფურცლებს ჰგავს, რომლებიც ავტორმა სცენარის წერის შემდეგ მოაქუჩა და როგორც მოაქუჩა, ისევე გამოშუშა, ხელშეუვლებად. ნაწარმოები მიეკუთვნება ისტორიულ რომანს, თუმცა ვერ დაიკვეხნის ვერც ამ ჟანრისთვის და მამახასიათებელი ერთგვარი სტილური ნეს-კანონების დაცვით და ვერც მათი მიზანმიმართული განადგურებითა და ამბოჯრითელიც.

დაბოლოს: "მგონი ათი წლის ამბავია, დავით აღმაშენებლის შესახებ ფილმის გადაღების თაობაზე მხარეში რომ ატყდა და ტურიკა და მე რომ ამ ფილმისთვის დიალოგებს ვწერდიო. ხმამაღალი ლაპარაკი იყო და იმდენი ჭროც იყო, რომ დიდი ხალისი ამ საქმეში არ დავგიტოვეს, და გარემო კი, როგორც აკაკი იტყვიდა, სრულიად ჩვენებური გამოვიდა. მეგრე ამ დიალოგების წერა მოვამთავრეთ და თანდათან გაირკვა, რომ ეს, ტელევიზორებსა და ვაზითებს საკამათოდ მოდებული ამბავი, ნაუკთხავადაც აღარ აინტერესებთ. ტურიკაც ადგა და იმ სცენარისტისთვის მოგროვილი მასალების მიხედვით ეს წიგნი დაწერა. ყველას თავისი თინი აქვს და ყველა თავისებურად უყურებს რაიმე ამბავს და ტურიკა ასე უყურებს. და მგონია, რომ ხანდახან სწორია, როცა ადამიანს თავისი ნაშრომი დაენანება. მგონი, ეს უფრო სიყვარულის ბრალია და სიყვარული დაწერილი რომანში კი შთავარი მაინც სიყვარულია...". წერს ბლოგთქამში აკა მორჩილას. დავითს დასჭირდება არ დავეთანხმო, რადგან ძალიან ზუსტად ასახავს წიგნის სტრუქტურას, რომელიც სხვა არავფიქრებს, თუ არა სცენარისტის განკუთვნილი ერთად თავმოყრილი დიალოგები, რომელსაც რთულად და ეთქმის ისტორიული რომანი და ალბათ უფრო ვერგადებულ ფილმის სინოფსისად თუ გამოდგება.

# ზამა ციციშვილი

## ნაპოვნნი კონტექსტები

გიორგი მაისურაძე, დაკარგული კონტექსტები. თბ. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", 2012



წლებიდან "საბას" დაჯილდოვებულ განსაკუთრებულ სიხალეებს ნაკლებად ვვარაუდობდი, გამარჯვებულთა სავარაუდოდ ვინაობებსაც ვხვდებოდი წინდან და ველოდი მორიგ პომპეზურ ღონისძიებას ორკესტრით, პიჯაკებით, საღამოს კაბებით, დიდი ტაშით, პუბლიკის წინაშე წარმდგარი გამარჯვებული მწერლების დაკომპლექსებული და მოკლე სიტყვებით და ა.შ., თუმცა ამ მხრივ წლებიდან "საბამ" მოლოდინები სასაიუმოვოდ გამიქრია.

მწერლის უმთავრესი საქმე, ცხადია, წერაა, თუმცა მწერლის მიერ თქმულმა სიტყვამაც რიგ შემთხვევებში შეიძლება გადაწყვეტოს როლი ითამაშოს, მიხარვ გამოავლინოს და ახალი, მნიშვნელოვანი თემები შემოიტანოს ჩვენ მოსაწყენი და უმნიშვნელო პოლიტიკური ყოფის ასპარეზზე. ქართველ მწერლებს კი ეს გავს ტრიუნიტებისა და დედამისას, ყოველთვის აკლდანი გამბედაობა, არადა, ვინ იცის რისი შეცვლა შეეძლოთ მათ ართქმულ სიტყვებს. წლებიდან "საბას" დაჯილდოვება საყოველთაო ყურადღების ცენტრში ორი მწერლის, გიორგი მაისურ-

აძისა და ნაირა გელაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვების გამო მოექცა და ეს ცალსახად კარგია. უნდა ნახოს ხალხმა, რომ მწერლები საკუთარ თავში გამოკეტილი სექტა არაა, რომლებიც რაღაც დაჯილდოვებებს იწყობენ, ერთმანეთს აქებენ, მხოლოდ გაუგებარ და უცნობ ნაწარმოებებზე საუბარი ემარჯვებათ და ამ ქვეყანას არ არიან. მწერალი, უნდა ეს თუ არ უნდა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ქსოვილის შემადგენელი ნაწილია და სხვებისგან განსხვავებით, ხშირად აქვს ტრიბუნა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიყენოს. ასე მოიქცნენ ზემოთ დასახელებული მწერლებიც, რომელთაგან ყურადღებას ამაჯიერად გიორგი მაისურაძეზე გავამხებოვებ.

"სამწუხაროდ, ლიტერატურას ჯადღერობა არ შეუძლია, არადა, ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში, სადაც სამწუხაროდ ისეთი კანონი არსებობს, რომელსაც ადამიანის მარხუანას მოხმარებისათვის ციხეში გასტუმრება და გამოწყვდევა შეუძლია, სადაც პოლიტიკოსები ერთმანეთს ზოგჯერ წამქეზებლობაში ეჯიბრებიან, სადაც ამბიონებიდან ხშირად სიძულვილი და შეუწყნარებლობა იქადაგება, სადაც 17 მაისს ჩვენ არნახული სისასტიკის და ძალადობის ადლუმის მომხრეები აღმოჩნდით. ასეთ დროს, ლიტერატურას განსაკუთრებული ადგილი და განსაკუთრებული ფუნქცია უნდა ჰქონდეს".

ეს სიტყვები გიორგი მაისურაძის წინის, "დაკარგული კონტექსტები" სრულფასოვან შესავლად ან სულაც ლიტერატურად გამოდგება. საქართველომ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე დიდი ქართველები გამოიარა და დღემდე ვერ აღწევს თავს ამ მოჯადოებულ წრეს.

ჰომო-სოციეტიკუსები წარმატებით შეცვალეს ჰომო-პოსტსოციეტიკუსებმა, რომლებიც წინამორბედებისგან ბევრი არაფრით

განსხვავდებიან, მეტიც - მათ უტყრირებულ კარიკატურებსაც კი ჰგვანან ალაგ-ალაგ. ქვეყანა და ადამიანები, რომლებიც იმპერიის შემადგენლობაში თამაშობდნენ, ირგებდნენ და თავს იწონებდნენ რჩეული პროვინციის როლით, იმპერიის დანგრევის შემდეგ უფუნქციობისგან ცოტათი დაიბნენ კიდევ, თითქოს არც ელოდნენ მოვლენების ამგვარ განვითარებას. მათი იდენტობა იმდენად მჭიდრო კავშირში იყო იმპერიის ზიზღსა თუ სიყვარულთან, რომ ასეც გაგრძელდა შემდეგ. რადიკალური რუსოფობები თითქოს ვერ პატიობდნენ იმპერიას დაშლას და მათ უპატრონოდ მიტოვებას, ხოლო რადიკალური რუსოფილები ვარდასულ დღეთა აღსადგენად ყველაფრის გასაკეთებლად იყვნენ მზად. არსობრივად კი ადამიანთა ეს ორი სახეობა ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდა, რადგან ორივეს იდენტობა მჭიდროდ უკავშირდებოდა იმპერიას. მითი დაწოქების შესახებ, ყოველთვის იჯდა ჰომო-სოციეტიკუსის გონებაში და შეგვარდნაძემ უბრალოდ ხორცი შეასხა მას, ნებსით თუ უნებლიეთ. ავტორის ფავორიტი გამმარტებით, მითი ხაზი, რაც არასდროს არსებულა და ამავდროულად ყოველდღიურად ხდებდა. ეს იყო განსაკუთრებულად შთამბეჭდავი აბსურდის თეატრი, რომლის მომხსრეც თავად გახდა ავტორი, რომელსაც განსაკუთრებული ოსტატობით აღწერს ბოლო თავში და ალბათ, წინასწართვით ყველაზე დასამახსოვრებელ ეპიზოდსაც ხდის.

უმამოდ დარჩენილი ერი შეაწუნა შინაგანი სიკარიელის აუტანელმა განცდამ, რომლის ამოვსებაც სასწრაფოდ გახდა საჭირო. გამომდინარე იქიდან, რომ მართო აღმოჩენილმა ქვეყანამ არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, ადგა და მოიქცა ისე, როგორც ყოფილი მამა იქცეოდა და გარდაქმნა "მცირე" იმპერიად. შეიცვალა მხოლოდ ფორმები, არსი კი კვლავ იგ-



ივე დარჩა. ქვეყანამ თავი ჩაგრულად წარმოიდგინა და სულბიმიონრება სხვის ჩაგვრაში დასწყო, უფრო - პატარების. იქ ოსეთიო, იქ აფხაზეთიო, იქ უმცირესობებიო.

სიციარეულ შეგასო თანამედროვე საქართველოს სუბუტექსტს, ანუ მართლმადიდებლობამ, როგორც ავტორი აღნიშნავს. "ლოცვის გაძლიერება" ერთგვარად ნარკოტიკული საშუალებების ზოგბის გაზრდის მეტაფორად შეგვიძლია აღვიქვათ; იმ ნარკოტიკისა, რომელიც მძიმე რეალობისთვის თვალს არ გვასწარბინებდა და გამოგონილ, ვირტუალურ რეალობაში გადავყავდით. ადრინდელი კომპარტია ეკლესიამ ჩანაცვლა და ეს ჩანაცვლება იმდენად ნათელი და ხილული იყო, რომ მოქმედების ფორმებიც კი არ შეუცვლია. კერძოდ კი, როგორც ერთისთვის, ასევე მეორისთვის მტერი იყო დასავლეთი, მასონები, ბინძური კაპიტალისტური სამყარო, რომელიც ამ პატარა რჩეული ერის ნალექვას ესწრაფოდა. ხალხიც მიეცა ვირტუალური რეალობით ტკბობას და, საბოლოოდ, სულაც დაივიწყა ის მძიმე სოციალური რეალობა, რომელში არსებობაც უნდებოდა. არავინ ჩიოდა საქმლის არქონას, რადგან უფრო დიდი საფრთხე, საფრთხე სულიერი წარწყმედისა, დასავლეთის მასონთა ლოჟებიდან დღითი დღე გვიახლოვდებოდა. ამავე კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ ლოკალური "ებრაელებიც". განმარტებისთვის: ის, რასაც ებრაელები წარმოადგენდნენ ნაცისტურ გერმანიაში, საქართველოში გახდნენ გეები, "პედერასტები". ტერმინი გასცადა მის პირველდამნიშვნელს. "პედერასტი" სრულებითაც არ ნიშნავდა მამაკაცს, რომელსაც მამაკაცი-სადმი ჰქონდა სექსუალური ლტოლვა. ის ნიშნავდა ყოველივე უცხო-ს, საქულევლს, არაქართულს, შემოგადებულს. მეტიც, მოვლენებმა იმდენად პარადოქსული ხახე მიიღო, რომ სწორად "პედერასტი" აღმოჩნდებოდა პეტროსეკესული. ტერმინის აღარანაირი საერთო აღარ ჰქონდა სექსუალურ თუთენილებასთან, რადგან ნამდვილი გვი შეიძლება არ ყოფილიყო "პედერასტი", თუ ის თამამის ნესებს მიიღებდა, დაგმობდა სა-

კუთარ თავს და სინანულის ღრმა გრძნობით განიმსჭვალებოდა, ხოლო იგივე მერაბ მამარდაშელი კი ნამდვილად ერგებოდა ამ ტერმინს, რამეთუ მისი აზროვნება უცხო, მტრული და არაქართული იყო.

მოჩვენებითი ყოფა, ახალი სიმულაკრი, მოჩვენებითი რევოლუციით გაგრძელდა. რევოლუციით, რომელიც სინამდვილეში უფრო ჩანაცვლება იყო, ვიდრე ნამდვილი რევოლუცია. ვარდების რევოლუცია ერთი დიდი მუტანტი გახლდათ მეცხრამეტე საუკუნის ნაციონალიზმისა, შუა საუკუნეების ქრისტიანული მესიანიზმისა და საბჭოთა სამხედრო-პატრიოტული და აღმზრდელითი პროპაგანდისა. ცხადია, ამ ნახავიდან ვერაფერი ხეირიანი ვერ გამოვიტოვია. სინამდვილეში რევოლუცია ემსახურებოდა არა პროგრესს, არამედ რეგრესს, რომელიც შეგვიძლია პარადოქსული სლოგანით გამოვსახოთ - წინ დავით აღმაშენებლისკენ! რევოლუციამ მოიტანა ახალი სიმბოლოები, ახალი აზროვნების სისტემა, ახალი მითები, რომლებიც სინამდვილეში კარგად დაიწყებული ძველი იყო. მარტოდ დარჩენილმა ქვეყანამ ისევე დაიწყო მამის ძიება, რომლის იმიტირულ კალთასაც ერთ მოკრძალებულ პროვინციად შეეფარებოდა, ისევე ძველი იდენტობა, რომელსაც ვერაფრით ვაღწევთ თავს. ასეთ მამა-მარჩენლად კი ამერიკა წარმოისახა, რომლის აბსოლუტური ფეტიშიზაცია მიმდინარეობდა რუსეთის აბსოლუტური დემონიზაციის პარადოქსურად. ეს ორი რამ ერთმანეთს ასულდგმულვდა და აესებო კიდევ. ამერიკა კი განსაკუთრებით მისალები აღმოჩნდა ქვეყნისთვის, რადგან თავად გაუწნდა მსოფლიოს მამობის პრეტენზია, განსაკუთრებით 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ნამოსული ახალი პატრიოტული ტალღის შემდეგ, ჯორჯ ბუში-უმცროსის მმართველობის პერიოდში. ჩვენთვის მსოფლიო ისევე ამბივალენტური გახდა, როგორც ყოველთვის იყო - ჩვენები და სხვისები, მტრები და მოყვრები, კარგები და ცუდები. ბუშის ჩამოსვლა და მისი დახვედრა ნაგავად ბრეჟნევის დახვედრას, თუმცა, თუ

ბრეჟნევის შემთხვევაში გულწრფელი ემოცია ნაკლები იყო, რადგან ბატონი ჩამოდიოდა ყმებთან, ბუშის შემთხვევაში ემოციები გულწრფელობას არ უჩიოდნენ - ჩამოვიდა კაცი, რომელიც უნდა გამხდარიყო ჩვენი მამა, რაც მთელ ერს ასე უნდოდა.

ავტორი ახალი მითების რაობასაც განმარტავს საკმაოდ თვალნათლივ და ევროპასთან სალაპარაკო ახალი ენის აბსურდულობას წარმოაჩენს. ევროკავშირის შექმნის არსი გახლდათ თანასწორობა, მიუხედავად ამა თუ იმ ერისა და ნაციის წარსულისა. არცერთ ქვეყანას არ აქვს უფლება მოითხოვოს ანაყოფი პრეტენზიები ისტორიის საფუძველზე. საქართველომ კი ამ ფონზე მსგავს ევროპასთან სასაუბროდ ისეთი ენა აირჩია, რომელიც ღიმილის მეტს არც არავის მოგვირედა ევროპულ პოლიტიკოსებს. ქართველები გამალებით ამტკიცებდნენ, რომ ისინი იყვნენ უძველესი ევროპელები, რომ საქართველო იყო ევროპის აკვანი, მეტიც - რომ ევროპა არაერთხელ გადავივრჩინა და ერთგვარად დავალბებოდა კი ის ჩვენზეა. მსგავსი აქცენტები ორმსოფლიოგამოვლილი და ნაციოსული ნაციონალიზმში მოხდილი ევროპისთვის აბსოლუტურად გაუგებარი დარჩა.

ეს ნივნი არის ქართული იდენტობის საკმაოდ ზუსტი ანატომია. მწყობრი ლოგიკითა და მოქნილი პუბლიცისტური უნარებით აღჭურვილი ავტორი ისე დამაჯერებლად არქმევს სახელებს იმას, რასაც თითქმის ისედაც ხვდებოდით, რომ აუცილებლად მოიყვანს მკითხველს აღტაცებაში და ცოცხათი მწარე გემოსაც კი დაუტოვებს პირში. ეს მწარე გემო საკუთარი არის თუ არარისის შეცნობითაა გამოწვეული და ძალიანაც ბუნებრივია, თუ ნივნის ადეკვატურად აზიანდა მკითხველს ზუსტად ეს გემო დარჩება. ამ ნივნი მკითხველი პოულობს იმ კონტექსტებს, რომელიც ქვეყანამ დაკარგა.

დაბოლოს, "დაკარგული კონტექსტების" კითხვის შემდეგ კიდევ ერთი აზრი მომივიდა - მოდი, ასე გადაჭრითაც ნუ ვიტყვით, რომ კარგ ლიტერატურას ჯადოქრობა არ შეუძლია.




### დალი კუპრავა

# ის მხოლოდ ჰუმანისტია, ანუ ისევ ფოლკნერზე

უილიამ ფოლკნერმა რომანი "დროშები მტვერში" 1927 წელს დაასრულა. გამომცემელმა რედაქტორებისას, ავტორის წინააღმდეგობის მიუხედავად, ორმოცი ათასამდე სიტყვა ამოაგდო ხელნაწერიდან და ის 1929 წელს გამოიცა სათაურით "სარტორისი". მხოლოდ 1975 წელს დაიბეჭდა რომანის ავტორისეული ვარიანტი სრულად, ამჯერად სათაურით "Flags in the dust", ხოლო "სარტორისი" ბეჭდიდან ამოიღეს. ის დღეს იშვიათი და ძვირად ღირებული გამოცემაა, რომლის ანალიზი არა მხოლოდ ლიტერატორებისთვისაა საინტერესო.

უილიამ ფოლკნერი, "დროშები მტვერში", მთარგმნელი ზაზა ჭილაძე, თბ. "დიოგენე", 2013



ხედრო სკოლას დაამთავრებდა, ომიც დამთავრდა. შემდეგ კი, 1919 წელს, პირველ ქმნილებას - ლექსს (Après-midi dun faune) აქვეყნებს ჟურნალში. მაგრამ პოეტი მანინც ვერ გახდა.

ამერიკელ მწერალს, შერვუდ ანდერსონს ფოლკნერისთვის ურჩევია, რომ პროზაში ეცადა ბედი და აუცილებლად ეწერა იმაზე, რაც კარგად იცოდა - ამერიკის შტატების სამხრეთზე. ეს რჩევა ფორტუნას ღიმილივით გამოდგა, აი, როცა თავის დროზე აღმოჩნდები იქ, სადაც საჭიროა.

ასე, რჩევით, და არა ანდერსონის მიმბაძველობით, გაჩნდა ფოლკნერის მიერ დაარსებული იუკნაპატოფა - მხარე მისისიპიში და დაიწერა თანამედროვე საგაიოკნაპატოფაზე - თეთრკანიანების მოსვლიდან მეოცე საუკუნის შუა წლებამდე ამერიკის სამხრეთის ისტორია.

თავი რომ არ შეგაწყინოთ ფოლკნერის ბიოგრაფიის შესხენებით, მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ 1929 წელი უცნაურად კარგი წელი გამოდგა ფოლკნერისთვის. კარგი რა იყო იმაში, რომ რომანი დამახინჯებულად გამოუცესო, თუ შეშვეკამათებით, მაშინ შეგახსენებთ, რომ ამავე წელს გამოიცა მისი "ხმაური და მჭინვარებაც" და ამ წელს შერთოთ ცოლად ან უკვე დაქვრივებული ოთავისი სატრფოც, ვისი სიყვარულითაც იყო ინსპირირებული მისი ლექსი. "ხმაური და მჭინვარებით" და მოგვიანებით (1949) ნობელის პრემიით ევროპამ უფრო ადრე დააფასა ფოლკნერი, ვიდრე ამერიკამ, ასე რომ, ფაქ-

ტია, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, გლობალური ხასიათის თეზაა. თან, გაგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ ის დროა, როცა მოგადახდილი და მრავალჭირგამოვლილიც კი, ევროპა თავის გემოვნებით ამერიკას მასტერკლასს უტარებს.

ის, რომ ფოლკნერის გმირები მკითხველისთვის იოლად ცოცხლებიან, ფოლკნერის მწერლობის ნიჭია და ის, რომ გმირები ნივნიდან ნივნი გადასვლით სიცოცხლეს იხანგრძლივებენ, ესეც ფოლკნერისეული ხელწერაა. ლოგიკას მოკლებულია, რასაც ზოგიერთი ლიტერატორი დაასკვნის - ფოლკნერი ბალზაკის სტილის მიმბაძველიაო! აბა, გაიხსენეთ, რა ხშირად ხდება ბუნებაში, როცა ორი განსხვავებული ადამიანი ერთსა და იმავეს აღმოაჩენს.

რომანის ორივე სათაური მის შინაარსზეც გვიქმნის წარმოდგენას. "დროშები მტვერში" - რა თქმა უნდა, სათაურიდან ძნელი მისახვედრი არ იქნება, რომ ამავე სამოქალაქო ომსაც ეხება, ამერიკის ოთხნობიან ჯოჯოხეთს სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის. შესავალში ნათქვამზეც - პირველ სათაურად "სარტორისი" ერქვა-მეთქი, - არ დაგჭირდებათ ფოლკნერისტ მკითხველებს თავის მტვერევა იმის თობაზე, რომ რომანში სარტორისების ოჯახის ამბავია მოთხრობილი. სწორედ ამ რომანით დაიწყო ასორმოცდაათწლიანი იუკნაპატოფიადა.

ბავშვობაში ფოლკნერს უთქვამს, ჩემი დიდი ბაბუასავით მეც

ეს რომანი ფოლკნერის მესამე ნაწარმოებია. ძნელი წარმოსადგენია, რომ მაშინ ავტორს რედაქტორის ნამოქმედარი მოსწონებოდა, მაგრამ ისიც გასაგებია, რომ დაშწყები მწერლისთვის ახალი რომანის გამოცემა იოლი არ იქნებოდა. თუმცა მან საავტორო უფლება მაინც "დაიცვა" და გავრეჭილ რომანს სახელი თავად დაარქვა. ან იქნებ "ხმაური და მჭინვარების" ამავე წელს გამოცემამ გადადარა რომანის დასახიზრებით გამოწვეული მწერლის "მჭინვარება"?!

ყველაფერი კი სიყვარულით დაიწყო. სატრფოსგან მითრევებულმა უილიამ ფოლკნერმა ბრძოლის ველზეც ვერ პოვა შუება, რადგან, ვიდრე საფრენოსნო სამ-



მწერალი გამოვალო. სრული ინფორმაციისთვის კი დავუმატებ, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ფოლკნერის ბაბუა, კლარკ ფოლკნერი, მწერალი ყოფილა, სამოქალაქო ომზე ბესტსელერიც დაუწერია, რომელიც ისე იკითხებოდა, მეოცე საუკუნეშიც კი გამოუცხიათ. დიდი პაპა კლარკ პირველი იოკნაპატოფელი გახდა. ის იყო პოლკოვნიკი სარტორისის და არა მხოლოდ მისი პროტოტიპი.

ეს ფაქტიც იმას ამტკიცებს, რომ ფოლკნერს "დაუჯერებია" უფროსი მეგობრის, შერვუდ ანდერსონის რჩევისთვის და იმას წერდა, რაც იცოდა, არაფერს იგონებდა - ამერიკისა და თავისი ოჯახის ისტორია იყო მისი მწერლობის წყარო. "სარტორისიდან" მოყოლებული, მე უფრო და უფრო ვწმუნდები, რომ ჩემი საფოსტომარკისოდენა მშობლიური მინა ამბის ამოუწურავი მარაგია, იმდენის, რომ ერთი სიცოცხლე არ ეყოფა, უთქვამს ფოლკნერს.

ერთსა და იმავეს სხვადასხვა თვალთ დანახულს, სხვადასხვა კუთხიდან შემჩნეულს რომ აღწერს, ესეც ფოლკნერის მხატვრუ-


ლი თავისებურებაა, თანდაყოლილი. რომანის პირველ ჯეფერსონელს - სარტორისს ერთი სახით ვერ დაიმასოვრებ, ვერ იტყვი, რომ ის იყო "ასეთი", რადგან "ისეთიც" ვნახეთ. რომანს უამრავი წაიკითხავს, მაგრამ სარტორისის საერთო, მისაღებ სახეზე ვერ შეთანხმდებიან. ესეც ფოლკნერის მხატვრული შედეგია. ან იმ სირთულეს სად გავეცევით, რომ ფოლკნერის კითხვისას საკუთარი სახელების დამახსოვრებას არ უნდა ეცადო, თორემ ამასობაში მთავარი გამოგრჩება. სახელები თავს არ დაგავინყებენ, სხვა რომანებში გამოჩნდებიან. ფოლკნერს კი ყოველთვის საზოგადოებას შებმული ადამიანი აინტერესებს, ადამიანი, შებმული საკუთარ თავთან, ადგილთან თუ დროსთან. სამხრეთის თეთრკანიანი აბორიგენები ძლიერი ადამიანები არიან, არც ისე უნაკლონი - მორალურად და დამანაშავეები - სამართლებრივად, ინდიელებსა და შავკანიანებზე "გადამლაჯველები". ამერიკაში თეთრკანიანები პირდაპირ შავ ჯვარზე გაკრულები იხადებიანო, ამბობდა და წინაპართა

ცოდვის განცდას, თავისი ახალგაზრდა გმირებით, თავადაც ტრაგიკულად ატარებდა.

ამ რომანშიც ბევრი წარსულია, მაგრამ მნიშვნელოვანი აქაც თანამედროვეობაა, იმათი შვილები და შვილთაშვილები, ვინც "ამერიკა" შექმნა.


დღეს ახალგაზრდობა ფოლკნერს არ წაიკითხავსო, ამბობენ. მე არ ვეთანხმები ამ აზრს, რადგან კარგი მკითხველი ყველა ასაკში წაიკითხავს კარგ ლიტერატურას, მეოცე საუკუნის იქნება ის თუ მეოთხრამეტეც; მით უმეტეს, რომ დღეს დედანში წაიკითხვა ბევრისთვისაა შესაძლებელი და კიდევ მით უმეტეს წაიკითხვა (მთარგმნელი ზაზა ჭილაძე): ფოლკნერისთვის ბუნებრივ, თითქოს დაუშთაყრებელ წინადადებებს. გრძნობა ისეთია, თითქოს შეუჩერებლად მოძრავი კამერა იღებს ყველაფერსო, არა და არ ჩერდება მკითხველის თვალი და გონება. ამის საშუალებას თარგმანის ენა იძლევა.

...თუმცა ყოველივეს კითხვისას უკეთ იგრძნობთ.



# ლუკა ნახუცარიშვილი ვაგნერი უკონტექსტოდ და კონტექსტით

რიჰარდ ვაგნერი,  
მოთხრობები, წერილები,  
ესეები, ბაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა, 2013.



როგორც მგზნებარე ვაგნერიანელი არ შემიძლია არ მივესალმო იმ ძალისხმევას, რაც საქართველოს რიჰარდ ვაგნერის საზოგადოებამ და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოიჩინა გერმანელი კომპოზიტორის (და არა მარტო კომპოზიტორის) დაბადების 200 წლისთავის აღსანიშნავად ერთდროულად ორი წიგნის - ბერნარდ შოუს "ჭეშმარიტი ვაგნერიანელია" და თავად ვაგნერის რჩეული მოთხრობების, ესეებისა და წერილების კრებულის - გამოცემით. მართალია მიმაჩნია, რომ უკეთესი იქნებოდა, შოუს ცოტა არ იყოს დრომოჭმული წიგნის მაგივრად ვაგნერზე დანეროი ზღვა მხატვრული, სამეცნიერო და ბიოგრაფიული ლიტერატურიდან რომელიმე უფრო თანამედროვე და ვაგნერის შესახებ ზოგადი სისტემური ცოდნის მომტანი ნაშ-

რომი თარგმნილიყო, მაგრამ წინამდებარე სტატიაში მხოლოდ თარგმანების კრებულზე შევჩერდები, რათა ჩემთვის პრობლემური რამდენიმე საკითხი გამოვეყო.

### 1.

ვაგნერი უზომოდ პროდუქტიული მწერალი იყო, როგორც წერილების, ისე პუბლიცისტური და ელტურული ნაშრომების. მისი ბიოგრაფიის მსგავსად მის ნაწერებშიც კლინდება, რამდენად ხშირად იცვლიდა იგი შეხედულებებს და როგორი ეკლექტური და სინკრეტული იყო რიგ შემთხვევებში მისი მოსაზრებები. ვაგნერი ხანაც ერთდროულად, ხანაც ერთმანეთის მიყოლებით ატარებდა რევოლუციონერის, დემოკრატის, სამეფო რესურსებით ხელმძნეობილი კულტურული კონსერვატორის, უტოპიური ხელოვანის, პროგრესული ანტიემპიტისა თუ სულიერი რეგენერაციის დოქტრინის გურუს ნიღბებს. სამეცნიერო წრეებში დღემდე არ წყდება დავა, რამდენად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მისი ესთეტიური შრომები, მეორე მხრივ კი, მისი ანტიემპიტური და ნაციონალისტური პუბლიცისტური რიტორიკა მისი კომპლექსური მუსიკალური ნაწარმოებების გასაგებად, რადგან ვაგნერის შემთხვევაში არასდროს გვაქვს საქმე თეორიულ დონეზე შემოშვებული ხედვების ერთმნიშვნელოვნად ცხად გადატანასთან მუსიკალურ-თეატრალური შემოქმედების სფეროში. მეორე მხრივ, რთულია პრინციპულად გამოვიწიო "თეორიული" და "მხატვრული" შემოქმედება, როდესაც ვაგნერის დაუღალავი სამწელობო საქმიანობა მისთვისვე იყო საკუთარი შემოქმედების წინმსწრები განმარტების, "დაანონსებ-

ის", იდეოლოგიური გადათამაშებისა თუ რეალობის შეღამაზების ბერკეტი.

შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის ვაგნერის მხატვრულ-თეორიულ-პუბლიცისტური ლიტერატურის "სიტყვათადაც" და ზედმეტი სერიოზულობითა და მონივნებით მიღება და იმ ჩახლართული, არაერთგვაროვანი ისტორიულ-კულტურული კონტექსტის უგულვებელყოფა, რომლის ფარგლებშიც იძენენ ეს ტექსტები თავიანთ იდეოლოგიურ და ხანდახან სულაც ბანალურ მარკეტინგულ დანიშნულებას. უმნიშვნელოვანესია იმ დისტანციის, ხანაც უფსკრულის, გაცნობიერება, რაც არსებობს იმას შორის, რასაც ვაგნერი აკეთებს, და რასაც ვაგნერი გვარწმუნებს, რომ აკეთებს - ანუ განსხვავება ბიოგრაფიულ, მატერიალურ მიცემულობებსა და ვაგნერის მხრიდან მათი იდეოლოგიური მოთვნიერებისა და იდეალიზების მუდამ სურვილს შორის. ამის გამოცაა დღეს, მაგალითად, გერმანულენოვან სივრცეში წარმოუდგენელი ვაგნერის ტექსტების ხელახლა დაბეჭდვა ვრცელი ანალიტიკური კომენტარების გარეშე.

სამწუხაროდ, სწორედ კრიტიკული დისტანციის განზომილება აკლია ვაგნერის ქართული თარგმანის კრებულს. მართალია, ვაგნერის ქართული საზოგადოების წევრებმა თავად აღნიშნეს, რომ კრებულში წარმოდგენილი ვაგნერისეული შეხედულებები მჭიდროდ არააქციალურია და უბრალოდ ქართველი მკითხველისთვის მისი მსოფლმხედველობის გაცნობას ემსახურება, მაგრამ სისტემური კომენტარის არარსებობით სანწყისშივე მორღვეული დისტანცია საშუალებას არ იძლევა, გაზომილ იქნეს ვაგნერის



ანტიკომიტიური და ხშირად უბრალოდაც მახლობელი მოსახლეობის სიახლოვე-სიმორე ჩვენს საკუთარ ცნობიერებასთან. ჩემი გამოხატულების ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამ ნაკლის ხანმოკლე შევსებაა. კრიტიკული კომენტარები მოვისაკლისებ თუნდაც ადრეულ პარიზულ მოთხოვნებთან მიმართებაში, რომლებიც მათი საკმაოდ სადავო თავისთავად ლიტერატურული ღირებულების გამო ბევრად იხიერებდნენ, ნათელი რომ ყოფილიყო მკითხველისთვის 1840-41 წლებში ახალგაზრდა ვაგნერის დამორგუწველი გამოცდებიდან გამომდინარე არტიკულ ცენტრში, პარიზში, და მიუღი ის გერმანული სულიერი-კულტურული კონტექსტი, რომლის პერსპექტივებზეც გერმანული "სიღრმე" და იდეალიზმი პარიზულ-ფრანგული ამპიუბის, ზედაპირულობისა და მომხვეჭილობის კლიშე-ხატს უპირისპირდება. ვაგნერთან ეს კლიშეები 1860-70-იან წლებში გაძლიერებულ ფრანკოფობულ განწყობებში გვირგვინდება, სადაც, ისევე როგორც იმდროინდელ გერმანულ კულტურულ დისკურსში, გერმანია-საფრანგეთის პოლიტიკური კონფლიქტი აღქმულია, როგორც ჭეშმარიტ გერმანულ "კულტურასა" და ზედაპირულ ფრანგულ "ცივილიზაციას" შორის სულიერი ბრძოლა.

კრებულში წარმოდგენილი პირად წერილებს კომენტარი იმდენად არ სჭირდება, რამდენადაც სასურველი იქნებოდა ვაგნერის შუა ხანების მუხასთან, მატელად ვეზუნდლოკთან და მომავალ სიმამრთან, ფრანც ლისტთან მიმონერიდან წარმოდგენილი ყოფილიყო სხვა, ვაგნერის შემოქმედების წარმოსაჩვენად ბევრად უფრო შინაარსიანი წერილები. ლისტის შემთხვევაში საკმარისი იქნებოდა თუნდაც ვაგნერის ღია წერილი ლისტისადმი გაითეს სახელობის ფონდის შექმნის თაობაზე (1851), ვეზუნდლოკთან ურთიერთობის უპიზოდოდან კი ბევრად უფრო ღირებულ იქნებოდა "ტრისტან და იზოლდაზე" მუშაობის პერიოდში უშუალოდ ვეზუნდლოკისათვის წარმომებული დღიურებიდან რამდენიმე ფუნდამენტური წერილი-ჩანაწერის

ალბა. თუ გამოცემის მიზანი ანეკდოტური, ფრაგმენტული სახით ვაგნერის ცხოვრების ეტაპების ჩვენება იყო, ამ შემთხვევაში სწორედ ეს ანეკდოტურობაც კარგავს აზრს, რადგან ქართულ სივრცეში უმწიერესი სისტემური ინფორმაცია არსებობს ვაგნერის ბიოგრაფიული და კულტურული კონტექსტის შესახებ, რომლის დაქვემდებარებაშიც იქნეს ნები-სმიერი ანეკდოტური დოკუმენტი თავის მნიშვნელობას.

2.

დაახლოებით იმავე ბედს იზიარებენ კრებულში შესული მოკლე ესთეტური ნაშრომებიც. იმის გათვალისწინებით, რომ ვაგნერი ასეთი მასშტაბური სახით საქართველოში პირველად ითარგმნა, ბევრად უფრო მომგებიანი იქნებოდა, რედაქციას უპირველეს ყოვლისა ვაგნერის შევიცარაიში გახიზნულობის დროს 1949-1951 წლებში დაწერილი ფუნდამენტური ესთეტური პრომედიანდ შეერჩია ვრცელი ნახვეტები. სწორედ ისეთ ტექსტებში, როგორებიცაა ხელოვნება და რეკოლუცია, მომავლის ხელოვნების ნაწარმოები თუ ნუმენტიური ოპერა და დრამა, აყალიბებს ვაგნერი "ერთიანი ხელოვნების ნაწარმოების" (Gesamtkunstwerk) იმ კონცეფციას, რომელთანაც ასე მჭიდროდ ასოცირდება დღემდე მისი სახელი და რომელიც ხელოვნების თეორიისთვის ბევრად უფრო ღირებულა, ვიდრე იმავე პერიოდში დაწერილი, სრულიად ბანალურად ქსენოფობიური იუდეველობა მუსიკაში.

1848/49 წლებში დრეზდენში სამოქალაქო რევოლუციის მცდელობაში მონაწილეობის დევნილი და შევიცარაიში გაქცეული ვაგნერი, რომელსაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს რადიკალური რევოლუციონარობის შედეგად სრულიად ახლებური ხელოვნებისა და თეატრის წარმოშობის იმედი ჰქონდა, ცორორად, რევოლუციის ჩახშობით ფრუსტრირებული, ან უკვე ხელოვნებას ანიჭებს პოლიტიკური მოვლენების წარმმართველ დანიშნულებას. ეს პოსტრევილუციური უტოპიური მიდგომა ხელო-

ვნების დარგების სრულყოფილ სინთეზსა და ამგვარად გაერთიანებული ნაწარმოების გარშემო საზოგადოების შემოკრებაში ხედავს იმ ორგანულ ერთიანობის საწინააღმდეგ, რომელსაც ვაგნერი თავის თანამედროვეობაში ისაკლისებს, რადგან მე-19 საუკუნეში აღარც რელიგიური და აღარც პოლიტიკური თუ ფილოსოფიური სისტემები იძლევიან სამყაროს ერთიანი სურათის შექმნის საშუალებას. მას ანტიკური დემოკრატიული ათენის უაღრესადღერი დღეხასნაულები ესახება ხელოვნების, პოლიტიკისა და რელიგიის ორგანულ სინთეზად და იმ ერთგვარი ესთეტური ტოტალიტარიზმის მიდევლად, რომელსაც ხელოვანს შეუძლია საზოგადოების ერთიანობის დამფუძნებლის როლი ითამაშოს რელიგიურ-პოლიტიკურ რანგში აყვანილი ხელოვნების მეშვეობით.

ვაგნერის აზროვნებას მუდმივად გასდევს პოლიტიკასა და ხელოვნებას შორის უპირატესი პოზიციისთვის ბრძოლის დილემა. ეს დილემა მამოვდება ემიგრაციიდან 1860-იან წლებში გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, სადაც, 1840-50-იან წლების შედარებით უნივერსალისტური მიდგომა, იცვლება მკაფიოდ ნაციონალისტური რიტორიკით. კრებულში შესული ტექსტები იუდეველობა მუსიკაში და რა არის გერმანული? სწორედ ამ ისტორიულ-იდეოლოგიური დინამიკის კონტექსტშია განსახილველი. 1850 წელს გერმანელ-ებრაელი ჯაკობო მებერგის პარიზული წარმომავლები და "შოპენისესის" ამ დედაქალაქში საკუთარი მრავალჯერადი ფიასკოს ნიადაგზე დაბოღმილი ვაგნერის მიერ გამოქვეყნებული ანტიკომიტიური პამფლეტი, რაც არ უნდა გასაკვირო იყოს, მოკლებულია იმ ნაციონალისტურ, გერმანული "სულისა" და "არსის" განსაზღვრების გარშემო აგებულ რიტორიკას, რომლითაც სუნთქავს უკვე 1860-იანი წლების მთელი ნახევარი მიმდევრული მედარები თუ მოკლე ტექსტი - რა არის გერმანული? თუ სტატეგის ვრცელი სერია გერმანული ხელოვნება და გერმანული პოლიტიკა, ისევე როგორც ანტი-

სემიტური პამფლეტის ხელახალი გამოცემისათვის დამატებული გვერდები. თუ ოდევკელობა მუსიკა უბრალოდ კლემენტის საფუძველზე მუსიკაში ებრაული ელემენტების ამოცნობასა და გაქილიკებას ემსახურება, 1860-იანი წლების ტექსტებში ებრაელის სტიგმატიზაცია და იტალიურ-ფრანგული კულტურის შექცევება მტრის ხატის შექმნის საშუალებას იძლევა, რომელთან მიმართებაშიც "ჭეშმარიტი" გერმანული "სულია" და კულტურული თვითმოყოფადობის შემოსახლვრა ხდება.

შვეიცარიული ემიგრაციის პირველ წლებში აყალიბებს ვაგნერი ოპერისა და მუსიკალური დრამის დიქტოლოგიურ თეორიას. თუ მუსიკალური დრამა, როგორც ერთიანი ხელოვნების ნიმუში, ორგანული ერთიანობის მაგალითი, ანტიკური ტრაგედიის მემკვიდრედ ასაღებს თავს, ვაგნერი მის თანამედროვე ფრანგულ-იტალიურ საოპერო შემოქმედებასა და სისტემას, თავისი ეფექტური "ნომრებითა" და "წარმატებაზე" სწორებით, მოდერნულ გახლეჩილობასთან და მერკანტილიზმთან აიგივებს. ოდევკელობა მუსიკაში და ოპერა და დრამა-ს პირველი ნაწილის დასასრულიც მიეიბერებს და მუსიკაში "ებრაულ" ელემენტს შეაჩვენებენ, როგორც ფუყე ეფექტატორობასა და ფორმალზმზე დაფუძნებულ მუსიკალურ თეატრს. სინამდვილეში საქმე ისაა, რომ ვაგნერს თავად სურს მიეიბეროს ის ადგილზე ყოფნა, იგი აღფრთოვანებულია პარიზის ოპერაში მიეიბერების გრანდ-ოპერა "წინასწარმეტყველის" თავბრუდამხვევი ტექნოლოგიურ-თეატრალური სექცევექტებით, როგორც ამას პარიზიდან მოწერილი მისი წერილები მოწმობს, მაგრამ აცნობიერებს, რომ თავად მას არ მიესლება ამ უზარმაზარ ინოვაციურ რესურსებზე, რომლებიც მაშინ პარიზის ოპერაში იყო თავმოყრილი. ამ მხრივ, "ღმერთების დაისი", რომლის დაწერილებითი დრამატურგიული მონახაზიც სწორედ შვეიცარიული ემიგრაციის პირველ წლებს განეკუთვნება, თავისი ანსამბლებითა და ფინალური აპოკალიფსით,

"წინასწარმეტყველის" დიდი მასშტაბებისა და მობლოკბასტერი დასასრულის "კეთილშობილი" ვარიანტია. ვაგნერი მიეიბერებს, ებრაელებისთვის მიწერილი კლემენტის საფუძველზე, "ცრუ" ხელოვანად აცხადებს, ხოლო როცა თავად მიზართავს იმევე თეატრალურ ეფექტებს, მის ხელში ისინი "ჭეშმარიტად" მხატვრულ მიზნებს ექვემდებარებიან. იმას, თუ რამდენად მყიფეა რეალურ თეატრალურ დონეზე ფუნდამენტური განსხვავება ვაგნერსა და ფრანგულ გრანდ-ოპერას შორის, ის ფაქტიც მოწმობს, როგორ უმტკივნეულოდ შეითვისეს გრანდ-ოპერის რეპერტუარზე ჩამოყალიბებულია თეატრებმა და მომღერლებმა ვაგნერის პარტიტურები. პრინციპული გამიჯვნის ლეგეტიმაცია ვაგნერს მხოლოდ დისკურსული, პუბლიცისტურ-თეორიულ დონეზე თუ შეუძლია.

გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, როდესაც ვაგნერს გერმანული ეროვნული კულტურის უმაღლეს ქურუმად აღიარების იმედებ უჩნდება, მუსიკალური დრამა, როგორც ფრანგულ-იტალიური ნანარძობებისა და ებრაული მერკანტილური სისტემისგან დაშორებულნი მნიშნადა გერმანული პროექტი, იმ ეროვნული იდენტობის დაფუძნების ინსტრუმენტად ინათლება, რომლის განხორციელებაც პოლიტიკას არ ძალუძს გერმანული სახელმწიფოების დაქსაქსულობის ნიადაგზე. ამიტომ ხდება საჭირო გერმანული ხელოვნების სინშიდნისა და აბსოლუტური თვითნაბადობის მტკიცება, როგორც პოლიტიკურად დაქსაქსული გერმანელების "სულიერი" ერთიანობისა, რაც ფრანგულ-იტალიური კულტურის, როგორც გერმანული კულტურის მტრული აწრდილის, ძაგებაზე გადის.

1871 წელს პრუსიის ეგიდით გერმანული მიწების გაერთიანების მიუხედავად ვაგნერი უარს ამბობს ახალ, ერთიან გერმანულ სახელმწიფოში დაინახოს იმ ბოლოვლი გერმანული "სულის" სავანე, რომელიც მანამდე ხელოვნების სფეროში შეხიზნულიყო. განაწყენებული იმით, რომ ბისმარკი და მთლიანად სახელმ-

წიფო არანაირ განსაკუთრებულ მხარდაჭერას არ ავლენს ბაიროთის საფესტივალო სახლის აგების საქმეში და კვლავაც ბავარიის მეფის სიმპათიისა და რესურსების ანაბარა რჩება, ვაგნერი და მის გარშემო ბაიროთში შემოკრებილ თავყანისმცემელთა წრე, რომლებიც გაზეცი ბაიროთის ფურცლებს აფუძნებენ, ერთგვარ სულიერ-კულტურულ ოპოზიციამთ უდგებიან სახელმწიფოს და ხაზს უსვამენ გერმანული "სულის" შესახებლნი ფორები მარადიულობასა დ ცხოველყოფლობას. სიცოცხლის ბოლი პერიოდში ვაგნერი უკვე რელიგიური შეფერილობის ოქტრინას აყალიბებს, რომელიც უარყოფს პოლიტიკური, "გარეგანი" ქმედების გზით საფუძვლიანი საზოგადოებრივი ცვლილებების შესაძლებლობას და ამის ექსკლუზიურ უზარს კვლავც ხელოვნებას მიანწერს მისი საკრლიზაციათა და ამ საკრლიზებული ხელოვნების მიერ გამოწვეული სულიერი, "მინავანი" რეგენერაციის მემკვიდრით. სწორედ ამ ზოგად ეფექტურულ-პოლიტიკურ კონტექსტში იბადებ "პარსიფალი", როგორც ხელოვნების მიერ საკუთარი თავის საკრალიზაციისა და ერთგვარი რიტუალის გარშემო ადამიანთა "სულიერი" ერთობის დაფუძნების მცდელობა.

3.

დასანანია, რომ კრებულში შესული ორი მართლაც ფუნდამენტური ტექსტი ვაგნერის შემოქმედებიდან არის სწორედ ოდევკელობა მუსიკაში და რარის გერმანული?, რეაქციონერული სტატიები, რომელთა უკომენტაციოდ და კრიტიკული დისკანსიის გარეშე 21-ე საუკუნეში ხელახლა დაბეჭდვად აღარა უბრალოდ მეტ-ნაკლები ჰერმენევტიკული მართებულობის საკითხი, როგორც ზემოთ განხილული სხვა ტექსტების შემთხვევაში. მათი კრიტიკული კომენტარის მიერ გაშუალების გარეშე დაბეჭდვად, განსაკუთრებით იქ ქვეყანაში, სადაც 21-ე საუკუნეში ლამის ყოველდღიური მოვლენაა ვაგნერისეული დისკურსისა და ზოგადად მე-19 საუკუნის ნა-



ციონალიზმებისათვის დამახასიათებელი სწორხაზოვანი მასტიგმატიზებული რიტორიკის გამოყენება სომხებისა თუ სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ, ვაგნერის ანტისემიტისმის სავალალო პოლიტიკური დატვირთვის და, თავიდან ზოგადი ნაციონალისტური მოძრაობის, შემდეგ კი ნაცისტური იდეოლოგიის მიერ, მისი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის ისტორიის უგულვებელყოფას ნიშნავს.

იუდეველობა მუსიკაში "ფუნდამენტურია" იმდენად, რამდენადაც დიდწილად სწორედ მასში შემოთავაზებული სწორხაზოვანი სქემების მეშვეობით მოხდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ნაციისტური კულტურული პოლიტიკის ჩათვლით მუსიკალური აღქმის სტრუქტურირება, რის შედეგადაც არა მარტო პამფლეტში გაკრიტიკებული მენდელსონი, არამედ შემდეგ უკვე, მაგალითად, ებრაული წარმოშობის გუსტავ მალერის მუსიკაც "ებრაულობისა" და "ჭეშმარიტი" (ანუ გერმანული) მუსიკალური ნიჭის არქონის კატეგორიებით განიხილებოდა რეცენზიებსა თუ მუსიკალურ სახელმძღვანელოებში. ვაგნერის ცნობილი თანამედროვე მკვლევარი

იენს მალტე ფიშერი მართებულად მიანიშნებს, რამდენად გამჯდარია ვაგნერის მიერ შემოქმედებული მუსიკალური კატეგორიები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მუსიკალურ აღქმაშიც. შევიძლია "ებრაელობა" არც ახსენო, მაგრამ როცა, მაგალითად, ამბობ, რომ მალერის მონუმენტური ფორმები ვაგნერთან შედარებით "ზედაპირულად" და "ფორმალისტურად" გეჩვენება, ძალაუნებურად უკვე იმ კატეგორიების რეპროდუცირებას ახდენ, რომელთა კოდიფიცირებაც ვაგნერმა მოახდინა მუსიკაში ებრაული ელემენტის გამორჩევისა და დისკრიმინაციის მიზნით. აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ იენს მალტე ფიშერია სწორედ ის ადამიანი, რომელმაც 21-ე საუკუნის გარეგნულად ვაგნერის ანტი-სემიტური პამფლეტის ხელახალი გამოცემა ითავა. ოლონდ, თავად ვაგნერის ტექსტი მხოლოდ რამდენიმე ათეულ გვერდს მოიცავს, დანარჩენი ასეული გვერდი კი კრიტიკულ შესავალსა და პამფლეტის რეცეფციის ისტორიის განხილვას ეთმობა.

თავისთავად ფაქტი, რომ ვაგნერის 200 წლისთავის აღსანიშნავად თარგმანების კრებული გამოიცა, უაღრესად სასიხარულოა (ისევე როგორც თავისთავად


პოზიტიურია ის ფაქტი, რომ 22 სექტემბერს "შემოდგომის თბილისის" ფესტივალი ვაგნერის საორკესტრო ნაწყვეტების კონცერტით გაიხსნა, იმისგან და მოუკიდებლად, თუ როგორ იყო შესრულების ზოგადი დონე. თუმცა, იმ სახით, როგორითაც გამოიკა, კრებული შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ გამოცემის უკან მდგომი ხედავ იყო ბუმბერაზი გენიოსის იდეალიზებული, ისტორიულად არასაკმარისად დიფერენცირებული სურათი, რომლის წარმოსაჩენადაც სულერთია, რა ზომის, შინაარსისა და პრობლემურობის ტექსტი იქნება გამოყენებული. განსაკუთრებით სწორედ ვაგნერის შემთხვევაში, რომელიც არა მარტო ერთი ყველაზე დიდი მოვლენა მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში, არამედ ამავე დროს ერთი ყველაზე პრობლემური ფიგურაც ხელოვანის პოლიტიკასთან გადაჯაჭვულობის კუთხით, უფრო დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს და იმსახურებს კიდევაც, ისევე და ისევე მისი კომპლექსური და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებისა და შემოქმედების უკეთ აღსაქმელად, დასაფასებლად და შესაყვარებლად - მისი უამრავი ნაკლის მიუხედავად.





აღფრედ ბრენდელი

# პიანისტის ანბანი



ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე

## ხელოვნება და ხელოვანები

ზოგიერთის აზრით, შემოქმედის ბიოგრაფიის შესწავლა მისი ქმნილებების უფრო ღრმად გააზრების საშუალებას იძლევა. არა მგონია, ასე იყოს. წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხატვრული ნაწარმოები ვარკვეულ კავშირშია ავტორის პიროვნებასთან, რომ ავტორსა და მისი ქმნილებას შორის შეიძლება ტოლობის ნიშანი დავსვათ, რომ პიროვნების თვითმყოფობა ხელოვნების ქმნილების თვითმყოფობის საწინდარია - სასურველს რეალურად წარმოგვიჩენს (ყოველ შემთხვევაში, მუსიკის სფეროში)?

ბეთჰოვენის ქაოტური ხელწერა წერილებსა და მუსიკალურ ავტოგრაფებში თითქოს ასახავს მის შინაგან მშფოთვარებას, რაც აღბეჭდილია კომპოზიტორის ფერწერულსა და სიტყვიერ პორტრეტებში, მაგრამ მისი ნაწარმოებები უაღრესად მოწესრიგებულია.

კომპოზიტორის პიროვნება და მისი თხზულებ-

ბები, ჩემი აზრით, თანაზომადი მოვლენები როდია: ერთი მხრივ, ადამიანი, მთელი მისი შეზღუდულობით, მეორე მხრივ კი - მუსიკის თითქმის უკიდევანო საშუარო.

არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც კომპოზიტორის ცხოვრებისეული მოვლენები აისახება მუსიკაში. ბეთჰოვენის სონატაში (op. 110) გამოძახილი ჰპოვა მისმა მდგომარეობამ (კომპოზიტორი ის-ის იყო, გამოჯანმრთელდა ჰეპატიტისგან, რომელიც მძიმედ გადაიტანა). ანალოგიურად, შონბერგის სიმებიან ტრიოში ერთგვარად თავს იჩენს ავტორის ჯანმრთელობის კრიზისული მდგომარეობა. ასევე, ბრამსმა თავისი რე-მინორული საფორტეპიანო კონცერტი ჩაიფიქრა იმ განცდების ზეგავლენით, რომლებიც აღუძრა შუმანის თვითმკვლელობის მცდელობამ.

ამასთან, ზოგადად, ხელოვანის ცხოვრებისეული მოვლენების დაკავშირება მის ქმნილებებთან

1. ტექსტი პირველად გამოქვეყნდა The New York Review of Books-ში, 2013 წლის ივლისში. ეს არის ფრაგმენტი ნიგინდ-ან, რომელიც 2013 წლის სექტემბერში გამოსცა ბრიტანულმა გამომცემლობამ Faber & Faber Ltd-მა.

2. პოეტ კრისტიან მოგრენშტერნი თავისი გმირის, პალმსტრომის პირით აცხადებს: "არ შეიძლება არსებობდეს ის, რაც არ უნდა არსებობდეს".

მართებული არაა. შეხედულება იმის შესახებ, თითქოს ამა თუ იმ ნაწარმოებში აღბეჭდილია დამწებ-რებული, მხიარული ან სასიკვდილოდ დაავადებულ შემოქმედის შესაბამისი განცდები - უსაფუძვლოა. მუსიკა ამ თვალსაზრისს არ ადასტურებს. კომპოზიტორის ქმნილებებში სწორედ უდიდესი პირადი უბედურების დროს აისახება ბედნიერების, სიხარულის, სილალის განცდები. ვიხაროდენ!

**ბახი**

როდესაც ბეთჰოვენმა ბახის შესახებ საუბრისას განაცხადა, რომ კომპოზიტორის გვარი უნდა ყოფილიყო არა **Bach** (ნაიჯელი), არამედ - **Meer** (ზღვა), მისი შენიშვნა მიემართებოდა არა მარტო ბახის ათასზე მეტი ქმნილების სიმრავლესა და მრავალფეროვნებას, არამედ - მის შემოქმედებით გენიასაც, რომელმაც თავი იჩინა მუსიკისათა ამ ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახის გამოჩენილ წარმომადგენელში. ჩემი აზრით, იოჰან სებასტიან ბახი არის უდიდესი კომპოზიტორი, რომელმაც შექმნა ნაწარმოებები ყველა კლავიშებიანი საკრავისათვის - ის არის საფორტეპიანო კონცერტის ჟანრის ფუძემდებელი, "გოლდბერგის" ვარიაციების, სოლო სუიტებისა და პარტიტების, ქორალური პრელუდიების, ფუგებისა და კანტატების ავტორი.

ომისემდგომ წლებში ბახის საფორტეპიანო თხზულებები მხოლოდ კლავესინზე ან კლავიკორდზე სრულდებოდა. ამიტომ ახალგაზრდა პიანისტებს ის ჰქონდათ პოლიფონიური შესრულების საშუალება. ახლა კი არავინ ფიქრობს, რომ ბახის ქმნილებები ფორტეპიანოზე არ უნდა შესრულდეს. თანამედროვე საკრავებზე შესაძლებელია ყოველი ხმის ინდივიდუალუზება და ფუგისათვის კონტრასტული პლასტიკურობის მინიჭება. შესრულება შეიძლება იყოს ორკესტრული, იდეუმალი, ფერადოვანი, ხოლო რიოიალი შეიძლება ამღერდეს. ამავედროს შეზღუდვა კომპოზიტორისა, რომელიც თავისი და სხვისი ნაწარმოებების ერთ-ერთი ყველაზე გაბედული ინტერპრეტატორი იყო, შეიძლება მცდარად მიიჩნიოს თვით "ისტორიული შესრულების" მომხრეებმაც კი.

ბახის კონტრასტების უსაზღვრო სიმდიდრესთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის გახლდათ ფანტაზიებისა და ტოკატების ორიგინალური შემოქმედი. გავიხსენოთ თუნდაც ფანტაზია ლა-მინორი ("პრელუდი") BWV 922.

XX საუკუნის მეორე ნახევარში სასწაულებრივ მოვლენას შევესწარი: კვლავ ნამოიშართა გეორგ ფრედრიხს ჰენდელის გრანდიოზული ფიგურა. ალტაეებით გავცავი ჰენდელის უამრავ ნაწარმოებს - ოპერებსა და ორატორიებს. ჰენდელის ვოკალური მიგნებები (რომლებიც მოცარტის ან შუბერტის მიღწევებზე ნაკლებ მნიშვნელობისა როდია), მისი კლონატორის მგზნებარება, სიმწყობრე და დახვეწილობა საშუალებას იძლევა ითქვას, რომ ჰენდელი ბახის სადარი შემოქმედა.

**განონსტროება**

ესაა ჟღერადობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. იმისდა მიუხედავად, რამდენად თა-

ვისუფალი და ბუნებრივია ნაწარმოების შესრულება, მედევი დამაკმაყოფილებელი იქნება აკორდებისა და ბგერების ვერტიკალურ კომბინაციათა არაადიფერენცირებალობის შემთხვევაში ან მაშინ, როდესაც განონსტროება ხდება საკრავის საშუალებით. ზოგადი დეფექტები ამგვარია: ორივე ხელით ერთნაირად ხმამაღლა დაკვრა; ნაწარმოების ტექსტისადმი დაუდევარი დამოკიდებულება; ზედა ხმისა და ბანის მუდმივი გამოყოფა. მარცხენა ხელის ნეკით დაკრული ნოტები შეიძლება ფოლადივით ახმოვდეს, ხოლო ბანის რეგისტრში ოქტავები ახმოვდეს ყველა დანარჩენ ბგერას. არსებობს, რა თქმა უნდა, საკრავები, რომელთა ბანი ზედმეტად ხმამაღალია: ერთხანს ეს გავრცელებული გახლდათ ამერიკაში. კიდევ უფრო ხშირია ქვედა საშუალო დამპხონის დომინანტურობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოიყენება რბილი პედალები. მაგრამ შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს არაადეკვატურად მქედრი ინსტრუმენტის ნაკლოვანებები. ბანები, ჩემი აზრით, მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყოფოდეს, როდესაც მათ სათქმელი აქვთ. ფორტეპიანოს ზედა ნახევარი მღერადი და გაცისტიკოვებული უნდა იყოს, ხოლო ქვედა ნახევარი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა დომინირებდეს. თუ საჭიროა, პიანისტის ხელები დამოუკიდებელი უნდა იყოს ერთმანეთისგან, იხე, თითქოს ისინი სხვადასხვა არსებებს მიეკუთვნება.

განონსტროება გულისხმობს, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს ბგერის შეფერილობა და ხანიათ, მისი "სიბნელე" ან "სინათლე". პირადად მე უპირატესობას ვანიჭებ იმ შემსრულებლებს, რომლებიც ბანების აქცენტირების ნაცვლად, მუსიკის ჰაეროვნებისა და სიმსუბუქის ეფექტს აღწევენ.

**ბრამსი**

ბრამსი სწორედ ის პიანისტი გახლდათ, რომელმაც ახალგაზრდობისას უყუროდნო დაუჯერა კონცერტზე ტალბერგის საოქროს პარაფრეზა. ხშირად ნარმოვიდგენ ხოლმე, როგორ იჯდა ეს ტანდაბალი, მაგრამ სანდომიანი კაცი როიალთან შუმანების ოჯახში. მის ტექნიკურ განაფულობას, ბახისა და ბეთჰოვენის ქმნილებათა ღრმა ცოდნას და მუსიკის კაპულმაისტერ-კრავისფრისეული რომანტიკულ გააზრებას უნდა აღფეროვანებინა რობერტი და კლარა. ვირტუოზული ტექნიკა, ახალი და უძნელესი ტექნიკური დაბრკოლებების დაძლევა ბრამსის დამახასიათებელი თვისება გახლდათ. ეს, ისევე, როგორც მიდრეკილება უნგრული ბოჰემური მუსიკისადმი, ანათესავებს ბრამსს მის უფროს კოლეგასთან, ფერენც ლისტთან.

რე-მინორული კონცერტი, რომელშიც აისახა ბრამსის განცდები შუმანის სულიერ ავადმყოფობასთან დაკავშირებით და რომლის რამდენიმე ვარიანტი შეიქმნა, ბრამსის ყველაზე მონუმენტური სიმფონიური ქმნილებაა ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის. ეს პერიოკული და ამაღლებული მუსიკა თავისუფლად პარალელური ტრეკებისა და სექსტებისაგან, და, ამასთან, პოლირიტმული სირთუ-



ლებიხსგან. როდესაც ახალგაზრდა კომპოზიტორი ლაფცივის გვეგანდაშუსმი უკრავდა, ის, ალბათ, სახეებით კმაყოფილი იყო თავისი ქმნილებით. მიუხედავად ამისა, მსმენელებმა ახსენეს აუტექეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მის მსმენელებს არ მოეწონათ სოლო პარტია - ბრამსის დროინდელ ფორტეპიანოზე შესრულებულ თვით ესოდენ დიდებულ საფორტეპიანო ნაწარმოებსაც კი, ფაქტობრივად, ნაწარმეტების არავითარი შანსი არ ჰქონდა.

თუმცა აღფრთოვანებული ვარ ბრამსის ვარიაციებით, რაფსოდებით, ინტერმეტეობითა და საფორტეპიანო კვარტეტებით, ხოლო უზარმაზარ სი-ფიონიურ-კამერულ პიზიიდს - სი-ბემოლ-მაჟორულ კონცერტს თავყვანს ვცემ, ბრამსის, როგორც კომპოზიტორის ჭეშმარიტი იერსახე, ჩემი აზრით, თავს იჩენს პერიოდში პირველ საფორტეპიანო ტროისა და პირველ სიმებიან სექსტეტს შორის. მიყვარს სწორედ ამ პერიოდის ბრამსი, და, განსაკუთრებით, მისი რე-მინორული კონცერტი.

**აკორდი**

ერთმა დირიჟორმა მითხრა: "პიანისტს, რომელიც აკორდის ყველა ნოტს ერთნაირი სიძლიერით უკრავს, კარგი ტექნიკა აქვს". გასაკვირი არაა, რომ მუსიკის მისეულ ინტერპრეტაციას სითბო და დახვეწილობა აკლდა.

საშუალო სიძლიერით დაუკარით. აკორდები შიბაგანად უნდა იყოს გაცისკროვნებული.

**კონცერტი**

ზოგიერთი პიანისტი თავს ყველაზე უკეთ მაშინ გრძნობს, როდესაც საზოგადოებასთან მარტო რჩება და მთელი ყურადღება მისკენა მიპყრობილი. არიან, აგრეთვე, ადამიანები, რომელთაც ბედნიერებას ანიჭებს ფორტეპიანოს პოპიტირის აწვევა. საფორტეპიანო მუსიკის უფრო ამ ორ ტიპს აერთიანებს. სოლისტი უნდა დომინირებდეს, მაგრამ, დროდადრო, კამერული მუსიკის შესრულებისას, საკმაოდ რისი თავშეკავება უნდა გამოიჩინოს. მოცარტის საფორტეპიანო კონცერტებს შუალედური მდგომარეობა უკავია. მათი ფორმა, ყოველ შემთხვევაში, Op.27.1-დან დაწყებული, ნამდვილი სასწაულია. დიაპაზონი ვარირებს ყველაზე პირადულიდან (რე მინორი, Op. 466, დო მინორი, Op.491) - ყველაზე უფრო ოფიციალურამდე (დო-მაჟორი, Op. 503).

ეს ტენდენცია ბეთჰოვენმა განავითარა. მისი ხუთი კონცერტი წარმომიდგება მკვეთრად ინდივიდუალურ პიროვნებად, რომლებიც ციკლს წარმოქმნიან. შეიძლება ხუმრობით ვუგსაუბრა მათი, როგორც ორი ძალზე ცქვიტი მოზარდის (სი და დო მაჟორი), ახალგაზრდა მამაკაცის (დო მინორი), რომელსაც აშკარად გამოხატული შინაგანი ცხოვრება აქვს (მი მაჟორში), და მათი მშობლების (სოლ მაჟორი - დედა, მი მაჟორი - მამა) შესახებ. მიუხედავად სახელგანთქმული მომდევნო საფორტეპიანო კონცერტებისა, ხელოვნების ეს შედეგები სწორუპოვარია. მათი ტრადიციები დღესაც ციკლდება, რასაც ადასტურებს შონბერგის, ბარტოკის, პროკოფივის, მესიანის (კვზოტიკური ფრინველები) ან

ლიგეტის ქმნილებები.

უკვე ოპან სეხასტიან ბახთან, რომელიც საფორტეპიანო კონცერტის უფროსი ფუძემდებელია, შეინიშნება ბრწყინვალე, სრულფასოვანი კადენცია, მაგალითად, ბრანდენბურგის მეხუთე კონცერტში. ესაა "გამჭოლე" კადენცია, მაშინ, როდესაც კლასიკური კადენციები უმეტესად მოცარტის იქნა და უნდა ქცეულიყო იმპროვიზაციებად. საინტერესოა მოცარტის ბევრი ორიგინალური კადენცია. მომდევნო თაობამ დაიწყო მოდულაციებით გაბედული თამაში: კადენციები იქცა ფანტაზიის სფეროდ. ისინი უპირისპირდებიან შესაბამისი მუსიკალური ნაწილის ხასიათს და აუქმებენ კლასიკურ კანონებს. ბეთჰოვენი, თავისი დო-მაჟორული კონცერტის გიგანტურ კადენციებში, ძალდაუტანებლად არღვევს დაკანონებულ წესებს.

**დირიჟორი**

მომღერლებსა და დირიჟორებზე დაკვირვება პიანისტების განსწავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. თუ მომღერალი გვახსენებს სიმღერის და ლაპარაკის საჭიროებაზე, დირიჟორი, თავის მხრივ, ასაბუთებს, რომ ორკესტრი ნონანსორობის, ფერადონებისა და რიტმის მოდელია (წარმოდგენა პიანისტის, როგორც ათითთანი ორკესტრის შესახებ, მაგონ, შანს ფონ ბიულფის მიეკუთვნება). ტემპის მოდიფიკაციებს "დირიჟორება" სჭირდება, მაშინაც კი, როდესაც ნაწარმოები მოთხოვს იმპროვიზაციულ მიდგომას. ზოგიერთ ზედმეტად თამამ სოლისტებთან ორკესტრი მაკორექტირებელ ფუნქციას ასრულებს,

საფორტეპიანო კონცერტებში დირიჟორთა უმრავლესობა ცდილობს სასარგებლო იყოს, მაშინ, როდესაც პიანისტს ზუსტი წარმოდგენა აქვს მთელი ნაწარმოების შესახებ და არ ითხოვს არაფერს ისეთი, რაც აბსურდული და შეუძლებელია. სოლისტმა თავისი იდეები წინასწარ უნდა გააცხადოს დირიჟორს. თუმცა არსებობენ ისეთი დირიჟორები, რომლებიც მას შემდეგ, რაც მათ სამი მოსაზრება შესთავაზეს, ამბობენ: "სხვა არაფერი მითხრა. მაინც ვერ დავიმახსოვრებ".

**ცეკვა**

ბერ კულტურაში მუსიკა და ცეკვა განუყოფელია. ბაროკოს ეპოქაში პოპულარული იყო სუიტები და პარტიტები, თუმცა ცეკვა მეოცე საუკუნემდეც მუსიკის მნიშვნელოვანი ელემენტია. იყვნენ ისეთი მუსიკოსებიც, რომლებიც იყინებდნენ, მუსიკის არსი ცეკვაში მდგომარეობსო. მე, პირადად, არ მსურს, Credo ან Dies irae ხტუნვა-ხტუნვით ნავიკითხო.

მენუეტისა, სკერცოცოს და ნაწარმოებთა ფინალურ ნაწილებს ხშირად აღვიქვამთ ცეკვის ტერმინებით. ბეთჰოვენის კონცერტები ყოველთვის საცეკვაო ხასიათის მოტივებით მთავრდება. შემსრულებლისთვის ეს ნიშნავს, რომ მსმენელს უნდა აღედმარას ცეკვის სურვილი რიტმული, სახეიმი მუსიკის ზეგავლენით, რომელიც ძალუმად ეუფლება მოცეკვავეთა სხეულებს.



**ლისტი**

ფორტეპიანოს რომანტიკული მეუფე. სასულიერო საფორტეპიანო პიესების ავტორი. ადამიანის ცხოვრების მუსიკალური მემკვიდრე. ტრანსკრიპციებისა და პარაფრაზების შეუდარებელი ოსტატი. მოდერნის ძირითადი წინამორბედი. ფრანკისა და სკრიანინის, დევიუსისა და რაველის, მესიანისა და ლიგეტის მუსიკის უშრეტე წყარო.

ლისტის საფორტეპიანო ნაწარმოებები მონაწილეობს, რომ ის ფორტეპიანოს უბრწყინვალესი ოსტატი იყო. აქ არ ვგულისხმობ მისი, როგორც პიანისტის უზადლო ოსტატობას. ის და მხოლოდ ის ვახლდით "ექსპრესიის გენიოსი" (შუმანი), რომელმაც სრულად გამოავლინა ფორტეპიანოს შესაძლებლობები. მის მუსიკაში პედალი უმნიშვნელოვანეს საშუალებად იქცა.

ლისტის, როგორც კომპოზიტორის, გაურკვეველი ადგილი მუსიკის ისტორიაში რამდენიმე მიზეზიდან გამომდინარეობს. ესენია: მისი ნაწარმოებების ცვალებადი ხარისხი (რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ლისტის საუკეთესო ქმნილებები საფორტეპიანო ნაწარმოებებია); მისი თხზულებების სტილისტური პანორამა, რომელიც ააშკარავებს გერმანულ და ფრანგულ მუსიკის, უნგრული ბოჰემის სტილისა და გერმანიული ქორალის ზეგავლენას და, ბოლოს, ლისტის მუსიკა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია შესრულების ხარისხზე. ფრიდრიხ შუბერტის აფორიზმს თუ მანიშველივით, მუსიკა აქ "თავს იჩენს მხოლოდ ნაწარმოების ტექსტის მართებულად წაკითხვისას".

ლისტის შესანიშნავი საფორტეპიანო ნაწარმოებები, რომელთა შორის აღვნიშნავდი სი-მინორულ სონატას, "მოგზაურობის წლებს", ვარიაციებს ბახის Weinen, Klagen, Sorgen, Zagen-ის თემებზე, "სამგლოვიარო გონდოლას" და შესანიშნავ ეტიუდებს, რომლებიც, ჩემი აზრით, არ ჩამორჩება შოპენისა და შუმანის ამავე თანხის ქმნილებებს. მისი სი-მინორულ სონატა, ორიგინალურების, ვაბედილებისა და გამოხსახველობითი ძალის მხრივ, უთანაბრდება ყველაფერს, რაც კი შექმნილა ამ თანრში ბეთოვენისა და შუბერტის მიერ.

ლინა რამანის თქმით, რომელიც ლისტის პირველი ბიოგრაფია, ლისტი უნდა აღვიქვათ, როგორც, უპირველეს ყოვლისა, ლირიკული ინტონაციის პოეტი, "რეტორიკოსი, რაფსოდი, მიმი". ის მოითხოვს ლისტის შემსრულებლისგან "გრანდიოზულ სტილს", სულიერებას (Innerlichkeit) და მგზნებარებას.

"ობერმანის ველში" ყველა ეს თვისება თვალსაჩინოდ ვლინდება. იმპროვიზაციული თავისუფლება, რომელიც ხშირად ასოცირდება ლისტთან, ბოლო ხანებში მისი მუსიკის შესრულებაში არ შემოიხსენება. ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თორმეტი წლის განმავლობაში ლისტი ვაიმარის ორკესტრის მთავარი დირიჟორი იყო. ისეთი თხზულებები, როგორიცაა სი-მინორული სონატა, სწორედ ამ კონტექსტში უნდა აღვიქვათ. ამ სონატის შესანიშნავი საორკესტრო ვარიანტი, რომელიც ლეო ვაინერმა შექმნა, შესაძლოა უფრო ინფორმაციული

იყოს შემსრულებლისთვის, ვიდრე - მგზნებარე ცენტების გამოხატვის სურვილი. მეტრონომით გაზომილი, ლისტის Liszt-Pädagogium (ლინა რიმანის) და Totentanz -ის ზილოტისეული გამოცემა ადასტურებს, რომ ლისტის მუსიკის უდიდესი ნაწილი ამჟამად ზედმეტად სწრაფად იკვრება. სრულიად ზედმეტად მიმართა ლისტის ნაწარმოებთა ბრავურული შესრულება. ის დაცული უნდა იყოს ყველაფრისგან, რაც "სურნელოვანი" ან "ქალურია", "პირველი ლეგენდის" ("წმინდა ფრანცისკ ასიზელი უქრავაგებს ფრინველებს") 1950 წლის დროინდელი ჩანაწერი ვილჰელმ კემფის შესრულებით, ლისტის მუსიკის პოეტური შესრულების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

**მოცარტი**

ობერების, საფორტეპიანო კონცერტებისა და სიმებიანი კვარტეტების უდიდესი ოსტატი. ჩემი აზრით, მისი საფორტეპიანო სონატები, მცირეოდენი გამონაკლისების გარდა, სათანადოდ დაფასებული არ არის. არტურ შნაბელმა ბრწყინვალედ ახსნა ამის მიზეზი: ეს სონატები ძალზე ეადვილებათ ბავშვებს და ძალზე რთულია მოზრდილებისთვის. მათი მუსიკა, უმეტესად, დივერტისმენტს წააგავს; სხვები, მაგალითად ცნობილი ლა-მაჟორული სონატა და სონატა დო-მინორი op. 457, აშკარად საორკესტრო ხასიათისაა. ასეთივეა ფანტაზია დო-მინორი, op. 475. ბოლო ორი ნაწარმოების საორკესტრო ვერსიები მოცარტის სიკვდილის შემდეგ შეიქმნა. მინორულ ტონალურებში მოცარტის შედარებით იშვიათი, მაგრამ შესანიშნავი თხზულებებია: ორნოდ ლა-მინორი, op. 511 და ადაჟიო სი-მინორი, op. 540. ესაა ძალზე პირადული ხასიათის მონოლოგები. უდიდესი ქრომატული ვაბედილება ვლინდება მეჩუე-ტში op. 355/576b და აჟივამო op 574. ვაგნერი მიიჩნევდა, რომ მოცარტი უდიდესი ქრომატისტი იყო.

მოცარტის მუსიკა, ჩემი აზრით, არ წააგავს არც ფაიფარს, არც მარმარილოს, არც შაქარს. დახვეწილი მოცარტი, სურნელოვანი მოცარტი, გამუდმებით ექსტაზური მოცარტი, "მიუკარებელი" მოცარტი, სენტიმენტალურად გაზვიადებული მოცარტი - ამგვარი წარმოდგენები მართებული არაა. მოცარტის მუსიკის შესრულების არსს შეიძლება ჩაენვადეთ მისი საოპერო ნაწარმოებების მეშვეობით.

მოწიფულ ასაკში მოცარტმა მუსიკის მეშვეობით გამოხატა ის, რის გამოხატვასაც აპირებდა, და იმგვარი სრულყოფილებით, რომელიც იშვიათია უმაღლესი ტიპის კომპოზიციებში. უფრო მდარე კომპოზიტორები ჩვეულებრივ, მხოლოდ აუფერულდებენ იმას, რაც მყარი, ვაბედილი ან უჩვეულოა მათი დიადი წინამორბედების მუსიკაში. ბუზონის მშვენიერ "მოცარტის აფორიზმებში" კეთილშობილი: "გამოცანასთან ერთად, ის გვანვდის ამ გამოცანის ამოხსნას".

**პედალი**

პედალი მხოლოდ და მხოლოდ ფორტეპიანოს დეტალია - აქ არ ვგულისხმობ ორლანს ან არფას.

ის გამოხატვის ყველაზე ფასეული და ინდივიდუალური საშუალებაა. ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, მარჯვენა პედალს, რომელიც იკავებს ბეგრის გარკვეულ დროის განმავლობაში და, აგრეთვე, რეაკტივებს ფხის უმცირეს ვიბრაციებზე. გარდა ამისა, ბეთჰოვენის ეპოქის ფორტეპიანო უზრუნველყოფდა ეგრეთ ნოდებულ *Pianozug-*-ს, რომლის მეშვეობით ბეგრა აჩრდილის ჩუქრულივითაღრდა. ბიფორმირების ფორტეპიანოს ექვსი პედალი აქვს. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ციმბალების დარტყმის ხმას გამოსცემს, გააცინებდა მოცარტს, თუკი კომპოზიტორი გამოიყენებდა მას თავის რონდოში *alla turca*.

პურისტულად განწყობილი ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ პედალი, ძირითადად, ნიღბავს სუსტ ტექნიკას და ახშობს ბეგრას. თუკი პედალს გონივრულად გამოვიყენებთ, ის წარმოქმნის ბეგრის შეფეროლობასა და ატმოსფეროს, თბილსა და მტკვალს ხდის მას, რაც თითების მეშვეობით ვერ ხერხდება. პედალის მეშვეობით ბეგრის გაგრძელების გარეშე ბეგრი ნაწარმოების შესრულება, ფაქტობრივად, არასრულყოფილი იქნება. შუბერტის ბეგრი თხზულება მოითხოვს გაგრძელებულ ფონურ უღრუღობას ან ბეგრის გაგრძელებას მესამე განზომილებით. სათანადო პედალირება, აგრეთვე, წარმოქმნის ბეგრის მოცულობას - ამ უკანასკნელს გაზრდის აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროა ბეგრის გაფართოება და არა გამძვავება.

პიანისტს, რომელიც იყენებს პედალს, შეუძლია არტიკულაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენება. მისი სმენა - მათ შორის, შინაგანი - მობილზეებულია და ნამიერად რეაგირებს. ფორტეპიანოს ქვედა ნაწილში პასაჟები ძირითადად ნაკლებ პედალირებას საჭიროებს, თუმცა სტივენის მაღალი სიხშირის ბეგრები ამას გარდუვალად მოითხოვს.

თუმცა ლისტი დაუდევრად აღნიშნავდა პედალებს და, მაგალითად, სონატა სი-მინორში შესაბამისი ნიშნაკები საერთოდ არ გვხვდება, მის საფორტეპიანო თხზულებებში პედალის ფუნქციების გააზრება მართლაც რომ სწორუპოვარია.

**ფორტეპიანო**

საფორტეპიანო ლიტერატურის რაოდენობრივი და თვისებრივი სიმდიდრე გვარწმუნებს, რომ ესაა სასწაულებრივი საკრავი. მაგრამ ფორტეპიანო მხოლოდ საკრავია და ფეტიშად არ უნდა ვაქციოთ. ის ემსახურება გარკვეულ მიზანს. ფუნქციონალური ფორტეპიანო ოდენ ავეჯის ნაწილია, შავი და თეთრი კლავიშებით, მაშინ როდესაც ვიოლინო ყოველთვის ვიოლინოდ რჩება. პიანისტის ნება-სურვილის მიხედვით, ფორტეპიანოს ძალუმს მომღერლის ხმის ან სხვა საკრავების ტემპრის იმიტირება. მას შეუძლია, აგრეთვე, წარმოგვისახის ცისარტყელის ან ციური მნათობების ხატი. მეტამორფოზის ეს უნარი, ეს ალქიმია ჩვენს უდიდეს საგანძურს წარმოადგენს.

ფორტეპიანო უმაღლესი ხარისხისა უნდა იყოს. რა მოთხოვნები შეიძლება ნაუყენოს ინსტრუმ-

ენტს პიანისტმა? ფორტეპიანო მყდერი უნდა იყოს, როგორც მაღალი სიხშირის ბეგრებში, ასევე - ბანებში, სათანადო ტემპრითა და დინამიკური ძალით. მისი ბეგრი არ უნდა ფლდრდეს მოკლე და მჭახედ ზედა რეგისტრში, ქვედა რეგისტრმა კი არ უნდა ჩაახშოს ზედა რეგისტრის ბეგრები. პედალით შერბილებული ბეგრა მომრგვალებულად და ლირიკულად უნდა გაისმოვდეს, ხოლო დინამიკა *mezzoforte-*-ს აღწევდეს. ბეგრის სიღრმე და მდგრადობა სათანადოდ უნდა შეფასდეს. და, იდეალში, ის გამოსადეგი უნდა იყოს არა მარტო კონცერტისთვის, არამედ - მომღერლის სოლო კონცერტისთვისაც. თუმცა ბრავურული საფორტეპიანო კონცერტისთვის გამოდგება მხოლოდ განსაკუთრებულ მძლავრ საკონცერტო რიალი.

ზოგიერთი პიანისტი კმაყოფილება მხოლოდ ფორტეპიანოზე დაკრით და იმით, რასაც საკრავი სთავაზობს მათ, თუკი ისინი "ლამაზად და მართებულად" უკრავენ. მაგრამ საფორტეპიანო მუსიკის ყველაზე გამოჩენილი შემოქმედნი - შოპენის გარდა - ფორტეპიანოთი არ იზღუდებოდნენ; მათ გაამიღდრეს, ზოგადად, მუსიკა. ფორტეპიანო ურიცხვი ბეგრის შემცველი ჭურჭელია, რომელიც თავისუფლად განკარგავს შემსრულებელი. სოლო შემსრულებლისა პიანისტი სრულიად დამოუკიდებელია, მაგრამ მას ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა, როგორც შემსრულებელს და, ამასთან, საკუთარი შესრულების დირიჟორს.

არ ვისაზრებ კლავისინის, კლავიკორდის ან პლეილის 1840 წლის ფორტეპიანოს, როგორც კრიტიკოსის შესახებ, რადგან ამა თუ იმ კომპოზიტორს შეიძლება მოსწონდეს ასეთი საკრავი. ჩემთვის გაცილებით უფრო ღირებულია ბეგრები, რომელთაც ლატენტურად შეიცავს საფორტეპიანო ნაწარმოები. თანამედროვე ფორტეპიანო, მისი უდიდესი დინამიკური და კოლორისტული შესაძლებლობებით, კარგად აღჭურვილი ინსტრუმენტია. პიანისტი უნდა გაეცნოს გამოჩენილი კომპოზიტორების საორკესტრო, ვოკალურ და კამერულ ნაწარმოებს.

ერთმა ცნობილმა მუსიკოსმა დაავალა ახალგაზრდა პიანისტებს, ორი წლის განმავლობაში სრულად გასცნობოდნენ საფორტეპიანო ლიტერატურას. მე ამ დროს დავუთმობდი კომპოზიტორის მიერ შექმნილი სხვა ნაწარმოების გაცნობას. პორნიონტის ამგვარი გაფართოება საშუალებას მისცემს მუსიკოსს, გაიაზროს ბაბის "იტალიური" კონცერტის პირველი ნაწილი, როგორც საორკესტრო ნაწარმოები, რომელშიც ორკესტრი ენაცვლება ხოლმე სოლოს, მეორე - როგორც არია ჰობოისა და *basso continuo-*-თვის, მესამე კი - როგორც კლავიკორდისთვის განკუთვნილი მუსიკალური პიესა.

ბოლო ათწლეულების საკონცერტო რიალები სულ უფრო მეტად ხისტი და უხეშია - ყოველ შემთხვევაში, ასე მიქნია 2012 წელს (რომელიც გამოჩენილი ძველი პიანისტი, ალბათ, სასწონარკვეთილებით ზურგს შემაქცევდა). უწინ ფორტეპიანოებს ჰქონდათ შიდა რეზონანსი, რომელიც განგრძობილსა და თბილ ბეგრას იძლეოდა. თუმცა ახ-



ლაც შესაძლებელია ბრწყინვალე, შესანიშნავი ინსტრუმენტის პოვნა. ხშირად მას არეგულირებენ გამოცდილი საკონცერტო ტექნიკოსები. ამ პრობლემის საუკეთესო წარმომადგენლებთან ჩემმა თანამშრომლობამ უბედნიერესი გაცნობები მომანიჭა.

### ჩანერა

ხმის ჩანერის პროდიუსერები და ხმის ინჟინრები თანამედროვე ჯადოქრები არიან. მათ შეუძლიათ ფასდაუდებელი სამსახური გაუწიონ მუსიკოსებს, თუმცა, ზოგჯერ, ყალბი ამბიციების გამო, პარტიტურის ყოველ პარტიას ერთნაირი სიძლიერით აუღერებენ. მათ მიერ ბგერისადმი ორი განხიზმების მინიჭება გვიპოვებს დაუზრუნველ კარგ საკონცერტო დარბაზებს, სადაც სიმებიანები ჯერ კიდევ სასულეზის ნახსენებ და დირიჟორის ავტორიტეტი ჯერ კიდევ ძალაშია.

### შუბერტი

ექვსასზე მეტი სიმღერის ავტორი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კამერულსა და სიმფონიურ მუსიკაში. ოთხი ხელით შესასრულებელი საფორტეპიანო მუსიკის დიდოსტატი.

საკვებით შეიძლება, შუბერტი ყველაზე საოცარი მოვლენა ყოფილიყო მუსიკის ისტორიაში. ის, რაც მან განახორციელა თავისი სიცოცხლის ოცდათერთმეტი წლის განმავლობაში, შეუდარებელია.

მახსენდება მისი ორი ხელით შესასრულებელი საფორტეპიანო ნაწარმოებები. ექსპრომტებისა და მუსიკალური მომენტების გარდა, მათი უმრავლესობა მრავალი წლის განმავლობაში მივიწყებული იყო. 1822-1828 წლებში შუბერტმა მრავალი ნაწარმოები შექმნა, დაწყებული ფანტაზია "მოხეტიალე" და დამთავრებული სი-ბემოლ მაჟორული სონატით. მათი ნაწილების დრამატული განვითარება აბათილებს მითს შუბერტის, როგორც საუკეთესო ლირიკოსის შესახებ. ფანტაზიაში "მოხეტიალე" ფორტეპიანო რადიკალურად იღებს თავის თავზე ორკესტრის ფუნქციებს, რაც მანამდე არავის განუხორციელებია. თითქმის სასწაულია, რომ კომპოზიტორმა, რომელიც ვირტუოზი შემსრულებელი არ გახლდათ, წარმოაჩინა ფორტეპიანოს ბერასა და ტექსტურასთან ახლებური მუშაობის ამგვარი პერსპექტივა. გვიანდელი სონატები, ფორმის მხრივ, ორკესტრულია. თუ არ ჩაეთვლით ბოლო სამ სონატას, რომლებიც, ჩემი აზრით, სიმებიანი კონტრტის მსგავსად უღერს, შუბერტისეული საფორტეპიანო სტილი მოწმობს, რომ მან არსებითად გაამდიდრა ფორტეპიანოს შესაძლებლობები. ფორტეპიანოს შუბერტთან აქვს საკუთარი, ინდივიდუალური აურა, რომელიც ემყარება მგრძნობიარე და შთაგონებულ პედალირებას.

### შუმანი

რომანტიკული ფორტეპიანოს და ლირიკული სიმღერების უდიდესი ხელოვანი. მის ადრეულ საფორტეპიანო ნაწარმოებებში, კლარასადმი მიძღვნილ სატრფიალო შეტყობინებებთან ერთად, თავს

იქნეს გასართობი პარკებისა და საცეკვაო დარბაზების სიყვარული. "საბავშვო სცენებში" ვლინდება პავანითი შთაგონებული ვირტუოზობა და ბავშვებით პოეტური აღტაცება. ფორტეპიანოს ორკესტრირების შედეგად სიმფონიურ ეტიუდებში შუმანს შემოაქვს ვარიაციები, ეტიუდები და, ამასთან, ვლინდება სიმფონიურ ორკესტრის მთელი ძალა. მისი "შუმანის" ბეთოვენის "გაბატელების" (op.119) მეგვიდრეა, ხოლო "ვენის კარნავალი" ვენური ცეკვების რიტმი გაისმის. "კარნავალი" წარმოიწინაა ნიღბებისა და პორტრეტების გაღერა. "შუმანის" ინტიმურობა ერთვის კაპრიზებს, რომლებზეც ნაწარმოების სახელწოდებაც მიგვანიშნებს. "კრისტლიანის" ნაწილები მორიგეობით მიემართება კავალისტერ კრისტლიანის (სოლ მინორი) და კლარის (სი-ბემოლ მინორი), მაშინ, როდესაც დაიდებული დო-მაჟორული ფანტაზია, მისი ვენებებითა და თვითნაწილით, "ფორტეპიანოს სულის ქემპარიტი ემბლემა" (ქვემო ფიქერი).

შუმანი, მისი მუსიკის ფანტასტიური მგზნებარების მიუხედავად, ნმინდა წყლის გერმანული კომპოზიტორი გახლავთ. მისი რომანტიზება - ფრანგული ან რუსული სტილით - დაუშვებელია. დომაჟორული ფანტაზიის უჩვეულო და მგზნებარე პირველი ნაწილი მოწმობს ერთნაირ კონცეფციის შესახებ. აღვრედ კორტოს ჩანაწერიდან, "სიმფონიური ეტიუდები" (გარდა ფინალისა) და "კარნავალი" (გარდა შესავალი და ბოლო ნაწილებისა) მართლაც უბადლოა.

### ვირტუოზობა


ძნელი, გაბედული, უჩვეულო შესრულება? უმოკლეს დროში ჩატეული უამრავი ნოტი? ენერგიული დაკვრა? ეს სხვა არაფერია, თუ არა ბავშვურილობა. საზოგადოების დიდი ნაწილი ამგვარ შესრულებას აღტაცებით ხედება, მაგრამ "რომანტიკული ეტიუდი" უფრო მაღალი დანიშნულებისაა. პავანისის კაპრისებით შთაგონებული ტექნიკური სიახლე განიხანსროებული უნდა იყოს მუსიკალური სიახლით, გაბედულებით და პოეტურობით. შოპენის ეტიუდების, შუმანის ეტიუდების, ლისტის, ბრამსის ("პავანისის ვარიაციები"), ისევე, როგორც დებუსის, ბარტოკის და ლიგეტის ქმნილებები პიანისტებს საშუალებას აძლევს დაამტკიცოს, რომ მათი შესრულებით მუსიკა ამაღლებულობას ინარჩუნებს. ვირტუოზობა შეიძლება სასარგებლო იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ დროის უმეტეს ნაწილს ეტიუდებში ვარჯიშს არ ვუთმობთ, და განსაკუთრებით მაშინ.

ხშირად, სწრაფი ტემპით შესასრულებელი ნაწარმოების დაკვრისას, პიანისტს არ შეუძლია ტემპის გაზრდა. ამასთან, თუ მაღალი ტექნიკის მქონე პიანისტი უნებურად ზედმეტად ჩქარა უკრავს, მისმა მუსიკალურმა ალლომ უნდა შეანელოს მისივე თითების მოძრაობა. სწრაფად დაკვრა შეიძლება გაცილებით იოლი რამ იყოს, ვიდრე დისციპლინა, რომელიც აკონტროლებს თითების მოძრაობას.



სტფო კილასონია

# საზღვარი, დუმილი და ერთადერთი სიმართლე



საზღვარი ვილაცისთვის ის მიჯნაა, რომელიც 100 მეტრის იქით ან აქეთ გადის და ამ 100 ან 300 მეტრს პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, იმის მოუხედავადაც კი, რამხელაა მისი სამშობლო. სამშობლო - ესეც ძალიან პირობითია. საზღვარი და სამშობლო - ამ სიტყვების მიღმა არსებული ინფორმაცია მაინც იმ იდენტობაზეა დამოკიდებული, რომელითაც პიროვნება ფორმირდება. ლადო ფოჩხუა მრავალი წელია საქართველოდან ძალიან შორს, ხან სად და ხან სად ცხოვრობს, მუშაობს, გამოიყენებს მართავს. ბოლო წლებია მის შესახებ ამბები ნიუ-იორკიდან მოდის. თუმცა მისთვის საზღვარი პრინციპებიც არის, ტკივილებიც, პროვინული ტრადიციაც და დიდი, ძალიან დიდი ნოსტალგია, რომლითაც ამჟამად თბილისში გამოიყენას გეტავაზობს. საზღვარმა, რომელიც ერთმორწმუნე ჩრდილოელმა მეგობარმა აფხაზეთში გაავლო, ლადო ფოჩხუას ბიოგრაფია დაწერა. მისი მოგონებები და მისი იდენტობაც. ის აფხაზეთიდან არის. საქართველოს სურათების ეროვნულ გა-

ლერეაში 2013 წლის თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენა მისი პერსონალური პროექტია. გამოფენა - სახელად "ქართული მელანქოლიის ანატომია".

"ამ პროექტის არსებობას დიდწილად ვუმაღლი ჩემს მესხიერებას და ვითარებებს, რომელთა შეცვლაც მე არ შემეძლო. ოცდასამი წლისამ ყველაფერი დაეკარგე - ოჯახი, მეგობრები, მშობლიური ქალაქი, სახლი, საბუთები. უკვე თბილისში შევიტყვე, რომ ახალ, მოუწყობელ და მშვიერ ცხოვრებაში ლტოლვილი ვარ. აფხაზეთიდან ლტოლვილი. ანუ - არავინ. ნოლი. ადამიანი სოციალური ფუნქციის გარეშე. როცა პირველი ჰუმანიტარული დახმარება მივიღე, ამერიკული სამხედრო ულუფა, ვერცხლისფერ ქალაქში გახვეული ლობიო და ხორცი, საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ თავს დავაღწევა გასაჭირს, რომელშიც აღმოვჩნდი. ამისთვის წლები დამჭირდა. ამ გამოფენაზე გამოტანილი ფოტოსურათები ჩემი გზის ეტაპებია, რომელიც ლტოლვილის ცხოვრებიდან ადამი-

ანურ ცხოვრებამდე გავიარე” - წერს ლადო ფოჩხუა.  
 “გზა ლტოლვილობიდან ადამიანობამდე” - დღე-საც ბევრისთვის არის აქტუალური. მისი გამოფენის წარმატებულობაც უპირველესად მდგომარეობს იმ-აში, რომ მისი პირადი გზა ამავედროულად არის ჩვენი გზა, ქართველი ხალხის, რომელიც ლადო ფოჩხუას ფოტოებს საკუთარი ისტორიის დოკუმენტურ მასა-ლად აღიქვამს.

“არტისტერიუმის” 2013 წლის კონცეფცია მდგო-



მარეობს სლოგანში - “ვარ მე შენ?”. იდენტობისა და თვითიდენტიფიკაციის, ინდივიდისა და საზოგადოე-ბის, “მე”-სა და “სხვების” ამოცანების ეს გამაერთია-ნებელი სლოგანი საქართველოს ამჟამინდელი რეა-ლობისთვის მეტისმეტად ადეკვატური და იქნებ დრო-ულიც იყოს ანალიზისთვის.

წლეუანდელი “არტისტერიუმის” თემა 1998 წელს ილიკო ზაუტაშვილის მიერ გამართულ პერფორმ-ანსს უკავშირდება. პერფორმანსის ოთხი მონაწილე 2 წყვილადაა გაყოფილი, რომლებიც ერთმანეთის “გაგებას” ცდილობენ, მაგრამ წინააღმდეგობებს აწყ-დებიან. პირველი წყვილი თვალახვეულია და ერთ-მანეთს ეხება, მეორე წყვილი კი სხვადასხვა ენაზე დაწერილ წიგნს ხმამაღლა, ერთდროულად კითხუ-ლობს.

ნამუშევარი აჩვენებს კომუნიკაციის სირთულეს, როცა მხოლოდ საკუთარ ენაზე, სიტყვების ფორმა-ლურობაზე და კულტურულ ან ქცევით (behavioral) სტერეოტიპებზე ხარ კონცენტრირებული, ან როდ-

საც სუბიექტის მიღება-არმიღება წინასწარგანწყო-ბით შემოიფარგლება. თემა, რომელიც ერთი არტის-ტის ერთ ნამუშევარში ვიწრო კონტექსტით განვი-თარდა, მთელი ფესტივალისთვის მრავალფეროვნ-ად ჩამოყალიბდა. ერთისთვის “სხვა” სხვა ადამიანია. მეორესთვის რელიგიური ან ეთნიკური ნიშნით განს-ხვავებული პირი ან სივრცე. სხვებისთვის კი უბრალოდ უცნაური გრძნობა, რომელსაც პირველად განი-ცდის ადამიანი. თემის ერთ-ერთი საინტერესო ინ-



ლადო ფოჩხუას ფოტოები გათვლილია უბრალოდ მაკანონოო აბაზონა

ტერპრეტაცია წარმოადგინეს გალერეაში “კონტეი-ნერი”. აქ სხვაგვარი, ანუ უცნობი ქველის გრძნობა იყო და გამოფენასაც ერქვა მარტივად, მაგრამ ცო-ტა უზერხულად - “ქავილი”.

ერთ-ერთი არტისტი ანა ლორთქიფანიძე მცირე სკულპტურით გამოხსნა მუხებზე გამოწვეულ ქა-ვილის გრძობას. მან გამოაქანდაკა ქალის ვაგინა, რომლის სიღმეშიც ხდებოდა რაღაც, რასაც “ჩაჭურტე-ით” არკვევდა დამთვალიერებელი. ნამუშევრის პრო-უკაციულობამ გამოიწვია ამ ქანდაკების პოპულარ-ობა. თუმცა გამოფენის სხვა მონაწილეები მეტად ნავიდნენ ამ თემის სიღრმისკენ. თინათინ კილერაძე ფოტოებში გვაჩვენებდა სხეულებს მეორად ტანსაც-მელში და სურდა ეთქვა, რომ ხანდახან სხვისი სამო-სი სხვა ადამიანის ნაწილს ატარებს. გურამ ნიბახაშ-ვილის პატარა ფოტოების სერიაში კი ქალაქში ომის გამოშხატველი სტენსილები აღბეჭდა, როგორც უცხო-სთან შეხების რეაქცია. შეიძლება ითქვას, რომ 2013 წლის “არტისტერიუმი” თემის არჩევანი ყველაზე





ზუსტი იყო დროსა და სივრცესთან მიმართებაში.

2013 წელს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 5 წლის გახდა. ხუთი წლის თავზე მისი კონკურენტი ფესტივალი "საჩუქარიც" აღდგა.

ერთიც და მეორეც ქალაქ თბილისის ფესტივალად მოიაზრება, თუმცა ისინი ქალაქის სხვადასხვა მერების მიერაა დაფუძნებული. წელს პირველად ორივე ფესტივალი იმართება და იმედი ვიქონიით, უბრალო და ვერაგი რევანმისტული სულისკვეთება სამომავლოდ არ დაემუქრება თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს. ხანდახან ღირს, ისტორია არ განმეორდეს და თუკი ასე მოხდება, მოგებული დარჩება არა მხოლოდ საზოგადოება, არამედ ორივე ფესტივალი, რომელიც კონკურენტულ გარემოში მეტ ხარისხს მიაღწევს და განსხვავებული ტენდენციების შექმნაც გახდება შესაძლებელი.

თბილისის თეატრალური ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტუმარი რობერტ ლეპაჟის დასი გახლდათ. ლეპაჟი კანადელი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი და მოკლედ, თანამედროვე თეატრის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პერსონაა. მან ამჯერად მაყურებელი დააჯერა, რომ ხელოვნება ზღაპრის შესაქმნელი საშუალებაა...

სუექტა კლი ვინმე ფილიპეს ამბავია, რომელმაც ახლახან დედის სიკვდილი და ერთადერთ დედამამოშვილთან, პატარა ძმა ანდრესთან განშორება გადაიტანა. მას საიდუმლოებით მოცული სამყაროს შეცნობა მოუწადინებია და ვარსკვლავებს ჩაფიქრებით აჰყურებს. დროსა და ადგილს კი მეორეხარისხოვანი როლი უთავი ფილიპეს ძიებებში.

კოსმოსური რბოლის დროს საბჭოელებისა და ამერიკელების გაუთავებელი კონკურენცია (დედამინ-

ის გარეთ არსებული სიციცხლის ძიება), ბევშობის მოგონებები და სიყმანვილე მისთვის ერთ-ერთი კრიტიკიუმი ფუნდამენტური შეკითხვის მოსაგვარებლად - "მარტონი ვართ?". ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ლეპაჟი მულტიმედოურ ხერხებს მიმართავს. ვიდუო-ფოტო პროექციებებს, რაც საინტერესო და ტექნიკურად ვირტუოზული განათებით ერთგვარ ილუზორულ ეფექტს ახდენს და მაყურებელს აბრუნებს. საბოლოო ჯამში მაყურებელი რჩება ბედნიერი, ბედნიერი იმისდა მიუხედავად, მარტონა ის კოსმოსში თუ არა. ბედნიერია იმით, რომ ამ სამყაროში თეატრი ესთეტიკას ემსახურება და ყველაფერს ფანტასტიკურ ფერებზე ანთებს.

პოლარულად განსხვავებული რაკურსით წარმოვიდგა ნლევანდელი თეატრალური ფესტივალის მია კლიჩევსკა არ ლალატობს თავის ფუნდამენტურ თემას - ძალადობას დაძაინებს შორის. ძალადობას, რომელიც რყენის ნებისმიერ საზოგადოებას და რომელსაც რეჟისორი სილასავით ანისის მაყურებელს პირველივე სცენებიდან.

მია კლიჩევსკა თითქმის ნებისმიერ დრამატურგიულ მასალაში ხედავს ძალადობის შესაძლებლობებს. თუმცა წელს თბილისში ჩამოტანილი პესა თავის დროზე სწორედ ამ თემას მიეძღვნა. უილიამ შექსპირის "შაკებელი" მია კლიჩევსკას შემოქმედებაში რეჟისორული ხედვისა და არჩევანის კლასიკური ილუსტრაციაა.

მია კლიჩევსკა ერთ-ერთი აღიარებული რეჟისორია აღმოსავლეთ ევროპაში. მას შარშანდელი ფესტივალის მაყურებელიც იცნობს. მისი დადგმა "ღმერთების სიკვდილი" არაერთმა მაყურებელმა უხმოდ

სამსახურის მფლობელი, ანა კლიჩევსკა, მია კლიჩევსკა, ანა კლიჩევსკა





სიძინა საბუთასკალაძის ფოტოგრაფია: "მომავალი შორი მხარა" - რამა რიზაშაშ ლაშაშვილი

დატოვა, მძაფრი და ძალიან ნატურალისტური სცენების გამო.

მაია კლიჩევსკა ჩვენი თანამედროვე ეპოქა თავისი დაუნდობლობითა და სიმშავით, შექსპირის ტექსტშიც იოლად აღმოაჩინა. წარმოდგენილი სამყარო ძალიან ახლოსაა ლინჩისა და ალმადოვარის ფილმებში ასახულ რეალობასთან. კლიჩევსკა ყოველთვის ახლოს არის კინოსთან. დაახლოებით ისეთსავე სიახლოვეში, როგორც ლიტერატურასთან. კლიჩევსკა შეეითვისა სევამს: როგორ იბადება ბოროტება? ვინ არის მასზე პასუხისმგებელი? როგორ შეგვიძლია ჩვენი ბედისწერის წარმართვა და თავად ბედისწერა როგორ გვმართავს? ამ ლია კითხვებით რეჟისორი მისთვის ყველაზე ახლობელ თემას აღრძელებს - ძალადობის საზღვრების თემას. მაია კლიჩევსკას "მაკებეში" სამყარო ბევრად უფრო ცინიკურია ვიდრე შექსპირის პიესაში. "...ამ "მაკებეში" მართალი პერსონაჟები არ არსებობენ. მალკოლმი ძვირფასუვლით მოკაზმული ნაძირალაა. მაკდაფი გაიძვერა მაფიოზი ბულალტერია, რომელიც ყოველთვის ახერხებს "გავრობას" საჭირო დროს. ძალაუფლება გადამდები ცდუნებაა, მეგობრობა პირად ინტერესზეა აგებული, სიყვარული გარყვნილებაა, სექსუალური კავშირი დეგრადირებულია, სიკვდილი კი სამარცხ-ბლითა. (...) კლიჩევსკას რეჟისურა ქალური დაუნდობლობით გამოირჩევა. სამყარო, რომელსაც ის გვაჩვენებს, სექსუალური ძალადობით და სისხლისღვრით ფუნქციონირებს. პიესა არ გვეუბნება, რომ ბოროტება ბანალურია. ის ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება ბოროტების სანყისებს, მის მამოძრავებელ იმპულსებს.

შოკისმომგვრელი სანახაობაა..." - ლუკაშ დრენიაკი.

თუკი გვსურს გავიგოთ ქართულ საზოგადოებაში არსებული პრობლემები და არა მხოლოდ კულტურის სფეროში ჩართული საზოგადოების პრობლემები, საქმარისა საქართველოს კულტურული ცხოვრების განრიგს ან "კალენდარს" ჩაზევდით და ყველაფერს მიგვხვებით.

ერთ სეზონში თავმოყრილი რამდენიმე ფესტივალური პრობლემა არა მხოლოდ დადუმებული სხვა სეზონების გამო, არამედ იმიტომაც, რომ ამ პატარა ქვეყანაში, უფრო სწორად თბილისში მცხოვრებთა შორის, ძალიან მცირეა კულტურით დაინტერესებული საზოგადოების მასშტაბი და თანაც ხელოვნების ყველა სფეროს აუდიტორია ზუსტად ერთი და იგივეა.

ჩვენ არ ვცხოვრობთ საფრანგეთში, გერმანიაში და ბრიტანეთში, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მუსიკის, თეატრის, სახვითი ხელოვნებისა და სხვა სფეროების მოყვარული საზოგადოებები. ანალოგიური სიტუაციაა მედიის მიერ ამ პროცესების გაშუქების თვალსაზრისითაც. როცა პრესას ისე უჭირს, რომ მხოლოდ ერთი თემა უნდა აირჩიოს, ანდა როცა ტელევიზიები იმდენად დიად კომერციულ მიზნებს ემსახურებიან, რომ კულტურაზე დღეში მხოლოდ 3-წუთიან მონოლოგს გვთავაზობენ, ფესტივალების მენეჯმენტი, ცხადია, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

"საჩუქარი" გაცოცხლებული ფესტივალია. "საჩუქარი" ისტორია ნამდვილად არის ისტორია იმის შესახებ, თუ რამდენად პოლიტიკებულაა კულტურა საქართველოში და რომ საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფალმა კულტურას, როგორც საზოგადოებრივი აზრის მართვის სადავეს, ხელი ვერ შეუშვა. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც კულტურის განვითარება მხოლოდ ფესტივალების ორგანიზებად არის აღქმული. კარგია, რომ გვაქვს ბევრი მსგავსი და პარალელური რეჟიმი მიმდინარე ფესტივალს, მაგრამ ამავე დროს ცუდიცაა, იმიტომ რომ გვაქვს მხოლოდ ფესტივალები. უფრო ცოტა კი - კონცერტები. ანუ გვაქვს საფუძვლება წარდგინის, მაგრამ არ არის რესურსი დაგროვების, ანალიზის, შემეცნების. რესურსების განსაზღვრა შორს წამიყვანს. დღეს კარგზე ვსაუბრობ - კარგ ფესტივალზე, ძალიან კარგი პროგრამით. ანუ ფესტივალზე, რომელსაც წამიყვანს "საჩუქარი" აქტივობების გამო. 2013 წელს "საჩუქარი" დაბრუნდა, ალბათ იმიტომ, რომ დღეს ქეთი დოლიძე მმართველი პოლიტიკური ძალის თანამოაზრედ აღიქმება.

კულტურის ამ ტიპის პოლიტიკება კულტურის მართვის ყველაზე პრიმიტიული მოდელია, თუმცა არსებობს სხვა მხარე, რომელიც ამ მოდელის ნაკლოვანებებს მაინც მცირეხარისხოდ აქცევს. აბა მითხარეთ, რომელი თეატრალს არ სურს სამა თაღის ან პიტერი ბრუკის წარმოდგენის ხილვა თბილისში? ყველას უკლებლივ. და ყველანი მადალიერი ვართ ფესტივალის ორგანიზატორების, რომელთაც ძალი-



ან საინტერესო პროგრამა მოამზადეს. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს პროგრამა და ფესტივალი, ჩვენ მაინც ვიცით, რომ გარემო, კულტურული სივრცე, რომელშიც პოლიტიკურ-პარტიული სიმპათიები წყვეტდა და წყვეტს ყოველივეს დღედვე, ცალსახად დანაგრეულია, როგორც ტრიალიტარული რეჟიმის მენტალურ-ფსიქიკური სენი. მაგრამ ამ სისტემას ვერ დანგრევენ ვერც მომხმარებელი - ანუ ჩვენ, აუდიტორია და ვერც მედიატორები - ანუ ამა თუ იმ ფესტივალის დირექტორი, რომელსაც აქვს ძალიან ვასაგები ვნება "აჩვენოს საუკეთესო თავის მაცურებელს". ვერც ერთი მხარე ამას ვერ შეძლებს, ვიდრე საქართველოში არსებობენ ხელისუფლებები, რომლებიც ახდენენ კულტურის მარგინალიზაციას.

დაბოლოს, ახალი დაწყებულია თელავის მუსიკალური ფესტივალი, რომელიც შინაისტ ელისო ვირსალაძეს ეძღვნება. პირველი დღე ბეთსუვანის და ბრამსის სავილინიო და საფორტეპიანო კონცერტებით დაიწყო. ფესტივალის სლოგანია - ეზიარე მალაღ ხელოვნებას. ფესტივალზე არ დალატობს ხარისხის მალაღ მაცურებელს, თუმცა წინ არის ჯერ კიდევ მთელი პროგრამა. წინ არის კიდევ რამდენიმე ფესტივალი. და პუბლიკა მზად არის აპლოდისმენტებისთვის. პირადად ჩემთვის საგულისხმოა, რომ ფესტივლები საქართველოსთვის პოლიტიკურად ამ მიმართულებაში ისე იხსნება და იხურება, არც მისი წარმომადგენლები და არც არავინ არ ემზადება ქვეყნის საზღვართან დაკავშირებულ ვითარებას. არადა წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა სხვა ნებისმიერ ქვეყანაში, დედაქალაქში საერთაშორისო ფესტივალების სერია რომ იყოს, და ამ დროს მეზობელი ქვეყანა მის ოკუპაციას აგრძელებდეს. განცხადებები განცხადებებს მოყვებოდა. საერთაშორისო არტიტული სა-

ზოგადობებისთვის დაგზავნილი წერილები წერილებს. ჩვენთან კი დუმილია. აპლოდისმენტის გასაცემად გააქტიურებული პუბლიკაც მზად არის ეზიაროს მალაღ ხელოვნებას და სიტყვა არ დამრას ოკუპაციაზე. მზად არის გალამაზებული დახვდეს უცხოელ ხელოვნებს და შეიქმნას ილუზია, რომ ყველაფერი კარგად არის.

ბოლო აბზაცის ნაკითხვის მერე ბევრი წამომაძახებს - ბოლო დროს მოდურ სიტყვათმთხანმებას - კულტურის (ან სპორტის) დემოლიტიზებას. დემოლიტიზაციაზე ალბათ მაშინ უნდა ვილაპარაკოთ, როცა სპორტულ ფედერაციებში, ანდა თეატრებში თანამდებობებზე მმართველი პარტიის ფავორიტები ინიშნებიან. სხვა თვალსაზრისით, პოლიტიკისგან არიდება, ისტორიისგან დისტანცირება უბრაოდ შეეფერება. ხელოვნება გარდაცვილია ათუკი იგი დროსად და გარემოს არ დასუბობს. ოლიმპიადაში გამარჯვებული სპორტსმენი ვერ გახდება სამაგალითო გმირი, თუკი ის უპირველესად ქვეყნის ღირსებას და თავისუფლების პრინციპს არ დაიცავს. საქართველო ოკუპირებულია, ჩვენ ომში ვართ და თავის მოტყუება მხოლოდ სისუსტის გამომხატველია. უნდა ვილაპარაკოთ სიმართლე, მაშინც, როცა მალაღ ხელოვნებას ვეზიარებთ და მაშინც, როცა ლაღი ფორზუას გამოფენაზე ცრული გვერევა. უნდა ვილაპარაკოთ სიმართლე. შემოდგომის ხუთი ფესტივალის მიუხედავად, ქართული ოცნებების არჩევნები გამარჯვების მიუხედავად, ჩვენთვის უცნავე და თან ძალიან დაძველებული ილუზიების მიუხედავად, უნდა ვილაპარაკოთ ჩვენს რეალობაზე, ხმამაღლა ვილაპარაკოთ, რომ დღეინოა - ეს არის ჩვენი დღეინადელობა, ჩვენი ერთადერთი სიმართლე.

**ლიტერატურული კონკურსი "წაიო" - ბინა წაიო? უნდა წაიო!**



რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ, 21 ოქტომბერს ლიტერატურულმა კონკურსმა „წაიო“ კვლავ აიღო სტარტო.

კონკურსი განხორციელდება ელექტრონული წიგნები „lit.ge“-ის ვებ-გვერდის მეშვეობით, ინტერნეტ სივრცეში. მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს. ამისათვის უნდა დარეგისტრირდნენ lit.ge-ზე და შესაბამის გვერდზე და 12 ნოემბრამდე გამოქვეყნონ საკონკურსო ნაწარმოები 5-10 გვერდის ფარგლებში. ტექსტები ქვეყნდება ანონიმურად, ავტორების მითითების გარეშე.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად: პირველ ეტაპზე კონკურსის 7 კაციანი ჟიური (კონკურსის ჟიური კონკურსოს ბოლომდე საიდუმლოდ რჩება. ჟიურის წევრები არიან თანამედროვე მწერლები და ლიტერატურის კრიტიკოსები) შეარჩევს 15 საუკეთესო ნაწარმოებს. მეორე ეტაპზე შერჩეული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე და მათ მკითხველი 2 კვირის განმავლობაში, 14-26 ნოემბრის პერიოდში შეაფასებს. შეფასებები დაფარულია სხვა მკითხველისთვის. მკითხველებს საშუალება ექნებათ კონკურსის გვერდზე ფორუმში ჩაერთონ და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ნაწარმოებების შესახებ. დისკუსიები გაიმართება „წაიოს“ ფეისბუქის გვერდზეც. ყველაზე აქტიური 10 მათგანი დაჯილდოვდება ელექტრონული წიგნების მალაზიის lit.ge-ის 100 ლარიანი ვაუჩერებით.

გამარჯვებულთა ვინაობა (I, II, III ადგილები, ჟიურის სპეციალური პრიზი, სხვა პრიზები, დანესებული არა ორგანიზატორთა მიერ) გამოცხადდება დაჯილდოების ცერემონიაზე, 28 ნოემბერს. საპრიზო ფონდი შემდგენილია დაგანაწილდება: I ადგილი - ვერცხლის წერო და 3000 ლარი; II ადგილი - 2000 ლარი; III ადგილი - 1000 ლარი.



სლავოი ჟიჟეკი

# სირიაში ცრუ ბრძოლა მიმდინარეობს

ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარია

თუკი რამე იყო ყალბი ჰუმანიტარული ინტერვენციის იდეა-სა და პრაქტიკაში, სირიის შემთხვევაში შემჭიდროებული სახით იფეთქა. კარგი, იქ არის ცუდი დიქტატორი, რომელიც (სავარაუდოდ) საკუთარი სახელმწიფოს მოსახლეობის წინააღმდეგ მომზამველ გაზს იყენებს - მაგრამ ვინ უნევს წინააღმდეგობას რეჟიმს? აქედან ისე ჩანს, რომ ის, რაც დემოკრატიულ-სეკულარული წინააღმდეგობისგან დარჩა, ახლა იმ ფუნდამენტალისტურ ისლამისტური ჯგუფების ნაზავშია ჩაძირული, რომლებსაც მხარს თურქეთი და საუდის არაბეთი უჭერს, ხოლო კულისებში ალ-ქაიდას მონაწილეობაც ძალიან შესამჩნევია.



რაც შეეხება ბაშარ ალ-ასადს, მისი სირია, მოჩვენებითად მაინც, სეკულარულ სახელმწიფოდ ასაღებდა თავს, ამიტომ გასაკვირი არაა ტენდენცია, რომ ქრისტიანები და სხვა უმცირესობები სუნიტი ამბოხებულების წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს მას უჭერენ. მოკლედ, მღვრიე კონფლიქტთან გვაქვს საქმე, რომელიც რაღაცით პოლკოვნიკ კადაფის წინააღმდეგ ლიბიელთა აჯანყებას ჰგავს - არც აქ იდეა მაკაფიო პოლიტიკური ფსონი, არც ფართო ემანსიპატორულ-დემოკრატიული რევოლუციის არსებობის ნიშნები ჩანს - მარტო კოალიციურ და ეთნიკურ ალიანსთა რთული ქსელი იკვეთება, რომელთა არსებობა ზესახელმწიფოების (ერთი მხრივ - აშშ-სა და დასავლეთ ევროპის, მეორე მხრივ - რუსეთის და ჩინეთის) გავლენებითაა განსაზღვრული. ამ პირობებში ნებისმერი სახის პირდაპირი სამხედრო ჩარევა პოლიტიკურ შემოღობვას უდრის, არაპროგნოზირებადი რისკებით - ვთქვათ, რა მოხდება, ასადის ჩამოგდების შემდეგ ძალაუფლება რომ რადიკალურმა ისლამისტებმა ჩაიგდონ ხელში? გაიმეორებს აშშ-ის შეცდომა, რომელიც ერთხელ უკვე დაუშვა ავღანეთში, როცა მომავალი ალ-ქაიდას და თალბანის კადრები შეაიარაღა?

ასეთ ქაოტურ სიტუაციაში სამხედრო ჩარევა მხოლოდ მოკლევადიანი თვითგამანდგურებელი იმპორტუნისმის ქრილში შეიძლება ჩანდეს გამართლებულად. ზნეობრივი აღფრთობა, რომელსაც იმისთვის იყენებენ ხოლმე, რათა ინტერვენციას რაციონალური გამართლება მოუძებნონ ("უფლებას არ მიეცემთ, მშვიდობიანი მოსახლეობა გაზით დაწანდონ!"), გათამამებულია. ამ უცნაური ვითარების

შემყურე ადამიანი - როცა ერთ ფუნდამენტალისტურ-კრიმინალურ დაჯგუფებას მეორე მისწინართან დაპირისპირებაში უჭერენ მხარს - ძალაუნებურად რომ პოლის რეაქციას გაიზიარებს, რომელიც მას მსხვილმასშტაბიანი ინტერვენციის მოქმადე ჯონ მაკკეინის გამოვლანზე ჰქონდა: "ასეთი პოლიტიკოსების ხელში ტერორისტები ვილას სჭირდება?".

სირიის ახლანდელი სიტუაცია ეგვიპტის ამბებს უნდა შევადაროთ. ახლა, როცა ეგვიპტის არმიამ ჩიხიდან გამოსვლა და ისლამისტი მეპროტესტეებისგან საჯარო სიერციის განმენდა გადაწყვიტა, შედეგად კი ასობით, შეიძლება ათასობით მსხვერპლი მიიღო, ერთი ნაბიჯით უკან დახვევა საჭირო და მიმდინარე კონფლიქტში უჩინარ მესამე მხარეზე ფოკუსირება: სად არიან ახლა თაპირის მოედნის ორი წლის წინანდელი საპროტესტო გამოსვლების აგენტები? განა ახლა მათი როლი ძალიან უცნაურად არ ჰგავს როლს, რომელსაც მაშინ მუსლიმთა საძმო თამაშობდა - გაოცებული ცივისსილიანი დამკვირვებლების როლს? ეგვიპტეში მომხდარი სამხედრო გადატრიალებით თითქოს რაღაცნაირად ეს წრე ჩაიკეტა: მეპროტესტებმა, რომლებმაც დემოკრატიის მოთხოვნით მუბარაქი გადააყენეს, მერე პასიურად უჭერდნენ მხარს სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებას, რომელმაც დემოკრატიის პრინციპებს უღალატა... რაშია საქმე?

ყველაზე მეტად დამკვიდრებული ინტერპრეტაცია, სხვა დანარჩენს შორის, ფრენსის ფუკუიამას ეკუთვნის: საპროტესტო გამოსვლები, რომელთა მიმდინარეობაც მუბარაქი გადააყენეს, უმთავრესად განათლებული საშუალო კლასის ამბოხი იყო,



ხოლო ღარიბი მუშები და გლეხები დამკვირვებლის (თანამორძნობი დამკვირვებლის) როლში იყვნენ. მაგრამ როგორც კი დემოკრატიის კარიბჭე გაიხსნა, მუსლიმთა სამომხ, რომელიც სოციალურად ღარიბ უმრავლესობას მიეკუთვნებოდა, დემოკრატიული არჩევნები მოიოგ და უმთავრესად მუსლიმი ფუნდამენტალისტებისგან შედგენილი მთავრობა ჩამოაყალიბა, ამიტომ, ეს ალბათ გასაგებია, სეკულარულად მოაზროვნე დემოკრატებისთვის თავდაპირველი ბირთვი მათ წინააღმდეგ მობრუნდა. მათ შესაჩერებლად ისინი სამხედრო გადატრიალებასეც კი აღმოჩნდნენ წამსვლელები.

მაგრამ ასეთი გამარტივებული ხედვა საპროტესტო მოძრაობის მთავარ შტრისს ვერ ითვალისწინებს: ჰეტეროგენული (სტუდენტების, ქალების, მუშების) ორგანიზაციების სწრაფ მორადგებას, რომელთა მეშვეობითაც სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო თუ რელიგიური ინსტიტუციების გვერდის ავლით, საკუთარი ინტერესების არტიკულირებას ახდენს. ახალი საზოგადოებრივი ერთეულების ეს ვრცელი ქსელი, არაბული გაზაფხულის მთავარი მონაპოვარია, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ეს მუხარაჟის გადაყენებაზე შეიძლება ითქვას. ეს მიმდინარე პროცესია, მსხვილი პოლიტიკური ცვლილებებისაგან, მაგალითად, გადატრიალებისაგან სრულიად დამოუკიდებელი პროცესი. ის ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე საზოგადოების რელიგიურ/ლიბერალური დაყოფა.

მკაფიოდ გამოკვეთილი ფუნდამენტალისტური მოძრაობების შემთხვევაშიც კი, გარკვეული სიფრთხილეა საჭირო, რომ მათი ეს სოციალური შემადგენელი არ გამოგვჩრჩის მხედველობიდან. თალიბანს ხშირად ახასიათებენ, როგორც ფუნდამენტალისტურ რელიგიურ დაჯგუფებას, რომელიც საკუთარ წესებს ტერორით ამკვიდრებს - თუმცა, 2009 წლის გაზაფხულზე, როცა მათ პაკისტანში სვითის დაბლომზე მოიპოვეს კონტროლი, "ნიუ-იორკ-ტაიმსი" წერდა, რომ მათ "კლასობრივი აჯანყება მოაწყვეს, რომელიც მდიდარ მინათმფლობელთა მცირე ჯგუფსა და უმინო მაცხოვრებელთა უზარმაზარ მასას შორის არსებული განხეთქილების გამო გახდა შესაძლებელი". თუმცა, თუკი თალიბანი ადგილობრივი გლეხების გასაჭირს საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდა, რითაც პაკისტანი, დღემდე უპირატესად ფეოდალური ქვეყანა, საფრთხის ქვეშ დააყენა, საკითხავია, რა უშლდათ ხელს პაკისტანელ ლიბერალებსა თუ აშშ-ს თალიბანივით "ესარგებლათ" ამ გაჭირვებით და ეცადათ, უმინო გლეხებს გასაჭირში დახმარებოდნენ? სევედისმომგვრელი ამ ამბავში ისაა, პაკისტანელი გლეხების ბედის ამგვარი იგნორირების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ ქვეყნის ფეოდალური ძალები არიან ლიბერალური დემოკრატიის "ბუნებრივი მოკავშირეები". ერთადერთი სწორი გზა სამოქალაქო და დემოკრატიული პროტესტის მოთავეებისთვის, რათა რელიგიურმა ფუნდამენტალისტებმა განზე არ მიუჩინონ ადგილი, ის იქნება, თუ სოციალური და ეკონომიკური გათავისუფლების გაცილებით უფრო რადიკალურ ხაზს აირჩევენ.

ეს კი ისევე სირიის ამბებთან ვეაბრუნებს: ახლა

იქ მიმდინარე ბრძოლა საბოლოო ჯამში ცრუ ბრძოლაა. ერთადერთი რამ უნდა გვახსოვდეს ყოველთვის: ფსევდობრძოლები მხოლოდ იქ იწყება, სადაც მესამე ძალა, ძლიერი რადიკალურ-ემანსიპატორული ოპოზიცია არ არსებობს, რომლის ელემენტებიც უდავოდ იყო ეგვიპტეში. როგორც დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ ამბობდნენ, მეტეოროლოგობა სულ არაა აუცილებელი, რომ გარკვეო, საით უბერავს ქარი სირიაში: ავღანეთის მიმართულდებით. ახლა ასადამა როგორღაც რომ მოახერხოს და ქვეყანაში სტაბილურობა აღადგინოს, მისი გამორჯვება ალბათ ისეთ აფეთქებას გამოიწვევს, როგორც თალიბანის რევოლუცია იყო. ერთ-ორ წელწინადმი ეს აფეთქება წალექავს სირიას. ერთადერთი, რაც მოვლენების ასე განვითარებას შეუშლიდა ხელს, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის რადიკალიზაციაა, მისი გადაქცევა სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობის მოსაპოვებელ ბრძოლად.



მაშ, რა ხდება იმეს სირიაში? არაფერი განსაკუთრებული, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ჩინეთი ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა მდგომარეობას, როცა მსოფლიოს ახალ ზესახელმწიფოდ ჩაითვლება, მისი მეტოქეები კი ამ დროს ყველაფერს აკეთებენ ერთმანეთის დასასუსტებლად.



# ხანაწერიები



უკვე გამოიცა  
**30 წიგნი**



გამოუქვეყნებელი  
დღიურები


ცნობილი ადამიანების უცნობი  
ავტობიოგრაფიული შტრიხები

... რასაც სხვაგან ვერ ნაიპოთხავთ!



# პინრონი


„ლოთ 49-ის“  
ბამოცხადება




გ ა მ თ მ ც ე მ ლ ო ბ ე

# დიფუენს

## ახალი წიგნები




„გულუბრყვილო და  
სენტიმენტალური  
რომანისტი“



# ჩესტერტონი

„მოთხრობები მამა  
ბრაუნზე“



„შევაგუებით“